ახალი პარლამენტის ახალი ლაბირინთები A3

130 მოსწავლე ოთხი წელი სკოლის გარეშეა A8

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 26 აპრილი, 2004 წელი. №97 (646) | ფასი 50 თეთრი

# რიგგარეშე არჩევნები აჭარაში

თუ აჭარის ხელისუფლება რეგიონში შექმნილი დაძაბული სიტუაციის ესკალაციას მოახდენს, აჭარაში რიგგარეშე ადგილობრივი არჩევნები აუცილებლად ჩატარდება, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას.

**"ცენტრალური ხელისუფლება აჭარაში რიგგარეშე ადგილობრივი არჩევნების ჩატარების საკითხს განიხილავს... ამის კანონიერი უფლება ქვეყნის კონსტიტუციით გაგვაჩნია. სისულელეა ასლან აბაშიძის მიერ გავრცელებული ხმები, თითქოს რეგიონში სამხედრო ტექნიკით შეჭრას ვგეგმავთ. ასლან აბაშიძეს თავად აჭარლები მიხედავენ და ამ პრობლემას თავად ისინი გადაწყვეტენ,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "წრთონისა და აღჭურვის" პროგრამა დასრულდა





მონიკა ბუხაიძის ფოტო

აშშ მალე ახალ სამხედრო პროგრამას - "ინიციატივა გლობალური მშვიდობისათვის" - განხორციელებას შეუდგება.

## ჟიურის წევრი რომ ვყოფილიყავი
# ხმას მივცემდი დათო მაღრაძის ტექსტს

ტარიელ ჭანტურია

კაცობრიობის ისტორია არ იცნობს ჰიმნის ტექსტს – შედევრს. არადა, როცა ჰიმნის ტექსტზე ფიქრობენ, რატომღაც უსათუოდ შედევრს გულისხმობენ. ამგვარი მიდგომა პირადად მე შეცდომად მიმაჩნია. შესაძლოა, ჰიმნის გამო ჩემი მსჯელობა მცდარიც იყოს, არავითარი ამბიცია ამ მხრივ არ გამაჩნია. მეტიც! – კონკურსში მონაწილეობა არც მიფიქრია. ზოგადად თუ ვიტყვით, ჰიმნის ტექსტს პოეტური სიმაღლეები არ უნდა მოვთხოვოთ. თუმცა, ავტორიტეტული ჟიურის მიერ ერთსულოვნად მხარდაჭერილი ტექსტი მოწონებას იმსახურებს. ჩვენ თუ იმას ვაპირებთ, რომ ჰიმნის ტექსტის წყალობით ყველას, ვინც მას მოისმენს, საქართველოს წარსული და დღეისდღე გავაცნოთ, მაშინ ჯობს, ჰიმნს ჯავახიშვილის **ქართველი ერის ისტორიაც** დავურთოთ!

თუ დათო მაღრაძის ტექსტს მიიღებენ, გარწმუნებთ, რამდენიმე დღის ან თვის შემდეგ ისე მიეჩვევა ჩვენი ყური და გონება მას, დღევანდელი გაუთავებელი კამათი ღიმილად არ გვეყოფა.

აკაკის იმ ორ ღვთაებრივ სტრიქონში **სამშობლოსა და კაცობრიობის** ურთიერთობის იმგვარი იდეალური, ისეთი ჰარმონიული სურათია გაცხადებული, უკეთესის წარმოდგენა პირადად მე გამიჭირდება! ორ ზღვას შუა მდებარე, თავისუფლების მოყვარე ქვეყანა რომ მღერის, ესეც ხომ ჩანს! სხვა რაღაა საჭირო ჰიმნისთვის! – უმაღლესი პოეზია? ეს პოეზია არ აკლია საქართველოს, და მას სხვა გზებითა და საშუალებებით უნდა გაეცნოს და ეზიაროს ჰიმნის როგორც ქართველი, ისე არაქართველი მსმენელი!

არა მგონია, თავად დათო მაღრაძეს, რომელიც მშვენიერი ლექსების ავტორია, ჰიმნის ტექსტი თავის პოეტურ მიღწევად მიაჩნდეს. როგორც ზემოთ ვთქვი, ასეთი რამ საერთოდ არ ხდება.

ჟიურის წევრი რომ ვყოფილიყავი, უსათუოდ მივცემდი ხმას დათო მაღრაძის ტექსტს, თუმცა, ჟიურის წევრი ვერაფრით ვიქნებოდი: როგორც პრესიდან შევიტყვე, ჟიურიში პოეტი პრინციპულად არ შეუყვანიათ. და ალბათ სწორიცაა.

და ბოლოს, პოეტმა შეასრულა სახელმწიფო შეკვეთა და მიმაჩნია, სწორად შეაფასა რთული, საპასუხისმგებლო ამოცანა.

# "ჭიქი" მსოფლიო ელიტაშია





ჭაბუკ მორაგბეთა ნაკრები გუნდი.

## პოლიტიკა

### „მემარჯვენე ოპოზიცია" და საპარლამენტო უმრავლესობის ქცევის თავისებურებები

ახალი მოწვევის პარლამენტის პირველივე სხდომებმა "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლებს უმრავლესობის ქცევის თავისებურებების გაანალიზების საშუალება უკვე მისცა. გარკვეული დასკვნებიც გამოტანილია.

A3

## უცხოეთი

### ბრიტანეთს, შესაძლოა, ევროკავშირის დატოვება მოუწიოს

ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისარმა კრის პატენმა, რომელიც წარმოშობით ბრიტანელია, განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანელები უახლოეს მომავალში დაგეგმილ რეფერენდუმზე მხარს არ დაუჭერენ ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტს, მაშინ ლონდონი იძულებული გახდება, ევროგაერთიანება დატოვოს.

A5

## საზოგადოება

### გამომგონებლის ბედი საქართველოში

ეს კაცი ამერიკელი რომ ყოფილიყო, მისი სახელი და ჯიბის სისქე ყველას ზეპირად ეცოდინებოდა, მაგრამ ქართველია და ამიტომ, ვიწრო საზოგადოების გარდა, არავინ იცის, თუ რაოდენ დიდი გამოგონებების ავტორია ის. როგორც თვითონ ამბობს, მთელი მისი ქონება ამ საქმეს შეეწირა, მაგრამ მაინც გააკეთა სამი საერთაშორისო განაცხადი, მიიღო A ჯგუფის კლასიფიკაცია (რაც იმას ნიშნავს, რომ მის გამოგონებას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება), შევიდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის კატალოგში და დააპატენტა მრავალი გამოგონება.

A6

## სამართალი

### იმერეთის რეგიონში „კანონიერი ქურდები" აღარ არიან, დანაშაული კი მატულობს

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით დამნაშავეებთან ბრძოლა სულ უფრო მკაცრდება, როგორც ჩანს, კრიმინალური სამყარო ფარ-ხმალის დაყრას სულაც არ აპირებს. ამის მაგალითად იმერეთიც გამოდგება, სადაც ბოლო ათი დღის განმავლობაში თითქმის ყველა სახის დანაშაულის ჩადენაა დაფიქსირებული.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 16 |
| ქუთაისი | 21 |
| ბათუმი | 21 |
| სოხუმი | 19 |
| ფოთი | 21 |
| თელავი | 10 |
| ზუგდიდი | 22 |
| გორი | 13 |
| ახმეტა | 12 |
| ჭიათურა | 16 |
| გაგრა | 18 |
| სამტრედია | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9850 |
| ევრო | 2.3623 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5188 |
| რუბლი | 0.0685 |

## ცენტრი-აბაშიძის დაპირისპირება საქართველოს ეკონომიკას ძირს უთხრის

ეთერ მამულაშვილი
სოფიკო ოხანაშვილი

*ცენტრსა და ასლან აბაშიძეს შორის პოლიტიკური დაძაბულობა პირველ ეკონომიკურ შედეგებს იმკის. მანამ, სანამ სიტუაცია იძაბება, საქართველოზე გამავალი ტრანზიტული ტვირთები ალტერნატიულ მარშრუტებს ეძებენ. შედეგად, ქვეყანა მილიონობით ლარს კარგავს. დაძაბული სიტუაციის ფონზე დიდი დანაკლისი აჭარის რეგიონმაც იწვნია. სარფის საბაჟო და ბათუმის პორტი ჩვეული დატვირთით ველარ მუშაობს. იკლო როგორც ადგილობრივმა, ისე ცენტრალურმა საბიუჯეტო შემოსავლებმა. მომავალ საკურორტო სეზონსაც აჭარაში საფრთხე ემუქრება. შექმნილ ვითარებას ეკონომიკური ექსპერტები განსხვავებულად აფასებენ, თუმცა ისინი ერთ რამეში მაინც თანხმდებიან –დაპირისპირება, პირველ რიგში, რეგიონის, შემდეგ კი ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედებს უარყოფითად.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## მოგვხედეთ დღეს, თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება

თამარ დვალი

*ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ 18 წელი გავიდა. 1986 წლის 26 აპრილს, გამთენიისას ატომურ სადგურზე გამოკვლევითი სამუშაოს არასწორმა ჩატარებამ მსოფლიო მაშტაბის კატასტროფა გამოიწვია. ავარიიდან რამდენიმე დღეში საქართველოს სამხედრო კომისარიატმა 2000-ზე მეტი რეზერვისტი გაიწვია ჩერნობილში. ამირან მეგრელიშვილი, როგორც სამხედრო ქიმიკოსი, პირველივე დღიდან ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებს ასრულებდა. რუსეთში მას რამდენიმე ჯილდო და მადლობა აქვს მიღებული, საქართველოში კი ბატონ ამირანს, ჩერნობილის სხვა მონაწილეების მსგავსად, სახელმწიფოსგან*

გაგრძელება A6 გვერდზე

## ორგანიზებული დამნაშავეობის და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლა "მარტივდება"

*საქართველოს კანონმდებლობა უახლოეს ხანებში კიდევ ერთი, კორუფციის წინააღმდეგ მიმართული კანონით გამდიდრდება. ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონპროექტის შექმნის ინიციატორი საქართველოს იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი გახლავთ და, შესაბამისად, კანონპროექტიც სწორედ იუსტიციის სამინისტროში მომზადდა.*

კანონპროექტი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, რომელიც მთავრობას უკვე წარედგინა და უახლოეს მომავალში პარლამენტართა სამსჯავროზე წარდგება, დასტური გახლავთ იმისა, რომ საქართველოს მთავრობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირებზე აქცენტის გაკეთებას არ აპირებს. ეს პოზიცია, კანონპროექტის ჟურნალისტებისთვის წარდგენისას, თავად იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა დააფიქსირა.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ფოსტა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 - B7 "საოჯახო ტოტო" | B8 სხვადასხვა

## რიგგარეშე არჩევნები აჭარაში

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტი აჭარის მოსახლეობას მოუწოდებს, არ დაემორჩილონ ასლან აბაშიძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აჭარაში კომენდანტის საათის და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. **"სულ მალე გამოვცემ შესაბამის განკარგულებას, რომლითაც აჭარის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას კომენდანტის საათის და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, უკანონოდ ვცნობ,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა. სააკაშვილი არ აპირებს, აჭარლებს საკუთარი კანდიდატურა თავს მოახვიოს: **"რეგიონის მოსახლეობამ ადგილობრივი მმართველი თავად უნდა აირჩიოს,"** – აცხადებს იგი. **"კომენდანტის საათის დაწესებით აბაშიძე ცდილობს, აჭარაში დისლოცირებული შეიარაღებული ძალების შემადგენლობის თბილისში წამოსვლა შეაჩეროს. ის სამხედროები, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ, სამხედრო ბილეთებს მიიღებენ და დროებით აქ გაჩერდებიან, მაგრამ მათი მთლიანად თბილისში გადმოსვლაც არ შეიძლება. მათი ნაწილი ადგილზე უნდა დარჩეს, რათა იქ მდგომარეობა გააკონტროლოს,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

*24 საათი*

## ამერიკის ახალი სამხედრო პროგრამა



*რიჩარდ მაილსი და ჩარლზ უაილდი.*

**"აჭარის შესახებ ვერავითარ კომენტარს ვერ გავაკეთებ, ეს საქართველოს შიდა პრობლემაა,"** – აცხადებს ევროპაში ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლის მოადგილე, გენერალი ჩარლზ უაილდი პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართული შეხვედრის დასასრულს.

გენერალი უაილდი საქართველოში "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამის დასრულების ცერემონიალზე დასასწრებად ჩამოვიდა. ამერიკელი გენერალი თვლის, რომ საქართველომ წარმატებით გაართვა თავი "წვრთნისა და აღჭურვის" ქართულ-ამერიკულ პროგრამას და ამ პროგრამას "სანიმუშოს და სამაგალითოს" უწოდებს.

უაილდის განცხადებით, უახლოეს მომავალში ამერიკა ახალი სამხედრო პროგრამის – "ინიციატივა გლობალური მშვიდობისთვის" - განხორციელებას შეუდგება. გენერლის თქმით, ამ პროგრამის მიღმა არც საქართველო დარჩება. პროგრამა საქართველოსა და სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების თანამედროვე სტანდარტებით მომზადებას ითვალისწინებს.

შეუძლია თუ არა საქართველოს ხელისუფლებას "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში მომზადებული საჯარისო ნაწილების აჭარის კონფლიქტის მოსაგვარებლად გამოყენება? – ჟურნალისტების ამ კითხვას უაილდმა ასე უპასუხა: **"საქართველო ტერორიზმთან ბრძოლაში აქტიურადაა ჩართული და ის სამხედრო დახმარებები, რასაც ამერიკა საქართველოს უწევს, სწორედ ტერორიზმთან ბრძოლისკენაა მიმართული. პროგრამის ხელშეკრულებაში არ არის მითითებული, შეუძლია თუ არა საქართველოს ხელისუფლებას, ეს ჯარები შიდა კონფლიქტების დარეგულირების საქმეში გამოიყენოს. ეს თავად ხელისუფლების გადასაწყვეტია. საქართველო სუვერენული ქვეყანაა და მას ვერავინ უკარნახებს, სად და როგორ გამოიყენოს თავისი შეიარაღებული ძალები. რაც შეეხება აჭარას, მე ღრმად ვარ დაწმუნებული, რომ ეს პრობლემა დიპლომატიურად, პოლიტიკური დიალოგის გზით მოგვარდება,"** – აღნიშნა მან.

*სოფო ბუკია*

## საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე კონტროლი გამკაცრდა

საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე არსებული ორკილომეტრიანი შეუთანხმებელი ზოლით ექსპორტ-იმპორტიორები უკანონოდ ველარ ისარგებლებენ.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბადრი ბიწაძემ გუშინ ყაზბეგის გამშვებ პუნქტთან მდებარე შეუთანხმებელი სასაზღვრო ზოლი მოინახულა და სასაზღვრო ძალების შტაბის უფროსთან, კორნელი სალიასთან ერთად, მესაზღვრეთა პირად შემადგენლობას შეხვდა. შეუთანხმებელ ტერიტორიაზე ამჟამად რუსი და ქართველი მესაზღვრეები ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ და ექსპორტ-იმპორტიორებს უკანონო ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა აღარ ეძლევათ.

"აქამდე ყაზბეგის საბაჟო გამშვებ პუნქტზე დალუქული ტვირთები შეუთანხმებელ ტერიტორიაზე იხსნებოდა, რუსეთიდან შემოსულ ავტომანქანებში იტვირთებოდა და ქვეყნიდან ისე გადიოდა. იგივე ხორციელდებოდა რუსეთიდან საქართველოში ტვირთის შემოტანის შემთხვევაში," - განაცხადა სასაზღვრო უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ლონდარიძემ.

აღნიშნული უკანონო ოპერაციების შედეგად ბიუჯეტს სერიოზული თანხები აკლდებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეულ ბიზნესმენს საქართველოს საბაჟოზე 500-დან 700 ლარამდე უნდა გადაეხადა. ბიზნესმენები კი, რუსეთიდან შემოტანილი და საქართველოდან გასატანი ტვირთის გადატვირთვას შეუთანხმებელ ზოლში უკანონოდ ახორციელებდნენ.

*ინტერ-პრესი*

## ყოფილი "მხედრიონელი" თემურ ხაჩიშვილი რუსთავში დააკავეს

არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ინფორმაციით, რუსთავში დააკავეს ყოფილი "მხედრიონელი", პოლიტიკური გაერთიანება "დათვის" თავმჯდომარე თემურ ხაჩიშვილი.

თემურ ხაჩიშვილის ოჯახის წევრების განმარტებით, რუსთავის პოლიციის თანამშრომლებმა თავდაპირველად თემურ ხაჩიშვილის ძმა დააკავეს. იგი ხაჩიშვილის მანქანას მართავდა და ამიტომაც, იგი პოლიციელებს თემურ ხაჩიშვილი ეგონათ. მოგვიანებით, სიტუაციის გარკვევის შემდეგ, პოლიციელებმა თემურ ხაჩიშვილი საკუთარ სახლში დაიჭირეს. ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარა და პისტოლეტი, რომელიც გაფორმებული აღმოჩნდა. თუმცა, ხაჩიშვილის ოჯახის წევრები ირწმუნებიან, რომ თემურ ხაჩიშვილს იარაღი პოლიციელებმა ჩაუდეს.

რუსთავის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის, ნოდარ ქინქლაძის ინფორმაციით, ხაჩიშვილის დაკავების სპეცოპერაცია ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხორციელდა. თემურ ხაჩიშვილის საცხოვრებელ ბინაში ჩხრეკა სასამართლოს ნებართვის გარეშე განხორციელდა, რადგან პოლიციამ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე თავად მიიღო გადაუდებელი ჩხრეკის დადგენილება.

წლების წინ ტერორისტული აქტების ორგანიზატორობისთვის გასამართლებული და შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ შეწყალებული თემურ ხაჩიშვილი ამჟამად რუსთავის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება და მას იარაღის უკანონო ტარებისთვის წაუყენებენ ბრალს.

*24 საათი*

## ავტონომიის ტერიტორიაზე კომენდანტის საათის შემოღება ანტიკონსტიტუციური აქტია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია აჭარის ხელმძღვანელობის მიერ ავტონომიის ტერიტორიაზე კომენდანტის საათის შემოღებას უკანონოდ მიიჩნევს.

"კომენდანტის საათისა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პრეროგატივა საქართველოში მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის," - აცხადებს ზურაბ ჟვანია.

საქართველოს მოქალაქეებისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება და ეს უფლება საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლით მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტს და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მის მიერ ქვეყანაში გამოცხადებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა. ასეთი გამონაკლისის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, მთელ ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის იმ მუხლების მოქმედება, რომელსაც კონსტიტუციის მეორე თავი მოიცავს და რომელშიც ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანია განმარტებული.

ოღონდ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, არა უგვიანეს 48 საათისა მისი გადაწყვეტილება პარლამენტში შეიტანოს დასამტკიცებლად. სხვათა შორის, საქართველოს კონსტიტუციაში, კონსტიტუციის დამრღვევთათვის სერიოზული სამართლებრივი სანქციებიცაა განსაზღვრული.

*24 საათი*

## საბაჟო ტარიფებში ცვლილებებია მოსალოდნელი

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრმა ჯამბულ ბაკურაძემ სავაჭრო პალატის, გადამხდელთა კავშირისა და საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლები შეკრიბა და საბაჟო ტარიფების გადახედვის აუცილებლობის საკითხი დაუსვა. სახელმწიფო მინისტრის თქმით, საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე იმპორტიორები შემოტანილი პროდუქციის რეალურ ღირებულებას შეგნებულად ამცირებენ, რის გამოც ქვეყნის ბიუჯეტში საბაჟო შემოსავლების, დაახლოებით, 40-60 პროცენტით ნაკლები შედის.

შედეგად, სახელმწიფო მინისტრის გადაწყვეტილებით, უნდა შეიქმნას საგანგებო კომისია, რომელმაც ერთი თვის ვადაში საბაჟო ტარიფებს უნდა გადახედოს. ბუნებრივია, საბაჟო ტარიფების ცვლილება უშუალოდ აისახება იმპორტირებული პროდუქციის საბაზრო ფასზე. შესაბამისად, კომისიას პროდუქციის ფასების დარეგულირებაც მოუწევს.

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი გოდაბრელიძე მიიჩნევს, რომ საქონლის ფასის განსაზღვრა მარტო საბაჟოს კომპეტენცია არ არის. მისი თქმით, "საბაჟოს აქვს ორი სერიოზული ცდუნება: ან გარკვეული ქრთამის ფასად დაბალი ფასი აჩვენოს, ან პირიქით – მაღალი ფასი აჩვენოს, რომ გეგმა შეასრულოს." სწორედ ამიტომ, ამ პროცესში სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და გადამხდელთა კავშირის ჩართვაა გადაწყვეტილი.

კომისიას, სავარაუდოდ, ევროპული ინტეგრაციის ახალ საპარლამენტო კომიტეტთან შესაბამისი კონსულტაციების გავლაც მოუწევს. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთ პრიორიტეტად ევროკავშირი საქართველოს საბაჟო ტარიფების ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციას მიიჩნევს.

როგორც ევროპული ინტეგრაციის ახალი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე აკონკრეტებს, ევროპულ სახელმწიფოებს არ უნდა ჰქონდეთ ფსიქოლოგიური პრობლემები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენადაა საქართველო ევროპის წევრი, ამისათვის კი აქტიური მუშაობაა საჭირო.

სხვათა შორის, დღემდე საბაჟოს პირველი პირები, რომელთა ცვლაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში რეკორდული სისწრაფით მიმდინარეობდა, ძირითადად, სწორედ საბაჟოს ევროსტანდარტთან ჰარმონიზაციით იყვნენ დაკავებულნი.

*ნიკა მარიამიძე*

## მიხეილ სააკაშვილი კიევში მიემგზავრება

დღეს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოფიციალური ვიზიტით უკრაინაში მიემგზავრება. ვიზიტისას დაგეგმილია მისი შეხვედრა უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმასთან, რომლის დასრულების შემდეგაც გაიმართება ორი ქვეყნის პრეზიდენტების პრესკონფერენცია. 28 აპრილს საქართველოს პრეზიდენტი კიევიდან ვარშავაში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ევროპის ეკონომიკურ სამიტში. ვარშავაში დაგეგმილია შეხვედრები პოლონეთის პრეზიდენტ ალექსანდრ კვასნევსკისთან და სომხეთის პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანთან. სააკაშვილი სხვა ქვეყნების ოფიციალურ პირებსაც შეხვდება.

*მედია-ნიუსი*

## სამინისტროს წარმომადგენლებმა პატიმრებს მოუგეს

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების გუნდს მინიფეხბურთში დღეს 6:5 მოუგეს. იუსტიციის სამინისტროს გუნდში, სხვებთან ერთად, მინისტრი გიორგი პაპუაშვილიც შედიოდა. მან 40 წუთი არასრულწლოვანებთან ერთად ითამაშა. მატჩის ჩატარების შესახებ დაპირება იუსტიციის მინისტრმა არასრულწლოვან პატიმრებს ჯერ კიდევ აღდგომის დღეს მისცა. მინისტრმა არასრულწლოვანი პატიმრები სასპორტო ინვენტარით დაასაჩუქრა.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით



ინტერ-პრესი

*მიხეილ სააკაშვილი მეჩეთს ეწვია.*

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ თბილისში არსებულ მეჩეთს ეწვია. როგორც პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, მეჩეთში მისი სტუმრობა იმის დასტურია, რომ ქვეყნის ხელისუფლება საქართველოში მცხოვრებ ქართველებს და არაქართველებს მხარდაჭერას უცხადებს.

"ტრადიციული რელიგიების მიმდევრებმა უნდა იგრძნონ, რომ ჩვენ მათ მხარს ვუჭერთ და ისინი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან," - განაცხადა პრეზიდენტმა და დიდი ქართველი მეფის დავით აღმაშენებლის ტრადიცია გაიხსენა. "დავით აღმაშენებელი სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებს რეგულარულად ხვდებოდა, დადიოდა მეჩეთშიც, ეს ძველი ქართული ტრადიციაა," - განაცხადა სააკაშვილმა. პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ სინაგოგაც მოინახულა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი კობა დავითაშვილი დღეს გაიგებს, რა მასალები აქვს გენერალურ პროკურატურას მიხეილ მაჭავარიანთან დაკავშირებით. პარლამენტის ბიუროს დღევანდელ სხდომაზე ნინო ბურჯანაძე დეპუტატებს გენერალური პროკურატურისგან მიწოდებულ იმ დოკუმენტაციას გააცნობს, რომელიც ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის საქმიანობას უკავშირდება. კობა დავითაშვილმა გენერალური პროკურატურისგან მიხეილ მაჭავარიანთან დაკავშირებული ეჭვების გაქარწყლება მაშინ მოითხოვა, როცა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ მაჭავარიანი ვიცე-სპიკერობის პოსტზე წარადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპული ინტეგრაციის ახალი საპარლამენტო კომიტეტის პირველი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე მიიჩნევს, რომ ქვეყნის კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის მიზნით, საქართველოს პარლამენტში აღნიშნული კომიტეტის ჩამოყალიბება აუცილებელი იყო. როგორც დავით ბაქრაძემ "ინტერ-პრესს" განუცხადა, დღემდე საქართველოს პარლამენტში არ იყო სპეციალური სტრუქტურა, რომელიც აღნიშნულ საკითხებზე იმუშავებდა. "დღეიდან კი კომიტეტი ნებისმიერი კანონპროექტის შესახებ დასკვნას მოამზადებს და ვიზირებას გაუკეთებს, რამდენად შეესაბამება ესა თუ ის პროექტი ევროპულ კანონმდებლობას," - აღნიშნა ბაქრაძემ. მისი განცხადებით, კომიტეტის წყალობით, პარლამენტი ველარ მიიღებს იმგვარ კანონებს, რაც ევროპულ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის მიმართულებით სახელმწიფოს პრობლემას შეუქმნის.

ბაქრაძე მიიჩნევს, რომ საპარლამენტო კომიტეტის მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება ევროპის სახელმწიფოების პარლამენტებთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობების დამყარება იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტი აფხაზეთის დეპუტაციის უფლებამოსილების საკითხის გადაწყვეტას არ ჩქარობს. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ იურიდიულ საკითხთა და საპროცედურო წესების კომიტეტებს აფხაზეთის დეპუტაციის საკითხის განხილვა და შესაბამისი დასკვნების პარლამენტის სხდომისთვის წარმოდგენა დაავალა, იურიდიული კომიტეტი მომავალ კვირას აღნიშნული საკითხის განხილვას არ გეგმავს. როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟუაშვილმა განაცხადა, მომავალ კვირას კომიტეტი მხოლოდ შიდასაორგანიზაციო საკითხებს განიხილავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი უზენაეს სასამართლოში მოწმის სტატუსით ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიწვევას ითხოვს. ნათელაშვილმა უზენაეს სასამართლოში მიმდინარე, "ლეიბორისტების" სასამართლო პროცესზე აღნიშნული შუამდგომლობა დასვა, თუმცა სასამართლოსგან უარყოფითი პასუხი მიიღო. "ლეიბორისტები" 28 მარტის არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გაუქმებას ითხოვენ. სასამართლო პროცესი ანონიმური ზარის გამო შეწყდა. უცნობმა პიროვნებამ უზენაესი სასამართლოს დაცვის სამსახურის უფროსს დაურეკა და შენობაში ბომბის არსებობის შესახებ შეატყობინა. უზენაეს სასამართლოში გამოძახებულმა უშიშროების სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა შენობაში ბომბი ვერ აღმოაჩინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვარზე უსაფრთხოების ზომები მას შემდეგ გაძლიერდა, რაც აჭარის პარლამენტმა ავტონომიურ რესპუბლიკაში კომენდანტის საათის და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ დადგენილება მიიღო. სენატმა ეს გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის პარასკევის დადგენილების საპასუხოდ მიიღო, რომლითაც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ აჭარაში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს მიმართა, არ მიიღონ მონაწილეობა საქართველოს სახელმწიფოს, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური წყობის საწინააღმდეგო ქმედებებში და არ დაემორჩილონ ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ბრძანებებს. გუშინ დილიდან, ჩოლოქის საზღვარზე ავტომანქანებისა და ფეხით მოსიარულეების მოძრაობა შეწყდა. გუშინ, დილის 06.00 საათიდან, ჩოლოქზე მობილიზებული იყო შინაგანი ჯარის ნაწილები, სამხედრო ტექნიკა და ასევე დაიდგა დამატებითი ბეტონის ხერგილები. 09.00 საათისთვის ჩოლოქზე მოძრაობა აღდგა, თუმცა გაძლიერებული კონტროლის ქვეშ.

სამგზავრო მატარებელი – "თბილისი-ბათუმი" ოჩხამურის სადგურზე გააჩერეს და საბაჟო უწყების თანამშრომლები მგზავრებს ორი საათის განმავლობაში ამოწმებდნენ.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ დღეიდან სამგზავრო მატარებელი "თბილისი-ბათუმი" მახინჯაურის სადგურში, შესაძლოა, მგზავრების გარეშე შევიდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საგანგებო ვითარების გამოცხადების შემდეგ, ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვარზე რეგიონის მეთაურმა "შავრაზმელების" მობილიზება ხელახლა დაიწყო. როგორც პარლამენტარმა, "გაერთიანებული ოპოზიცია – ჩვენი აჭარას" ერთ-ერთმა ლიდერმა კობა ხაბაზმა აღნიშნა, რეგიონში, ასევე, დაწყებულია მოსახლეობის დაშინება-დატერორება, რომ მათ არ გამოთქვან პროტესტი იქ არსებული რეჟიმის მიმართ. ხაბაზის განცხადებით, აჭარის მეთაურის მხრიდან საგანგებო სიტუაციის კვლავ გამოცხადება გამოწვეულია იმით, რომ ხელი შეუშალონ იმ ხალხს, ვინც ღიად უცხადებს დაუმორჩილებლობას ასლან აბაშიძის ხელისუფლებას და აფიქსირებს დადებით პოზიციას საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების მიმართ, როგორც ეს უკვე გააკეთა თავდაცვის სამინისტროს ბათუმის 25-ე ბრიგადის უმეტესმა ნაწილმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო დაცვის ორმა თანამშრომელმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მდებარე "ჩვენი აჭარის" ოფისში, გვიან ღამით, ფანჯრის მინები ჩაამსხვრიეს. როგორც პარლამენტარმა თამაზ დიასამიძემ აღნიშნა, ოპოზიციის ოფისიდან თავდამსხმელებს არაფერი წაუღიათ, თუმცა მსგავსი ინციდენტი უკვე მეოთხედ მოხდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. ვიზიტის დროს თავდაცვის მინისტრი შეხვდება ამერიკის სახელმწიფო მდივანს და უშიშროების საბჭოს მდივანს კონდოლიზა რაისს. გაიმართება ასევე შეხვედრები პენტაგონსა და სენატში.

როგორც თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, შეხვედრების დროს საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება ამერიკასა და საქართველოს შორის ახალი სამხედრო პროგრამის დაწყების საკითხების დაზუსტება. თავდაცვის მინისტრი საქართველოში 1 მაისს დაბრუნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საგაზაფხულო გაწვევა იწყება, რომელიც 31 ივლისამდე გასტანს. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, გაზაფხულზე საქართველოს სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 8430 კაცით განისაზღვრა. შეიარაღებულ ძალებში გაწვეული იქნება 4 000, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში - 2 800, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში – 1 000, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში – 130, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში – 500. პრეზიდენტის ბრძანებითვე, მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებელის გადახდა უნდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაწვევის უწყების მიღებიდან ათი დღის ვადაში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ექსპლუატაციაში 2005 წლის ივნისში შევა. "BP აზერბაიჯანის" პრეზიდენტის დევიდ ვუდვორდის ინფორმაციით, ნავთობის გაშვების პროცესი მას შემდეგ დაიწყება, როცა მილსადენი წიაღისეულს ნავთობსაბადო "ცენტრალური აზერიდან" მიიღებს. მისი თქმით, ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებული გეგმებისა და პერსპექტივების თაობაზე ინფორმაციის შემცველ დოკუმენტს ის მალე საქართველოს პარლამენტს წარუდგენს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

*ძირითადი ტენდენცია*

# საქართველოს მთავრობის "დიდი ელჩობა" ამერიკაში

ნიკა იმნაიშვილი

კვირას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

"დიდი ელჩობა" ამ ვიზიტს შინაარსით და გადატვირთული პროგრამით შეიძლება ეწოდოს და არა დელეგაციის მასშტაბით, რომელიც, პრეზიდენტის დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ერთობ მოკრძალებულია.

თუმცა, ზურაბ ჟვანია წინა წლებშიც მრავალგზის ყოფილა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მიუხედავად იმდროინდელი საპარლამენტო პოსტისა, მაშინაც მოლაპარაკებებისას, ფაქტობრივად, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმეს აკეთებდა.

დელეგაციის შემადგენლობა კი ყოველთვის მცირერიცხოვანი იყო: ჟვანია, ფაქტობრივად, მარტო აწარმოებდა მოლაპარაკებებს თეთრ სახლსა და კონგრესში, გამოდიოდა სიტყვით სხვადასხვა ფონდებში, ხვდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მესვეურებს, ბიზნესმენებს ვაშინგტონში, ნიუ-იორკსა და ჰიუსტონში, გაერო-ს ხელმძღვანელობას და ასე შემდეგ.

ანუ, ამჟამინდელ პრემიერს ამერიკის ისტებლიშმენტთან ურთიერთობის საკმაო გამოცდილება აქვს და ბევრი მეგობარიც ჰყავს, განსაკუთრებით კაპიტოლიუმზე: მრავალი სენატორი, ვისაც აწ უკვე საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდება მომავალი კვირის განმავლობაში, მას ჯერ კიდევ პარლამენტის თავმჯდომარეობიდან იცნობს და ყოველთვის ინტერესით ხვდებოდა.

მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ჩაკ ჰეიგელი, მიჩ მაკკონელი, სემ ბრაუნბეკი, ჯონ მაკკეინი და მრავალი სხვა, ვინც დიდწილად განსაზღვრავს სენატისა და მთლიანად, "კაპიტოლიუმის" საგარეო პოლიტიკას.

მაგრამ ზურაბ ჟვანიას ვიზიტი თავისთავად ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა.

პრემიერს საქართველოდან, ფაქტობრივად, საპასუხო "მესიჯი" მიაქვს ამერიკელებისათვის იმ კითხვებისა და გზავნილის პასუხად, რაც ვაშინგტონიდან მივიღეთ რევოლუციის შემდეგ და ამერიკაში პრეზიდენტის პირველი, წარმატებული ვიზიტის შედეგად.

დღეს ახალი მთავრობისა და, მთლიანად, ხელისუფლების მოღვაწეობის დაწყებიდან უკვე საკმაო დრო გავიდა და მთავრობის მეთაურის საპასუხო გზავნილი (მთელი რევოლუციური ხელისუფლების სახელით) მოიცავს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ინსტიტუციური რეფორმა, ხელისუფლების ფორმირების დასრულება, რუსეთთან ურთიერთობების ნაწილობრივი მოწესრიგება (რაც ვაშინგტონისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია მოსკოვთან სტრატეგიული დიალოგის ფონზე), ანტიტერორისტულ კოალიციაში მონაწილეობა, ქვეყნის კონსოლიდაცია, სეპარატიზმისა და პარტიკულარიზმის პრობლემათა გადასაჭრელად გადადგმული პირველი ნაბიჯები და სხვა.



*ზურაბ ჟვანია.*

ამ საკითხთა შესაბამისად არის შედგენილი პრემიერის პროგრამაც, - იგი ითვალისწინებს შეხვედრებს სენატორებთან, აგრეთვე თეთრი სახლის ადმინისტრაციის საკვანძო ფიგურებთან (საკმარისია დავასახელოთ კონდი რაისი, კოლინ პაუელი და ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი), ინტერვიუებს ყველაზე გავლენიანი გაზეთებისთვის, შეხვედრებს ისეთ ფიგურებთან, როგორიცაა ზბიგნევ ბჟეზინსკი, სტროუბ ტელბოტი და ასე შემდეგ.

პროგრამის თვისებრივი ნაწილია აგრეთვე მოლაპარაკება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელებთან. ზურაბ ჟვანია გეგმავს შეხვედრას V-10 ჯგუფის წევრებთან ანუ იმ 10 ქვეყნის ელჩთან ამერიკაში, რომლებიც სულ ახლახან გაწევრიანდნენ ევროპის კავშირში.

დაგეგმილია აგრეთვე პრემიერის ჩასვლა ნიუ-იორკში, სადაც შედგება მისი შეხვედრა გენერალურ მდივანთან, გაერო-ს განვითარების ინსტიტუტთა ხელმძღვანელობასთან და დიდი ბიზნესის წარმომადგენლებთან.

ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ, ზურაბ ჟვანიასა და მთავრობის "ელჩობა" ამერიკაში სტრატეგიულ "ნდობის კრედიტის" ფონზე კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის სერიოზული ცდაა, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს ამ კრედიტის დადასტურება (რაც, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს "კარტბლანშს"); უკვე ჩამოყალიბებულ პოზიტიურ ფონზე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობათა აღდგენას და, რაც მთავარია, ვაშინგტონისაგან სახელმწიფოებრივი მდგრადობისა და ეროვნული უშიშროების დამატებით გარანტიათა მიღებას.

# ახალი პარლამენტის ახალი ლაბირინთები

გიორგი ასანიშვილი

22 აპრილს სტარტი აიღო ახალი მოწვევის პარლამენტმა. თუ ექსტრაორდინარული რამ არ მოხდება და პრეზიდენტი ვადაზე ადრე არ დაითხოვს, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ოთხწლიანი არსებობა გარანტირებული აქვს. რა პროცესები განვითარდება ამ მარათონულ დისტანციაზე, დღეს ვერავინ იტყვის. ამჟამად მხოლოდ წინა მოწვევის პარლამენტთან პარალელების გავლებით შეიძლება შემოვიფარგლოთ.

პირველი, რაც ახალი პარლამენტის მუშაობის პირველ ორ დღეში ყველაზე მეტად იყო თვალშისაცემი, პლენარულ სხდომებზე დასწრების არნახულად მაღალი მაჩვენებელია. არადა, წინა პარლამენტის "საფირმო ნიშანს" სწორედ კვორუმის არარსებობა წარმოადგენდა. თუმცა, ჯერ ნაადრევია იმის მტკიცება, თითქოს, რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების ან ახალი დეპუტაციის დისციპლინირებულობის წყალობით, ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდა. პირველ სხდომებზე პარლამენტარების სიმრავლეს, ალბათ, ის უფრო განაპირობებს, რომ "ძველებს" ტრიბუნა და მიკროფონი მოენატრათ, "ახალ" დეპუტატებს კი ახალი ხილის გემო აინტერესებთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პირველი შთაბეჭდილებები უფრო ეფექტურია და ამიტომ, ვინც თავიდანვე მოახერხებს, კოლეგებს და, საერთოდ, მთელ საზოგადოებას თავი კარგად დაამახსოვროს, ამით საკმაოდ ბევრ ქულას ჩაიწერს.

წინა და დღევანდელი პარლამენტების შედარებისას, სხდომებზე დასწრების რაოდენობრივი მაჩვენებლის "გაუმჯობესებასთან" ერთად, აღსანიშნავია "თვისობრივი მახასიათებლების" ცვლილებაც.

ჯერ ერთი, სახეზეა უმრავლესობისა და ოპოზიციის ახალი კონფიგურაცია. ადრე არსებული თხუთმეტის ნაცვლად, ამჟამად ისინი "სულ რაღაც" ოთხ ფრაქციაში განთავსდნენ (პლუს, დამოუკიდებელ დეპუტატთა საკოორდინაციო საბჭო). ამასთან, მოხდა ისე, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ბირთვს სწორედ ის პოლიტიკური ძალები შეადგენენ, რომლებიც წინა პარლამენტში უმცირესობაში იმყოფებოდნენ ("ნაციონალები"და "დემოკრატები"), ხოლო მათ, ვინც ადრე თავს ოპოზიციას აკუთვნებდა, მაგრამ



*პარლამენტის სტარტი.*

კრიტიკულ მომენტში შევარდნაძის ბანაკს მიემხრო ("ახლები" და აჭარის დეპუტაცია), დღეს საშუალება ეძლევათ, თავისი ოპოზიციური "შესაძლებლობები" მაქსიმალურად გამოამჟღავნონ.

თუმცა, როგორც პარლამენტის მუშაობის პირველმა ორმა დღემ აჩვენა, უმრავლესობას მთავარი საფრთხე ოპოზიციისგან კი არა, არამედ თავისივე რიგებიდან "შობილი" პოლიტიკოსისგან ელის - გარდა იმისა, რომ კობა დავითაშვილმა ზედმიწევნით კარგად იცის ყოფილი თანამოაზრეების პლუსები და მინუსები, ამავე დროს, მას ძალიან მაღალი რეიტინგი და ავტორიტეტი აქვს, და ამდენად, უმრავლესობისთვის დიდი "ზიანის" მიყენება შეუძლია.

რაც შეეხება თავად უმრავლესობას, ერთი შეხედვით, მისი პოზიციები საკმაოდ მყარი და შეუვალია - ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატებში" 139 დეპუტატია გაერთიანებული, დაუმატეთ ამას ოცკაციანი ფრაქცია "მაჟორიტარები", რომელსაც ბესო ჯუღელი ხელმძღვანელობს და რომელიც მთლიანად ხელისუფლების "განკარგულებაშია"; გარდა ამისა, მმართველი ძალის წინააღმდეგ, ალბათ, არც ვანო ჩხარტიშვილის ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარები" გაილაშქრებს... ანუ: უმრავლესობის "იმპერია" ამჟამად პარლამენტის თითქმის 80 პროცენტზეა განვრცობილი.

საკითხავი მხოლოდ ის არის, მომავალში შეძლებს თუ არა ის ერთიანობის შენარჩუნებას. საპარლამენტო უმრავლესობის სიმტკიცე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებით დასრულდება "ნაციონალებისა" და "დემოკრატების" შერწყმის პროცესი. არადა, მათ შორის შიდა წინააღმდეგობები რომ ნამდვილად არსებობს, პარლამენტის სხდომაზეც დადასტურდა. კერძოდ, როდესაც "დემოკრატების" კვოტით გასულ ხათუნა გოგორიშვილს საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარედ ამტკიცებდნენ, ზოგიერთმა "ნაციონალმა" მისთვის ხმის მიცემა არ ისურვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს მაია ნადირაძეს დიდი შრომა მოუწევს, რათა მსგავსმა რეციდივებმა მომავალშიც არ იჩინოს თავი და პარტიულმა სეპარატიზმმა ერთიანობას ბოლო არ მოუღოს. მით უმეტეს, ნათელია ისიც, რომ ამაზე გარე ძალაც იმუშავებს, კობა დავითაშვილის მეთაურობით.

თუმცა, უმრავლესობის დაშლის ალბათობა მაინც ძალიან მცირეა. თუნდაც იმიტომ, რომ "ამბოხებულებს" წასასვლელი, ფაქტობრივად, არსად ექნებათ: უმრავლესობიდან გაქცევა, ოპოზიციის უკიდურესი სისუსტის გამო, დღეს თითქმის პოლიტიკური თვითლიკვიდაციის ტოლფასია.

# „მემარჯვენე ოპოზიცია" და საპარლამენტო უმრავლესობის ქცევის თავისებურებები

*ახალი მოწვევის პარლამენტის პირველივე სხდომებმა "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლებს უმრავლესობის ქცევის თავისებურებების გაანალიზების საშუალება უკვე მისცა. გარკვეული დასკვნებიც გამოტანილია.*

თამარ ასათიანი

როგორც "ახალი მემარჯვენეების" გენერალური მდივანი დავით საგანელიძე აცხადებს, ამ ორმა დღემ "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლების ის ვარაუდი დაადასტურა, რომელსაც ჯერ კიდევ ახალი პარლამენტის შეკრებამდე ახმოვანებდნენ. **"სამწუხაროდ, მე არ მაქვს იმის უფლება, რომ განვაცხადო – პარლამენტის სხდომები კანონისა და რეგლამენტის დაცვით მიმდინარეობს. უმრავლესობას არ აქვს სურვილი, განსხვავებულ პოლიტიკურ მოსაზრებებს მოუსმინოს. და თუ ვინმეს ამის საშუალებას მაინც აძლევენ, მხოლოდ იმიტომ, რომ "მოსმენის ილუზია" შეიქმნას. თუმცა, ამ ორმა დღემ დაგვანახა, რომ არც ერთ განსხვავებულ წინადადებას ან ინიციატივას არსებითად არ იხილავენ. უფრო ზუსტად, ამის სურვილი არ აქვთ,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას "ახალი მემარჯვენეების" გენერალურმა მდივანმა, ონის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით საგანელიძემ.

ბუნებრივია, 17-კაციანი ფრაქცია პარლამენტში ამინდს ვერ ქმნის. "ახლებისა" და "მრეწველების" წარმომადგენლები საპარლამენტო თანამდებობების მიღმა რჩებიან. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, მათ ერთი ან ორი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი შესთავაზონ, მაგრამ ამ წინადადებას ფრაქციის წარმომადგენლები საკმაოდ არასერიოზულად უყურებენ. მათთვის ყველაზე პრობლემური ის არის, რომ პარლამენტში უმცირესობა ვერ იქმნება. შესაბამისად, ოპოზიციური ფრაქცია ყველა იმ პრივილეგიის გარეშე რჩება, რაც უმცირესობის ჩამოყალიბების შემთხვევაში ექნებოდათ.

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ საპარლამენტო უმცირესობის შექმნა ხელოვნურად, მმართველი პარტიის ხელდასმით ვერ მოხერხდა. მათი თქმით, ამაში ლომის წილი ბესო ჯუღელს და ფრაქცია "მაჟორიტარების" წევრებს მიუძღვით, რომლებმაც (იმის მიუხედავად, რომ პარლამენტში "ნაციონალური მოძრაობა"–"დემოკრატების" მხარდაჭერით შევიდნენ) საპარლამენტო უმრავლესობის რიგებში გაწევრიანებაზე შეგნებულად განაცხადეს უარი.

**"რეგლამენტის თანახმად, უმცირესობა შეიქმნება, თუკი ოპოზიციური ფრაქციები უმრავლესობის მიღმა დარჩენილ დეპუტატთა ნახევარზე მეტს წარმოადგენენ. ჩვენი ფრაქცია, ძალთა დღევანდელი გადანაწილების ფონზე, ნამდვილად შორს არის იმ აზრისაგან, რომ უახლოეს ხანებში საპარლამენტო უმცირესობის ჩამოყალიბებას შევძლებთ. ჩვენ ერთადერთი ოპოზიციური ფრაქცია ვართ და, შესაბამისად, ყველა იმ ბერკეტებით უნდა ვსარგებლობდეთ, რომელიც უმცირესობისთვის არის განკუთვნილი – იგივე ვიცე-სპიკერის კვოტა, უმცირესობის საათი... მაგრამ თავადაც ხვდებით, რომ უმრავლესობა ასეთ დათმობებზე არ წავა,"** – ამბობს დავით საგანელიძე, რომლისთვისაც აბსოლუტურად მიუღებელია ის ტენდენციები, რომელიც ამ ორი დღის განმავლობაში გამოიკვეთა.

დავით საგანელიძეს, საკუთარი პოზიციების გასამყარებლად, კონკრეტული მაგალითები მოჰყავს. პირველ რიგში, ეს პარლამენტის მიერ აჭარაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებაა. **"იგი ორი ნაწილისაგან შედგება: პოლიტიკური ანალიზი და თავად დადგენილებითი ნაწილი. ჩვენ აბსოლუტურად ვიზიარებთ იმ პოლიტიკურ შეფასებას, რომელიც პირველ ნაწილში იყო მოცემული, მაგრამ მიუღებელია ის "ვიზა", რომელიც პარლამენტმა ხელისუფლებას ნებისმიერი ძალადობრივი ქმედებების გასამართლებლად მისცა. ძალოვან სტრუქტურებს ისედაც ევალებათ ქვეყნის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის დამყარება. ამ დადგენილებით კი პარლამენტმა ხელისუფლების მომავალი ნაბიჯები პოლიტიკურად გაამართლა. ჩვენ არ მოგვეცა საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება და არც ჩვენი წინადადება გაუზიარებია ვინმეს. საქმე ის არის, რომ ჩვენ სხდომის დახურვას და პარლამენტში ძალოვანი უწყებების პირველი პირების მოსვლას ვითხოვდით, რათა მოგვესმინა, რეალურად რა ვითარება იყო შექმნილი ქვეყანაში და მართლაც საჭირო იყო თუ არა ასეთი პოლიტიკური "ვიზის" გაცემა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენ არავინ მოგვისმინა. პარლამენტის თავმჯდომარემ დროის სიმცირე მოიმიზეზა, არადა, უდავოა, რომ ჩვენთვის პოზიციის გამოხატვაზე უარის თქმა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო,"** – ამბობს საგანელიძე.

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლებისთვის აბსოლუტურად გაუგებარია ისიც, თუ რატომ არ გახადა პარლამენტმა მსჯელობის ღირსად საპროცედურო კომიტეტის პოსტზე დასახელებული კობა დავითაშვილის კანდიდატურა. როგორც დავით საგანელიძე ამბობს, მათ კობა დავითაშვილი მხოლოდ ერთი მიზეზის გამო დაასახელეს – "იგი ობიექტური, პოლიტიკურად დამოუკიდებელი დეპუტატი და კარგი იურისტია. ამიტომაც, პარლამენტის საქმიანობას ობიექტურად გააკონტროლებდა."

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ადრე თუ გვიან, საპარლამენტო უმრავლესობას საკმაოდ ბევრი დეპუტატი დატოვებს. **"მათ რიგებში საკმაოდ ბევრი პატიოსანი და ღირსეული ადამიანია და თუკი უმრავლესობის ლიდერები საკუთარ ქმედებებს არ გადახედავენ, ისინი მათ მალე განუდგებიან,"** - იმედოვნებს დავით საგანელიძე.




## ორი სიტყვით

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროში ლიცენზირებისა და მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის შესახებ კანონპროექტებზე მუშაობა მიმდინარეობს. იუსტიციის მინისტრის გიორგი პაპუაშვილის თქმით, ლიცენზირებისა და მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის შესახებ კანონპროექტის მიზანი ბიზნესისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნაა. აუცილებელია გამარტივდეს ლიცენზირებისა და კონტროლის სისტემა, რაც ხელს შეუწყობს კორუფციის შემცირებას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის მხარის მონაწილეობით, რუსეთ-საქართველოს შორის კონსულტაციები ეკონომიკურ და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების საკითხებზე 26-27 აპრილს მოსკოვში გაიმართება. ამის შესახებ საქართველოს ელჩმა რუსეთში კონსტანტინე კემულარიამ განაცხადა. შეხვედრაზე რუსეთის მხარეს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშჩინინი წარმოადგენს, საქართველოს მხარეს – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე, აფხაზურ მხარეს კი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის ინსპექტორებმა შაბათს, ლუდ "ყაზბეგის" პოლიეთილენის მეორად ბოთლში ჩამოსხმული ლუდით ვაჭრობის შემთხვევა გამოავლინეს. თუ "ყაზბეგი" ორშაბათამდე არ შეასრულებს სანიტარული სამსახურის მოთხოვნას მეორადი მოხმარების პოლიეთილენის ბოთლებში ლუდის ჩამოსხმის აკრძალვის შესახებ, მის წინააღმდეგ ადმინისტრაციულ ზომებს მიიღებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურული რეორგანიზაციის დასრულებისთანავე განახლდება. როგორც ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი რეხვიაშვილმა განაცხადა, მანამდე აუცილებელია საპრივატიზაციო ობიექტთა ახალი ნუსხის შედგენა და პრივატიზაციასთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობის გამარტივება. "ქონებას იმისთვის ვყიდით, რომ საწარმოებმა წარმატებით იმუშაოს. გაყიდული საწარმოები თუ გაკოტრდა, ასეთ პრივატიზებას აზრი არ ექნება," – განაცხადა რეხვიაშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია "ფაო" საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტს კომპიუტერული ქსელის შექმნაში დაეხმარება. ამჟამად ეს უწყება რაიონებში ეპიზოოტიური მდგომარეობის ან დაავადებების გავრცელების შესახებ ინფორმაციას, ძირითადად, მასმედიის საშუალებით შეიტყობს. პროგრამას "ფაო" 400 ათასი ევროთი დააფინანსებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აზერბაიჯანში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "ღია საზოგადოების ინსტიტუტი – დახმარების ფონდი" კომპანია BP-სთან ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმადაც, ფონდი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე გაკეთებულ მონიტორინგს კოორდინირებას გაუწევს. ხელშეკრულება NGO-ს BP-სა და არასამთავრობოებს შორის შუამავლობასაც ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

# ცენტრი-აბაშიძის დაპირისპირება საქართველოს ეკონომიკას ძირს უთხრის

პირველი გვერდიდან

### სარფის საბაჟო

აჭარის მიმართ ეკონომიკური სანქციები თითქმის ერთი თვის წინათ დასრულდა, თუმცა რეგიონის სასაზღვრო პუნქტებში თანამშრომლები დღესაც არასრული დატვირთვით მუშაობენ. დღეს ბათუმის პორტი და სარფის საბაჟო, ძირითადად, იმ ტვირთებს იღებენ, რომელიც აჭარისთვის არის განკუთვნილი. სამაგიეროდ, ბოლო დღეებში შესამჩნევად გაიზარდა ვალეს საბაჟოსა და ფოთის პორტის დატვირთვა. იმპორტიორი და ექსპედიტორი კომპანიებისთვის ქვეყანაში ტვირთების შემოტანა ახლა ვალეს საბაჟოდან უფრო მოსახერხებელი გახდა, არადა ვალეს მისადგომი გზები კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია, ვიდრე ეს რამდენიმე თვის წინ იყო.

კომპანია "კავკასექსპრესი", რომელიც ტვირთების გადაზიდვით არის დაკავებული, ბოლო რამდენიმე თვეა, სარფის საბაჟოთი აღარ სარგებლობს. კომპანიის ფინანსური დირექტორი ნიკო ზარდიაშვილი ამბობს, რომ აჭარის რეგიონში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო, სარფზე გადმოსვლას ვერ რისკავს. **"მანამ იქ სიტუაცია ჩვეულ რიტმს არ დაუბრუნდება, ვერ გავრისკავთ... მირჩევნია, ვალეზე შემოვლით შემოვუტანო ჩემს კლიენტს ტვირთი,"** - აღნიშნა ზარდიაშვილმა "24 საათთან" საუბრის დროს.

თუმცა, მისი თქმით, აბაშიძის ხელისუფლება მას და მის კოლეგებს, მანამდეც პერიოდულად პრობლემებს უქმნიდა. მართალია, ვალეზე გავლით ექსპედიტორებს გზა უგრძელდებათ, თუმცა პრობლემები მათ აქ ნაკლებად ექმნებათ, თანაც, როგორც თვითონ ამბობენ, ასე თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ.

"სამხრეთ საბაჟოს" უფროსი ნიკა ქიზიყურაშვილი ამბობს, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, ვალეს საბაჟო გამშვებ პუნქტზე სატვირთო მანქანების რაოდენობამ ამ დღეებში მნიშვნელოვნად იმატა. გარდა იმისა, რომ ამ საბაჟოზე გამავალი, თოვლისგან ჩაკეტილი გზა მთლიანად გაიხსნა და დაზიანებული ხიდიც კაპიტალურად შეკეთდა, ქიზიყურაშვილის თქმით, **"გარკვეული რაოდენობის მანქანები შემოდიან ჩვენს საბაჟოზე, რომლებიც ცოტა ხნით ადრე სარფის საბაჟოს გავლით შემოდიოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე."**

სარფის საბაჟოზე სატვირთო მანქანების გრძელი რიგი რომ მართლაც შემოკლდა, ამას პრეზიდენტის წარმომადგენელი სარფის საბაჟოზე დავით ახალაიაც ადასტურებს. მისი თქმით, ტვირთბრუნვის კლების ტენდენცია მის საკონტროლო პუნქტზე უკანასკნელი კვირების განმავლობაში აშკარად შესამჩნევი გახდა.

### ბათუმის პორტი

რაც შეეხება ბათუმის პორტს - "კავკასექსპრესმა", ისევე როგორც სხვა ბევრმა ექსპედიტორმა, მასზე უარი, აჭარაში ვითარების გამწვავებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ თქვა. კომპანიის ფინანსურმა მენეჯერმა ჩვენთან საუბარში ამის მიზეზად ადგილობრივი ხელისუფლების კლანური ინტერესები დაასახელა. ბათუმის პორტით სარგებლობის შემთხვევაში, ექსპედიტორ კომპანიებს ადგილობრივ კოლეგებთან სამუშაოს განაწილება მოუწევთ. **"ტრადიციულად, ბათუმის პორტში ჩვენნაირი, არააჭარული კომპანიები თავისუფლად ვერ მუშაობენ. თუკი მე ბათუმის პორტით დავაპირებ ტვირთის მიღებას, მე "ვალდებული" ვარ, იქაურ ჩემს კოლეგას დავუკავშირდე და საქმის ნაწილი იმას გავაკეთებინო, რაც ჩემთვის, როგორც ბიზნესმენისთვის, წამგებიანია,"** - გვითხრა ზარდიაშვილმა.

იმ იმპორტიორებს კი, ვინც წლების განმავლობაში ბათუმის პორტის გავლით აწყობდნენ საკუთარ ბიზნესს, ცოტა ხნის წინათ მარშრუტში მცირეოდენი ცვლილების შეტანა მოუხდათ. ახლა ისინი ევროპიდან და თურქეთიდან შემოტანილ ტვირთებს ფოთის პორტში ცლიან. ამჟამად ბათუმის პორტი მხოლოდ 10-15-პროცენტიანი დატვირთით მუშაობს. ეს ინფორმაცია "24 საათს" პრეზიდენტის წარმომადგენელმა ბათუმის პორტში ვასილ სანოძემ მოაწოდა. სანოძის თქმით, ბოლო სამი კვირის განმავლობაში პორტის ცხრა მისადგომიდან მხოლოდ ორი-სამი თუ მუშაობს. **"ახლა აქ ძირითადი ტვირთი ჯართი და მაზუთია. ამ წუთში პორტში ვდგავარ და ვხედავ, რომ ორად-ორი გემი დგას, ერთი ჯართით არის დატვირთული, მეორე კი მინით იტვირთება. ბევრმა სერიოზულმა ფირმამ ბათუმის პორტთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა,"** - ამბობს ვასილ სანოძე.

ამ ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ფოთის პორტში ტვირთბრუნვების მოცულობა. პორტის უფროსის პირველმა მოადგილემ თემურ ხოხობიამ "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, რომ გასულ წელთან შედარებით, წელს აქ პირველ კვარტალში 400 ათასი ტონით მეტი ტვირთი გადამუშავდა, აპრილის პირველ სამ კვირაში კი - 100 ათასით მეტი.

ასე რომ, აჭარის ბიუჯეტის და, განსაკუთრებით, იქაური მაღალჩინოსნების ორი ძირითადი მკვებავი წყარო - სარფის საბაჟო და ბათუმის პორტი დღეს უკვე ჩვეული "ხალისით" ველარ მუშაობს. თუმცა, ამის მიზეზი მხოლოდ იმპორტიორების სიფრთხილე როდია. პრეზიდენტის წარმომადგენლები სარფის საბაჟოსა და ბათუმის პორტში აცხადებენ, რომ მათი კონტროლის გარეშე, აჭარის საზღვარზე ტვირთები ვერ შემოდის.

ლოგიკურია, რომ ამან როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებზე იმოქმედა.

### აჭარიდან თანხები დაიძრა

პირველ კვარტალში აჭარიდან სახელმწიფო ბიუჯეტში, გეგმით გათვალისწინებული 15 მილიონი ლარიდან, მხოლოდ ორ მილიონამდე ლარი გადმოირიცხა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მარტში აჭარიდან სახელმწიფო ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ გადმორიცხულა. პირველ კვარტალში დანაკლისმა აჭარიდან გადმოსარიცხი თანხების ნაწილში 10 მილიონ ლარს გადააჭარბა.

გეგმის შეუსრულებლობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი იასე თვალეიშვილი ეკონომიკური ბლოკადის შედეგად მიიჩნევს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ აჭარიდან თანხების გადმოურიცხაობა ახალი პრობლემა არ არის. შევარდნაძე-აბაშიძის მეგობრული ურთიერთობა სახელმწიფო ბიუჯეტს ყოველწლიურად 40 მილიონი ლარი უჯდებოდა.

მიმდინარე წლის ხუთ აპრილს, ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესების მიზნით, ერთიანი სახაზინო ანგარიში ამოქმედდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ხუთი აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით, აჭარიდან ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხულმა მთლიანმა თანხამ 3,5 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან, აჭარას მისი კუთვნილი - 1,3 მილიონი ლარი უკან დაუბრუნდა.

ახალი ბერკეტების ამოქმედების მიუხედავად, ექსპერტების შეფასებით, აჭარიდან კვლავ მცირე მოცულობის თანხები მოდის. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ეს, უბრალოდ, დროის ფაქტორია. **"მთავარი ის არის, რომ თანხებმა მოძრაობა დაიწყო. აჭარიდან მოდის თანხა და აქედან მიდის აჭარაში. რა თქმა უნდა, კონტროლიც თავისთავად გაიზარდა. ის, რაც არ შემოვა ჩვენთან, არ აღირიცხება, როგორც საგადასახადო შემოსავალი,"** - ამბობს ხაზინის უფროსი ვაჟა პეტრიაშვილი.

**"ერთიანი სახაზინო ანგარიში სრული დატვირთვით ფუნქციონირებს. მე ამას მივესალმები, რადგან ის გაუგებრობები, რაც ცენტრსა და რეგიონს შორის იყო, ფაქტობრივად, მოიხსნა. ამის შემდეგ ის ურთიერთბრალდებები - არ მირიცხავთ, თქვენ არ მირიცხავთ და ა.შ. - რაც აქამდე იყო, მთავრობის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯით (ერთიანი სახაზინო ანგარიშის გახსნა) მოიხსნა,"** - განაცხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა იასე თვალეიშვილმა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის განცხადებით, მძიმე მდგომარეობაა ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების თვალსაზრისითაც. თვალეიშვილის ინფორმაციით, კვლავ პრობლემურია თანხების მობილიზებაც, თუმცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში ოპტიმისტურად არიან განწყობილები და აცხადებენ, რომ ამ ნაწილში სიტუაციას მალე გამოასწორებენ. **"თანხების ამოღების თვალსაზრისით ნამდვილად არ გვაქვს საქმე ისე, რომ თავი მოგვეწონდეს. მაგრამ ვფიქრობ, რომ უახლოეს პერიოდში გაუმჯობესებას შევძლევთ,"** - აცხადებს თვალეიშვილი.

სხვათა შორის, "24 საათმა" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროდან არაერთხელ გამოითხოვა ოფიციალური მონაცემები როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტში გადმორიცხული თანხების შესახებ. დაპირების მიუხედავად, აჭარის ფინანსთა სამინისტრომ ოფიციალური ინფორმაცია არ მოგვაწოდა.

### ტურიზმი

ვერ გეტყვით, ზუსტად რითია განპირობებული აჭარის ფინანსთა სამინისტროს ოპტიმიზმი სამომავლო შემოსავლებთან დაკავშირებით, თუმცა ფაქტია, რომ წელს აჭარაში საკურორტო სეზონსაც საფრთხე ემუქრება. ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე ამბობს, რომ თუკი რეგიონში დღეს არსებული სიტუაცია კიდევ რამდენიმე თვეს გაგრძელდება, ამ ზაფხულს ტურისტულ ბიზნესს აჭარაში სერიოზული დარტყმა მიადგება. ამით, პირველ რიგში, აჭარის მაცხოვრებელთა ის უდიდესი ნაწილი დაზარალდება, რომელიც ზაფხულის თვეებში გამომუშავებული ლარებით, მეორე სეზონამდე თავსაც და ოჯახსაც არჩენდა.

მართალია, ზაფხულამდე ჯერ კიდევ თვეზე მეტი დარჩა, მაგრამ ცენტრისა და რეგიონის დაპირისპირება ტურისტულ ბიზნესზე, გარკვეულწილად, უკვე აისახა.

აპრილის ბოლოს საქართველოში საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობა იგეგმება. შუბლაძის ინფორმაციით, რამდენიმე უცხოურმა ტურისტულმა კომპანიამ აჭარაში შექმნილი ვითარების გამო, ქვეყანაში ჩამოსვლასა და მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა. **"გამოფენა-ბაზრობაზე მონაწილეობას რუსული კომპანიებიც ღებულობდნენ. ამ ორი დღის წინათ რუსეთიდან სატელეფონო შეტყობინება მივიღეთ, სადაც ნათქვამი იყო, რომ დაძაბული ვითარების გამო, მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ ქვეყანაში ჩამოსვლა და ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. დაძაბულობაში ისინი აჭარას გულისხმობდნენ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს შუბლაძემ.

### ინვესტიციები

რუსული ტურისტული კომპანიების გარდა, აჭარაში შექმნილმა სიტუაციამ სხვა პოტენციური ინვესტორებიც დააფრთხო. ექსპერტი ნიკო ორველაშვილი ირწმუნება, რომ ეკონომიკური სანქციებით და ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული დაძაბულობით მთელი ქვეყანა დაზარალდა. უარყოფითი შედეგები უკვე სახეზეა. საქართველოსადმი, როგორც სტაბილური გარემოსადმი, ნდობა შერყეულია. ორველაშვილის განმარტებით, ქვეყანამ უახლოეს მომავალში ინვესტიციების მოზიდვის შანსიც დაკარგა. საინვესტიციო კრიზისი განსაკუთრებით რეგიონს და მის მიმდებარე ტერიტორიას შეეხო, თუმცა, ამ მხრივ, არც ქვეყანაა სახარბიელო მდგომარეობაში. **"თუ მანამდე გვქონდა შანსი, ქვეყანა ინვესტიციებისადმი მეგობრულ გარემოდ წარმოგვედგინა, დღეს ამის შანსი აღარ გვაქვს, რადგან ყველა აფეთქებას და უბედურებას ელოდება. აქედან გამომდინარე, თუკი სერიოზული საინვესტიციო წინადადებების განხორციელება დაგეგმილი იყო, გაურკვეველი ვადით გადაიდო და თუ დაგეგმილი არ იყო, ძალიან დაბალია იმის ალბათობა, რომ უახლოეს მომავალში დაიგეგმოს,"** - განაცხადა ნიკო ორველაშვილმა.

**"ინვესტიციებზე როგორ არ იმოქმედა. როცა მთელმა მსოფლიომ დაინახა, როგორი დაძაბულია შიდა ურთიერთობები, ბუნებრივია, მე, რა კეთილმოსურნეც არ უნდა ვიყო თქვენი, თქვენთან საქმეს არ დავიჭერ - ასეთია ინვესტორების დამოკიდებულებაც,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში იასე თვალეიშვილმა.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ არასტაბილური და ფეთქებადსაშიში გარემო აჭარაში სერიოზულ ეკონომიკურ ზარალს აყენებს მთლიანად ქვეყანას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში არსებული ეკონომიკური ვითარება ისედაც ძალიან მძიმეა, ცხადია, რომ კონფლიქტის "დროში გაყინვა" ქვეყნისთვის ეკონომიკური კატასტროფის წინაპირობად შეიძლება იქცეს.


## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**26 აპრილს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:**
გლდანის VI მიკრორაიონის მაცხოვრებლებს.

**27 აპრილს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ბარნოვის, ბელინსკის, ერისთავი-ხოშტარიას, გალის, გოგებაშვილის, გუნიას, ჯანაშიას, პეტრიაშვილის, რჩეულიშვილის, შანიძის, სვანიძის, ჭოველიძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**27 აპრილს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ზესტაფონის, ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ) ქუჩების მაცხოვრებლებს.

**27 აპრილს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:**
გლდანის III, IV, V მიკრორაიონების, თიანეთის გზატკეცილის(ნაწილობრივ), ვართაგავას, მორეტის, ქერჩის, ხევძმარის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**27 აპრილს, 11.00-დან 18.00-სთ-მდე:**
სამრეწველო, რკინიგზის, ნავთლუღისა და 31-ე ქარხნის დასახლებების, ქეთევან წამებულის გამზირის(ნაწილობრივ), მოსკოვის გამზირის(ნაწილობრივ), კახეთის გზატკეცილის(ნაწილობრივ), დოდაშვილის მოედანის, მეველეს, სამგორის, კოპცოვის, მესხეთის, ხარაბაძის, ყარყარაშვილის, ზანდუკელის, წულაძის, ჩოხელის, თეთრიწყაროს, სახალხოს, ხევის, ჩარხის, ბოლნისის, ციხისძირის, ივლეთის, ნარგიზის, ქედის კომუნის, ჰოსპიტალის, ჯავახეთის შესახვევის, ბაღდადის, ბოლნისის, დირსიჭალის, დოდაშვილის, რუისის, რთველაძის, ჩკალოვის, დიდგორის, წულაძის, ბოგდან ხმელნიცკის (ნაწილობრივ) ქუჩების მაცხოვრებლებს.



**სს "თელასი'' აცხადებს კონკურსს შემდეგი მასალების შეძენაზე; ს.ს."თელასი" ქვემოთჩამოთვლილ საქონელს შეისყიდის იმ ორგანიზაციისგან, ვინც საუკეთესო ფასს, და მოწოდების საუკეთესო პირობებს შემოგვთავაზებს.**

1. საакумულატორო ბატარეა СК-8
2. საакумულატორო ბატარეა СНП-300
3. გოგირდმჟავა (კონცენტრირებული)

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში; თბილისი, ვანის ქუჩა N3


# "ყაზბეგში" ყველაფერი ქართული და ნატურალურია

გასულ შაბათს სააქციო საზოგადოება "ყაზბეგის" რუსთავის ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ქარხანა დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის ოცდაათამდე თანამშრომელმა დაათვალიერა. მათ მასპინძლობას თავად გოგი თოფაძე უწევდა. ქარხნის დათვალიერება სტუმრებმა ლუდის უნიკალური სამხარშაო საამქროდან დაიწყეს, რომელიც სპეციალურად "ყაზბეგისთვის" 31-ე ქარხნის სპეციალისტებმა დაამზადეს. როგორც გოგი თოფაძემ განაცხადა, კომპანიას უცხოური წარმოების ამგვარი მოწყობილობის, თანაც ნახმარის შეძენა დაახლოებით 2 მილიონი უჯდებოდა, ქართველმა სპეციალისტებმა კი ის ნახევარ ფასში დაამზადეს. უცხოური, ძალიან პრესტიჟული ფირმის "სექენდ ჰენდს" ყაზბეგელებმა ქართული ექსპერიმენტი ამჯობინეს და არც უნანიათ. გოგი თოფაძემ სტუმრებს სამხარშაო საამქროშივე დააჭაშნიკებინა ახალი ხორბლის ლუდი, რომელიც გაყიდვაში უახლოეს დღეებში გამოვა.





ქარხნის დათვალიერების შემდეგ დავით ტატიშვილი და მისი კოლეგები აცხადებდნენ, რომ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმის ნახვამ, თუ როგორ მზადდება ნატურალური ხილითა და ციტრუსით ჯანსაღი და ხარისხიანი უალკოჰოლო სასმელები. ლაბორატორიაში სპეციალურ უნიფორმებში გამოწყობილი გოგონები ქართულ ლიმონს თლიდნენ. სტუმრებმა ისიც გაიგეს, რომ ცივი ჩაისთვის მხოლოდ ლიმნის კანს იყენებენ, ნაყოფი კი ქარხნის თანამშრომლებს ურიგებენ ან საბავშვო ბაღებს უგზავნიან. აღსანიშნავია, რომ "ყაზბეგში" ტონობით ლიმონი, ფორთოხალი, ატამი და ყველა ის ხილი ითლება ან ირჩევა, რომლის ცივ ჩაის და ლიმონათსაც აქ აწარმოებენ.

დავით ტატიშვილი: "რაც ჩვენ დღეს ვნახეთ, ამის დაჯერება რიგითი მოქალაქისთვის ძალიან ძნელია. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთლიანად წარმოებამ, რომელიც დაყრდნობილია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე და ეს ექიმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დღევანდელი კონცეფციით ონკოლოგიური და სხვა საშიში დაავადებები უხარისხო, ტოქსიკური საკვებით ჩნდება. ახლახანს ჩამოვედი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საფუძვლიანად გავეცანი იქაურ ჯანდაცვის სისტემას, სადაც ჯანსაღ კვების პროდუქტებს ძალიან დიდი ადგილი უკავია, ანუ ისეთ პროდუქტებს, როგორსაც "ყაზბეგი" აწარმოებს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არ არის ამის პროპაგანდა. ახლა აქ საქართველოს საუკეთესო ექიმები არიან და გამოგიტყდებით, რომ ჩვენ ამ ინფორმაციის 90% არ გვქონდა. და რაც ყველაზე მთავარია, აუცილებელია, რომ საკმაოდ მდიდარი ეროვნული პოტენციალი თანამედროვე ტექნოლოგიურ დონეზე განვავითაროთ. ამას ვაკეთებთ ჩვენ, ამას აკეთებს ბატონი გოგის ხელმძღვანელობით ეს ბრწყინვალე კოლექტივი. მათი საქმიანობა სამაგალითო უნდა გახდეს სხვებისთვის."

"ყაზბეგი" არის კომპანია, რომელიც ცდილობს, საფუძველი ჩაუყაროს ქართული წარმოების კონკურენტუნარიანობის იდეოლოგიას, რაც თავისთავად კეთილშობილური, თუმცა ურთულესი საქმეა.

"ჩვენი მიზანია, დავარწმუნოთ საზოგადოება, რომ ქართველებსაც შეგვიძლია ვაწარმოოთ პროდუქტი, რომელიც მოსწონთ ამერიკაში, ავსტრიაში, ერაყში და ასე შემდეგ. ასევე გვინდა ყველას ვაჩვენოთ, რომ ნებისმიერი პროდუქცია, რომელსაც "ყაზბეგი" აწარმოებს, ასი პროცენტით ნატურალურია. გვინდა უფრო ფართო წრეებმა თავად ნახონ, რა ხდება ჩვენთან, რათა შემდეგ ყველამ ერთად ვთქვათ - დავანებოთ თავი ამ უცხოელების რჩევა-დარიგებებს და დავიწყოთ ქართული წარმოების აღორძინება," - განაცხადა გოგი თოფაძემ და სტუმრები ექსკურსიის დასრულების შემდეგ ქართულ დარბაზში სუფრასთან მიიწვია.

# ბრიტანეთს, შესაძლოა, ევროკავშირის დატოვება მოუწიოს

ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისარმა კრის პატენმა, რომელიც წარმოშობით ბრიტანელია, განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანელები უახლოეს მომავალში დაგეგმილ რეფერენდუმზე მხარს არ დაუჭერენ ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტს, მაშინ ლონდონი იძულებული გახდება, ევროგაერთიანება დატოვოს.

პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის ინიციატივით, უახლოეს მომავალში რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს, სადაც დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა გადაწყვეტს, დაუჭიროს მხარი ევროკავშირის კონსტიტუციას, თუ - არა. კონსტიტუციის პროექტის თანახმად, ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს - ევროკომისიას მეტი უფლებები მიენიჭება. კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ, ევროკავშირი ერთიან სახელმწიფოს უფრო მეტად დაემსგავსება.

დაახლოებით ანალოგიურ განცხადებებს პატენამდე პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაცია და საგარეო საქმეთა სამინისტრო აკეთებდნენ. მათი აზრით, კონსტიტუციაზე უარის თქმა ბრიტანეთისთვის “სავალალო შედეგებს” მოიტანს და ევროპაში ლონდონის პოზიციებს შეარყევს.

“ჩვენ საბოლოოდ უნდა გადავწყვიტოთ, გვინდა ევროპის წარმატება თუ არა, - აღნიშნა პატენმა “ობზერვერისთვის” მიცემულ ინტერვიუში, - სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ამ რეფერენდუმზე გადაწყდება, გვინდა ევროგაერთიანებაში დარჩენა თუ არა. რა აზრი აქვს იქ ყოფნას და მუდმივად პრობლემების შექმნას? ამით ხორციელდება ჩვენი ეროვნული ინტერესები, თუ - არა?”

პატენის აზრით, თუ ბლერს ევროკავშირიდან გამოსვლის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება მოუწევს, ეს ბრიტანეთის ეკონომიკას და მსოფლიო ასპარეზზე მის ადგილს დიდ ზიანს მიაყენებს.

კრის პატენის მოსაზრებები ახლოს დგას დაუნინგ სტრიტის პოლიტიკასთან. თავად პატენი 1999 წელს ბლერმა დანიშნა ევროკავშირში. საგარეო ურთიერთობათა კომისარი პრემიერ-მინისტრთან მოლაპარაკებებს რეგულარულად აწარმოებს.

ბრიტანელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ რეფერენდუმის საკითხი თავად პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის პოლიტიკურ კარიერაში ძალზე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. “გარდიანი” იუწყება, რომ ზოგიერთების აზრით, საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო ხელს უწყობს ევროკავშირთან დაკავშირებული საკითხების გამწვავებას, რათა მომავალი არჩევნებისთვის ლიდერის ფუნქცია შეასრულოს.

“აისიემის” მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედმა განაცხადა, რომ კონსტიტუციის პროექტს მხარს დაუჭერს, 55 პროცენტმა განაცხადა, რომ კონსტიტუციის პროექტს მხარს არ დაუჭერს, ხოლო 20 პროცენტმა თქვა, რომ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.


*კრის პატენი: ბრიტანეთს, შესაძლოა, ევროკავშირის დატოვება მოუწიოს.*

კონსერვატორები ამტკიცებენ, რომ ევროკავშირის კონსტიტუციაზე უარის თქმა გაერთიანებიდან გამოსვლას სულაც არ ნიშნავს. მათი თქმით, ბრიტანეთსა და კონტინენტს შორის ახალი ურთიერთობები ჩამოყალიბდება.

“ბრიტანეთის ინტერესებს ყველაზე მეტად ევროპის მხარდაჭერა შეესაბამება, მაგრამ არამც და არამც - ევროკავშირისათვის მეტი კონტროლის გადაცემა, რასაც ეს კონსტიტუცია გულისხმობს,” - განაცხადა მაიკლ ანკრამმა, ჩრდილოვანი კაბინეტის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

“აღნიშნული გამოკითხვაც ამას ადასტურებს და იმას ნიშნავს, რომ ხალხი თავს არ გაასულელებინებს მთავრობას, რომელიც ცდილობს, მოსახლეობა შეაშინოს და დააჯეროს, თითქოს, [კონსტიტუციაზე] უარის თქმა ევროკავშირიდან გამოსვლას გამოიწვევს,” - თქვა ანკრამმა.

პატენის განცხადებით, ის პრესაში ევროპული სახელმწიფოს მომავლისა და ბრიტანეთის სუვერენიტეტის შელახვის შესახებ ბევრ არასწორ ინფორმაციას კითხულობს. “თუ გჯერა ერი-სახელმწიფოსი, თუ გჯერა საპარლამენტო პასუხისმგებლობის გაზრდის აუცილებლობის, თუ გჯერა, რომ იმ ორგანიზაციამ კარგად უნდა იმუშაოს, რომლის წევრიც ხარ, მაშინ ამ კონსტიტუციის მიღებას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს,” - განაცხადა პატენმა.

## ერაყის ომმა აშშ-ს საბიუჯეტო დეფიციტი გააღრმავა

*აშშ-ს კონგრესმა ერაყის აღმშენებლობისთვის 162 მილიარდი დოლარი გამოყო. ერთი შეხედვით, ეს ძალიან დიდი თანხაა, მაგრამ რეალურ პრობლემას წარმოადგენს - ეს თანხა საკმარისი იქნება თუ არა.*

დიანა ჩაჩუა

აღსანიშნავია, რომ შეკითხვა, რამდენი ფული იქნებოდა საჭირო სადამის დიქტატურის დასამხობად, უფრო ხშირად ჟღერდა, ვიდრე იმის თაობაზე, რამდენი თანხა იქნებოდა საჭირო ერაყის ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის და წესრიგის დასამყარებლად. ამ ომის მხარდამჭერები უკანასკნელ შეკითხვას აშკარად მეორეხარისხოვნად მიიჩნევდნენ.

ასეა თუ ისე, ხსენებულმა ომმა და მისმა შედეგებმა, შეიძლება, ამერიკის ისედაც მზარდ საბიუჯეტო დეფიციტზე და, აქედან გამომდინარე, მთლიანად აშშ-ს ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენა იქონიოს.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამერიკას ერაყის ოკუპაცია, მთლიანობაში, შეიძლება ორჯერ მეტი დაუჯდეს, ვიდრე თავად ერაყის ომი. ამაზე ქვემოთ მოყვანილი ფაქტები მეტყველებს.

იმის მაგივრად, რომ აშშ-ს ერაყის ომის დანახარჯები ბიუჯეტში გაეთვალისწინებინა, ბუშის ადმინისტრაციამ ომის დაფინანსება არასაბიუჯეტო, საგანგებო ფონდებიდან გადაწყვიტა. ომის დაწყებისთანავე პრეზიდენტმა ბიუჯეტიდან 75 მილიარდი დოლარი მოითხოვა, ხოლო ნახევარი წლის შემდეგ - 87 მილიარდი, ამჯერად უკვე არასაბიუჯეტო ფონდებიდან. ამგვარი ხერხით, ქვეყნის ადმინისტრაციამ მხოლოდ ფორმალურად აიცილა თავიდან ის საშიშროება, რომ მომავალში ომის დანახარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ჩაითვალოს. ცნობისათვის, წელს ამერიკის ბიუჯეტის დეფიციტი, დაახლოებით, 500 მილიარდ ამერიკულ დოლარს გაუტოლდება.

როგორც ეკონომიკის პროფესორმა უილიამ ნორდჰაუსმა განაცხადა, ეს ხარჯები **“ფედერალური ბიუჯეტისთვის მძიმე ტვირთია.”** მისი აზრით, ბუშის ადმინისტრაცია ხარჯებს ზრდის, რომლის გადახდაც ამერიკას მომავალში გადასახადების გაზრდით მოუწევს. **“ფისკალური უპასუხისმგებლობა, უბრალოდ, აღმაშფოთებელია,”** – აცხადებს იგი.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: ნოემბერში ერაყის ინფრასტრუქტურის აღსადგენად აშშ-ს კონგრესმა დამატებით 18,7 მილიარდი დოლარი გამოყო. ეს კი 2 მილიარდით ნაკლებია იმ თანხაზე, რასაც ადმინისტრაცია რეალურად ითხოვდა.

2003 წლის შემოდგომაზე გაერო-მ და ერაყის გარდამავალმა კოალიციურმა ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ ერაყის ეკონომიკის რეალურად გადასარჩენად 55 მილიარდი დოლარია საჭირო. ოქტომბერში, მადრიდში ჩატარებულ დონორების კონფერენციაზე რიგმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, თავისი წვლილი შეეტანათ ამ პროცესში. თუმცა, გამოყოფილი თანხა (33 მილიარდი დოლარი) საჭიროზე გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა. დანარჩენი - დაახლოებით, 20 მილიარდი, როგორც მოსალოდნელია, ისევ ამერიკის ასანაზღაურებელი გახდება. მით უმეტეს, რომ ბევრი ქვეყანა ფულს არა გრანტის სახით, არამედ ერაყის ვალების გაქვითვის პრინციპით იძლევა.

აშშ-ს კონგრესის საბიუჯეტო კომიტეტის ინფორმაციით, უახლოეს 3-5 წელიწადში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ერაყს დამატებით 50-100 მილიარდი დოლარი დასჭირდება.

ზოგი კონგრესმენი აცხადებს, რომ ერაყს ნავთობის უზარმაზარი მარაგი საშუალებას აძლევს, თავისი აღმშენებლობა საკუთარი შემოსავლებით დააფინანსოს და მხოლოდ ამერიკის დახმარებაზე არ იყოს დამოკიდებული.

როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, გრძელვადიან პერსპექტივაში ერაყს ყოველწლიურად ნავთობის მოპოვების 2,5-დან 6 მილიონ ბარელამდე გაზრდა შეუძლია. ამ შემთხვევაში, ნავთობის გაყიდვიდან მიღებული წლიური შემოსავალი 25 მილიარდი დოლარით გაიზრდება, ეს კი ზემოხსენებული 20 მილიარდის გადასახდელად საკმარისი იქნება. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ამ პროცესისთვის 5-დან 10 წლამდეა საჭირო, და პლუს 25 მილიარდი დოლარი ახალი საბადოების ასათვისებლად, რომლის გარეშეც ნავთობის მოპოვების მკვეთრი გაზრდა შეუძლებელია.

რაც შეეხება მოკლევადიან პერსპექტივას, არსებული საბადოების აღდგენისა და შენახვისთვის საჭირო ფინანსების მოძიება კვლავ ქვეყნის გარედან იქნება საჭირო.

არსებობს კიდევ ერთი დიდი პრობლემა – ერაყის უზარმაზარი საგარეო ვალი, რომელიც ქვეყანამ სადამის რეჟიმის დროს აიღო. ეს ვალი, დააახლოებით, 120 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ნავთობიდან მიღებული მოგების ლომის წილი სწორედ ვალების გადახდაზე დაიხარჯება. ამერიკელების მცდელობა, დიდ კრედიტორებს ერაყისთვის ვალების ჩამოწერაზე მოელაპარაკონ, ძირითადად, წარუმატებლად მთავრდება. ასე რომ, ერაყის რეაბილიტაციის საბოლოო თანხა ამერიკისთვის, შეიძლება, ძალიან მაღალი აღმოჩნდეს.

## რეფერენდუმი კვიპროსში

*დღეს კვიპროსის ორივე ნაწილში რეფერენდუმი გაიმართება. კვიპროსის ბერძნულმა და თურქულმა მოსახლეობამ გაერო-ს მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმის მიმართ თავისი დამოკიდებულება უნდა გამოხატოს. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი კვიპროსის უკვე 30-წლიანი გახლეჩის დასრულება და, ბერძნულთან ერთად, თურქული ნაწილის ევროკავშირში გაწევრიანება. ნებისმიერ შემთხვევაში, კვიპროსის ბერძნულ ნაწილს ევროკავშირში მიიღებენ. თურქებზეა დამოკიდებული, მზად არიან თუ არა ისინი, ევროპელობის სანაცვლოდ, დე ფაქტო დამოუკიდებლობა დათმონ. თუმცა, თავად კვიპროსელ ბერძენთა უმეტესობაც, ბოლოდროინდელი გამოკითხვების თანახმად, გაერო-ს სამშვიდობო გეგმას არ ეთანხმება.*

ნიკა თარაშვილი

რაუფ დენქთაში თურქ კვიპროსელებს 30 წლის მანძილზე ხელმძღვანელობს (თურქეთში მას პრეზიდენტად მოიხსენიებენ), დღეს კი მას თანამოქალაქეთა გამოსვლების ცქერა უწევს. მათ, როგორც აღმოჩნდა, სიღარიბეში ცხოვრება მობეზრდათ და ევროპისკენ მიუწევთ გული. მით უმეტეს, რომ იქვე, მათსავე კუნძულზე ფეშენებელური სასტუმროები, შედარებით მდიდრული ყოფა და კიდევ უფრო გამდიდრების რეალური შანსი არსებობს. ამიტომაა, რომ მთელი გულით უჭერენ მხარს რეფერენდუმის ჩატარებას. რეფერენდუმმა უნდა უპასუხოს კითხვას, გაერთიანდება თუ არა 1974 წელს გაყოფილი კუნძული. ამ წლიდან მოყოლებული, კუნძულის თითქმის მესამედს თურქეთის შეიარაღებული ძალები იცავენ.

თურქული მოსახლეობის უმეტესობა გაერთიანებისა და, აქედან გამომდინარე, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მომხრეა. მაგრამ დენქთაშს მეორე ნაწილის იმედი აქვს, დღემდე განწირული ხმით რომ გაჰყვირიან “არა – ამ შეთანხმებას! არა – ანანს! არა – თურქეთს! არა – ევროპას! ყველამ იცოდეთ: ჩვენ 30 წელი იმისთვის კი არ ვიბრძოდით, რომ ჩვენი მიწა პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში გაგვეყიდა”.

თავად დენქთაშისათვის დღევანდელი სიტუაცია პიროვნულ ტრაგედიად გადაიქცა. თავისი პატარა “თურქული სამშობლოს” დამოუკიდებლობისათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე მებრძოლ მოსახლეობასთან კონტაქტს თანდათან კარგავს. ხვდება, ალბათ, რომ ცხოვრებას ჩამორჩა და “ცივი ომისდროინდელი” მსოფლიოს ერთადერთ პოლიტიკოსად დარჩა ევროპაში. სავარაუდოდ, რეფერენდუმში კვიპროსელი თურქების ნახევარზე მეტმა მაინც უნდა დაუჭიროს გაერთიანებას მხარი. მაშინ კი დენქთაშის კარიერა, ალბათ, დასრულდება. მას გადადგომა მოუწევს, რითაც კვიპროსის ისტორიაში მთელ ეპოქას ბოლო მოეღება.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ დენქთაშის გადარჩენა მის ყველაზე დაუძინებელ მტრებს – კვიპროსელ ბერძნებს შეუძლიათ. უკანასკნელი გამოკითხვები ამტკიცებს, რომ კვიპროსელ ბერძენთა 70 პროცენტი გაერო-ს სამშვიდობო გეგმის წინააღმდეგია. მათ არ მოსწონთ ზეწოლა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან და რეფერენდუმის ჩასაგდებად ემზადებიან.

კვიპროსელ ბერძენთა აზრით, რეფერენდუმში დადებითი პასუხის გაცემა კუნძულის ორად გაყოფას დააკანონებს. გეგმის თანახმად, ხმელთაშუა ზღვის კუნძულზე ორსუბიექტიანი სუსტი ფედერაციული წყობის სახელმწიფო ჩამოყალიბდება, ლტოლვილების ნაწილი ჩრდილოეთში დაბრუნდება, თუმცა, არა ყველა ბერძენი. შეიძლება, ესეცაა უარის მიზეზი. ბერძნები უკმაყოფილონი არიან, რომ საკუთარ ოჯახებში დაბრუნების შესაძლებლობა მხოლოდ ლტოლვილთა შეზღუდულ რაოდენობას ექნება.

პოლიტიკური ფაქტორების გარდა, კვიპროსელ ბერძენთა უარს, შესაძლოა, ეკონომიკური ფაქტორები უფრო მეტადაც განაპირობებდეს. დღეს ბერძნებს არ ეთმობათ ტურიზმი, რომელმაც შესაძლოა უკეთესი ბუნებრივი პირობების მქონე ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლოს. მართალია, ახლა კვიპროსის ტურისტული ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი სამხრეთშია თავმოყრილი, მაგრამ გაერთიანების და თურქულ ნაწილშიც შესაბამისი პირობების შექმნის შემდეგ, შესაძლოა, ბერძნებს თავისივე თურქმა თანამოქალაქეებმა გაუწიონ კონკურენცია. სწორედ ამას გულისხმობდა ევროკავშირის წარმომადგენელი გიუნტერ ვერჰაგენი, როდესაც კვიპროსის გაერთიანების ჩაშლის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფაქტორებზე საუბრობდა.

ამ დროს კი, რა ახლოსაა ეს კუნძული გაერთიანებასთან. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე მათ გადაიტანეს ომი და დაპირისპირება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ორ ნატო-ელ პარტნიორს - საბერძნეთსა და თურქეთს შორის, კვიპროსის გამო, ლამის ომიც დაიწყო. ბოლო თვეებში კი გრანდიოზული ძალისხმევა იქნა გაღებული კონფლიქტის მოსაგვარებლად. დიპლომატები თითქმის მთელი ევროპიდან და ამერიკიდან, თავად თურქეთის წარმომადგენლები, საერთაშიროსო ორგანიზაციები კონფლიქტის მხარეებს არწმუნებდნენ, რომ გაერთიანება ქვეყნის განვითარების ერთადერთი გზაა. გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ორი დღის წინ რეზოლუციის პროექტიც გაიტანეს, რომელსაც კვიპროსის მოსახლეობა უნდა დაერწმუნებინა, 24 მარტს დანიშნულ რეფერენდუმზე გაერო-ს სამშვიდობო გეგმისთვის დაეჭირა მხარი. მაგრამ რეზოლუცია მაინც ჩავარდა. 15 მუდმივი წევრიდან ერთადერთს - რუსეთს არ მოეწონა რეზოლუციის პროექტი.

რეზოლუციის პროექტი ისევ პროექტად დარჩა და მის ჩავარდნასთან ერთად, ალბათ, კვიპროსის გაერთიანების პერსპექტივაც დაიკარგა. დღევანდელ რეფერენდუმში ბერძენ კვიპროსელთა უმეტესობა “არა”-ს შემოხაზვას აპირებს. კვიპროსელ ბერძენთა ლიდერი ტასოს პაპადოპულოსიც ამ გეგმის წინააღმდეგია. თუმცა, ამასთანავე აცხადებს, რომ “ნებისმიერი გადაწყვეტილების საფუძველი ეს გეგმა უნდა იყოს. მაგრამ ჩვენი ამოცანაა, უფრო ეფექტური გავხადოთ იგი. ჩვენ გვინდა ხალხმა გაიგოს, რომ რეფერენდუმში “არას” შემოხაზვა არ ნიშნავს კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილისათვის ზურგის შექცევას. პირიქით, ჩვენ გვინდა, რომ შეთანხმება მუშაობდეს და რეალურად ხანგრძლივი პერსპექტივა ჰქონდეს. “არა”-სთვის ხმის მიცემა ნიშნავს კონფლიქტის მომავალში დარეგულირებისათვის ხმის მიცემას, როდესაც კოფი ანანის გეგმა მართლაც ეფექტური იქნება.”

## მოსკოვი ბალტიისპირელებს რუსოფობიაში ადანაშაულებს

გასულ კვირას ლატვიის მიერ რუსი დიპლომატის ქვეყნიდან გაძევებას რუსეთის მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა. რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურ განცხადებაში ხაზგასმულია ბალტიისპირეთის ამ ქვეყანაში პროვოკაციისა და ანტირუსული კურსის არსებობა.

პარასკევს ლატვიამ რუსეთის საელჩოს თანამშრომლის ქვეყნიდან გაძევების შესახებ განცხადება გააკეთა. ოფიციალური წყაროების თანახმად, რუსი დიპლომატი ცდილობდა, ისეთი ინფორმაცია მოეპოვებინა, რომელიც ლატვიის ეროვნულ უსაფრთხოებას უშუალო საფრთხეს უქმნის.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მკვეთრმა პასუხმაც არ დააყოვნა. “**ოფიციალური რიგის პროვოკაციული აქცია, რომელიც ლატვიის დღევანდელი ხელმძღვანელობის ანტირუსული კურსის გამოხატულებაა, მოულოდნელი არ ყოფილა. რუსოფობი ლატვიელი პოლიტიკოსების მსგავს გეგმებზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო 12 აპრილის განცხადებაშიც იტყობინებოდა... რუსეთის მხარე უფლებას იტოვებს, ადეკვატური ნაბიჯები გადადგას,**” - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

2 აპრილს ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის კიდევ 4 სახელმწიფოსთან ერთად, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი ოფიციალურად გახდა.

მარტში ესტონეთმა ორი რუსი დიპლომატი გააძევა ქვეყნიდან, მათ ნატო-ს გაფართოებასთან დაკავშირებული მასალების უკანონო მოპოვებაში დასდეს ბრალი. უფრო ადრე, თებერვალში ლიტვამ, ინფორმაციის უკანონო შეგროვებაში ბრალდებით, სამი რუსი დიპლომატი გამოაძევა. ამჯერად, რუსი დიპლომატები პრეზიდენტ პაკსასის იმპიჩმენტთან დაკავშირებით ეძებდნენ მასალებს.

აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევას რუსეთმა ანალოგიური ქმედებით უპასუხა და ამ ქვეყნების იგივე ოდენობის დიპლომატები “პერსონა ნონ გრატად” გამოაცხადა.

## ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის წინასაარჩევნო კამპანია ერაყში

გუშინ ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჯონ ჰოვარდი მოულოდნელად ერაყს ეწვია. პრემიერის ბაღდადში ჩასვლა ბასრას ნავთობის ტერმინალზე წარუმატებელი თავდასხმიდან რამდენიმე საათში მოხდა. ჰოვარდის ჩასვლიდან მცირე ხანში აფეთქება მოხდა ბაღდადშიც.

ჰოვარდი აშშ-ს ერთგული მოკავშირეა. პრეზიდენტ ბუშის მსგავსად, წელს ისიც არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს. ავსტრალიის პრემიერმა, სულ რაღაც, 6 საათი დაჰყო ბაღდადის კარგად გამაგრებულ აეროპორტში, სადაც საჰაერო ტრანსპორტზე კონტროლს სწორედ ავსტრალიელი სამხედროები ახორციელებენ.

25 აპრილს, ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ ანზაკის დღე აღნიშნეს. ამ დღეს ბრძოლაში დაღუპულებს იგონებენ და პარაკლისს იხდიან. ამავე დღეს ომის ვეტერანთა მსვლელობა იმართება. ჰოვარდმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მრავალი მიზეზის გამო, წლევანდელი ანზაკის დღის პარაკლისი ყველაზე სამახსოვროა: ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც იგი რეალური საბრძოლო ვითარების პირობებში აღინიშნება.

ჰოვარდის გუშინდელი ვიზიტი ბაღდადში მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ერაყში პრეზიდენტ ბუშის შარშანდელ სტუმრობას შეადარეს. მაშინ, აშშ-ს პრეზიდენტი ბაღდადში ჯარისკაცების გასამხნევებლად “მადლიერების დღეს” ჩავიდა. ავსტრალიელის ეს ვიზიტიც წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად იქნა აღქმული.

ერაყის ომში ავსტრალიის, დაახლოებით, 2000 ჯარისკაცი, საჰაერო გამანადგურებელთა ესკადრილია და სამხედრო გემები მონაწილეობდა. ახლა, ერაყის რეკონსტრუქციაში მონაწილეობას მხოლოდ 850 მოსამსახურე იღებს. დღემდე არც ერთი ავსტრალიელი ჯარისკაცი ერაყში არ დაღუპულა.

ავსტრალიის შეიარაღებული დანაყოფის ერაყში ყოფნა, უკანასკნელ ხანს ქვეყანაში მწვავე დავის საგანი გახდა. ოპოზიციის პოპულარულმა ლიდერმა მარკ ლეთამმა პირობა დადო, რომ ჯარისკაცებს სამშობლოში დააბრუნებს, თუ მის ლეიბორისტულ პარტიას მიმდინარე წლის ოქტომბერში აირჩევენ. ჰოვარდის კონსერვატიული პარტია კი აცხადებს, რომ ერაყში ავსტრალიის ჯარები იქამდე დარჩებიან, სანამ ამას საჭიროება მოითხოვს.



# გამომგონებლის ბედი საქართველოში

*ეს კაცი ამერიკელი რომ ყოფილიყო, მისი სახელი და ჯიბის სისქე ყველას ზეპირად ეცოდინებოდა, მაგრამ ქართველია და ამიტომ, ვიწრო საზოგადოების გარდა, არავინ იცის, თუ რაოდენ დიდი გამოგონებების ავტორია ის. როგორც თვითონ ამბობს, მთელი მისი ქონება ამ საქმეს შეეწირა, მაგრამ მაინც გააკეთა სამი საერთაშორისო განაცხადი, მიიღო A ჯგუფის კლასიფიკაცია (რაც იმას ნიშნავს, რომ მის გამოგონებას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება), შევიდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის კატალოგში და დააპატენტა მრავალი გამოგონება. ყველაფერი ეს საკუთარი სახსრებით დააფინანსა, მაგრამ მას იმდენი ფული არ აქვს, რომ, მაგალითად, არატრადიციული დისკოსებური საფრენი აპარატის მოქმედი მოდელი შექმნას. ხელის გამმართავი კი წლების განმავლობაში არავინ გამოსჩენია.*

ზაზა ფაჩუაშვილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის ლოგისტიკის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი გრიგოლ კვარაცხელია პროფესიით ინჟინერია, მაგრამ აქვს მეორადი სპეციალობაც – სამართალმცოდნეობა. მუშაობს დისარტაციაზე: "სამხედრო სამედიცინო ტექნიკა" (სტატია გამოქვეყნებულია ლიცენზირებად ჟურნალში); ჩამოყალიბების დღიდან ქართულ არმიაშია და გაიარა საფეხურები ბატალიონის მეთაურიდან მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემდე. მიღებული აქვს მონაწილეობა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში. დაჯილდოებულია სამხედრო ტექნიკური შემოქმედებისათვის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. მხედრული მამაცობისათვის მაკაროვის სისტემის სახელობითი იარაღით.

ძირითადი გამოგონებები:

1. სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორებისა და სამოქალაქო ავტომობილების შიგაწვის ძრავების, ინჟექტორიის სისტემის დიაგნოსტიკა, გაწმენდა, აღდგენა რეგულირების სრულყოფილი აპარატები, ბენზინზე და დიზელის ძრავებზე; მიღებულია ეროვნული პატენტი; გაკეთებულია საერთაშორისო განაცხადი მსოფლიოს ას მოწინავე ქვეყანაში; ჩატარებულია საერთაშორისო ძიება და ექსპერტიზა; მიღებულია ძიებისა და ექსპერტიზის ანგარიში ევროპატენტიდან ჯგუფი "A", რაც ნიშნავს, რომ გამოგონებას ანალოგი არ გააჩნია.

2. სამედიცინო ტექნიკა. მოწყობილობა თირკმლის ღრუდან და საშარდე გზებიდან კენჭის ექსტრუქციისათვის; მიღებულია ეროვნული პატენტი; გაკეთებულია საერთაშორისო განაცხადი მსოფლიოს ას მოწინავე ქვეყანაში; მიღებულია საერთაშორისო ძიებისა და ექსპერტიზის ანგარიში ჯგუფი "A"; ანალოგი არ არსებობს.

3. არატრადიციული დისკოსებური საფრენი აპარატი. მიღებულია ეროვნული პატენტი; ჩატარებულია ძიება და ექსპერტიზა; მოპოვებულია ყველანაირი ინფორმაცია ანალოგიურ საფრენ აპარატებზე; ანალოგი არ არსებობს.

4. მცირეგაბარიტიანი საფრენი აპარატი დაზვერვისათვის ფრთების შეკეცვის, წყალზე და თოვლზე აფრენა-დაშვების მექანიზმით; "ენერგიის მიღების ხერხი"; "მლესავი რობოტი" და ბევრი სხვა.

5. საბრძოლო იარაღები. მოსინის სნაიპერული შაშხანის მოდერნიზაცია; გამოცდა ჩატარებულია; შეფასება მაღალი.



*პოლკოვნიკი კვარაცხელია თავის დისკოსებური საფრენი აპარატის მოდელის ფონზე.*

6. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ახალი სისტემა ჯავშანგამტანი; გამოცდა ჩატარებულია; შეფასება მაღალი.

7. არბოლეტი: გამოცდა ჩატარებულია; შეფასება მაღალი.

8. ორლულიანი პისტოლეტტყვიამფრქვევი და სხვა.

9. ბარაბნიანი რევოლვერი. კლ. 7,62 მმ შვიდვაზნიანი კასეტით. სპეცსამსახურებისათვის; გამოცდა ჩატარებულია; შეფასება მაღალი.

10. სამხედრო მყვინთავი კატარღა სპეციალური ოპერაციებისათვის.

11. შემხვედრი მანქანები სამხედრო აღლუმისათვის; გამოცდა ჩატარებულია; შეფასება მაღალი.

პოლკოვნიკ კვარაცხელიას გამოგონებების მიმართ ინტერესი მხოლოდ უცხოელებმა გამოიჩინეს, მაგრამ, იმ იმედით, რომ მისი ინტელექტის რეალიზება საქართველოში მოხდებოდა, გამომგონებელს მათი სარფიანი წინადადებები დღემდე არ მიუღია. არადა, ყველაფერს თავის საზღვარი აქვს და, კვარაცხელიას განცხადებით, თუ ახლო მომავალშიც არავინ მიაქცია ყურადღება, მაშინ იგი რომელიმე უცხოელის შემოთავაზებას მიიღებს.

პოლკოვნიკი კვარაცხელია: "რაც შეეხება ჩემს არატრადიციული დისკოსებური საფრენი აპარატის პროექტს, არ ვიცი, გამოდგება თუ არა კოსმოსის დასაპყრობად, მაგრამ ის კი ვიცი, რომ დღეისთვის მსოფლიოში არსებული შვეულმფრენების და მის ირგვლივ არსებულ პრობლემებს ძირფესვიანად შეცვლის. მარტო შეცვლაზე არ არის საუბარი, ჩემი პროექტის განხორციელებამ და გამოცდამ, შეიძლება, საბოლოოდ დაადგინოს იმ სხეულების ფორმა, რომლებიც ელვის სისწრაფით დაჭრიან პლანეტიდან პლანეტამდე. ასეთი ფორმის საფრენ აპარატებს დღეს ოცდამეერთე საუკუნის მანქანებს უწოდებენ; დღეისათვის ასეთი საფრენი აპარატების შექმნისათვის მსოფლიოს ყველა საავიაციო ცენტრი მუშაობს მეტ-ნაკლები წარმატებით.

თითქმის, ყველა ინფორმაცია მაქვს სხვა საფრენ აპარატებზე, რომელიც გაკეთებულია დღეს მსოფლიოში და არავინ არაფერს მალავს - პირიქით, ინტერნეტით მიმდინარეობს ინფორმაციების ურთიერთგაცვლა. ჩემი მიზანია, კონსტრუქციის გამარტივება და ფუნქციური მოვალეობის გაფართოება. ნებისმიერი ექსპერტიზის ჩატარებას, მოგეხსენებათ, სახსრები სჭირდება და, მით უმეტეს, როცა საქმე ასეთ რთულ ექსპერიმენტს ეხება. საჭირო თანხა მე არ გამაჩნია. ზემოთ ჩამოთვლილი გამოგონებები და კონსტრუქციები, გარდა საალღუმო მანქანებისა, საკუთარი სახსრებით მაქვს გაკეთებული, რამაც გალატაკებამდე მიმიყვანა. რას იზამ, ჩემისთანა ხალხის ბედი ასეთია.

2002 წლის 23 ოქტომბრის №23 ოქმი - უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, პროექტის დაფინანსება "თბილავიამშენმა" აიღო თავის თავზე; დღემდე - უშედეგოდ. კონკრეტულად რაიმეს თქმაზე თავს შევიკავებ. დაფინანსებას ვინ ჩივის, ამ გადაწყვეტილებამ ჩემსა და ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის უკმაყოფილებაც გამოიწვია.

დრო და ხელისუფლება შეიცვალა და იმედი გამიჩნდა, რომ ბოლოს და ბოლოს ყურადღებას მომაქცევენ. ამ მიზნით, მინდა, შევხვდე ხელისუფლებას და გავიგო, ვარ თუ არა საჭირო ჩემი ქვეყნისათვის და, ალბათ, მერე მივიღებ გადაწყვეტილებას, საით წავალ და რა გზას დავადგები".

# მოგვხედეთ დღეს, თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება

პირველი გვერდიდან

ჩერნობილის კატასტროფა ატომურ სადგურზე გამოკვლევითი სამუშაოს არასწორმა ჩატარებამ გამოიწვია. ავარიის პირველ დღეს მძიმე დამწვრობითა და გამოსხივებით 300-ზე მეტი ადამიანი იქნა ჰოსპიტალიზებული. ხუთი მილიონ 500 ათას ადამიანს იოდური პრეპარატებით პროფილაქტიკური დახმარება ჩაუტარდა, ხოლო 150 ათასი ადამიანი ევაკუირებული იყო. 29-30 აპრილს რადიოაქტიურმა დამტვერვამ თავი იჩინა დასავლეთისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, 2-4 მაისს გადაჭარბებული რადიაცია დაფიქსირდა იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთსა და თურქეთში. 5-6 მაისს რადიაციული ფონი ინდოეთში, იაპონიაში, ჩინეთში, კანადასა და ამერიკაშიც აღინიშნებოდა. სტატისტიკური მონაცემებით, რადიაციული "დამტვერიანება" შემდეგნაირად გადანაწილდა: 36 პროცენტი - საბჭოთა კავშირის ტერიტორია, 53 პროცენტი - ევროპის ქვეყნები, 8 პროცენტი - აზია, 2 პროცენტი - აფრიკა, 0,3 პროცენტი - ამერიკის ტერიტორია. მსოფლიოს დიდ ნაწილში ახლაც გადაჭარბებული, ნორმაზე მეტი რადიაქტიული დასხივება აღინიშნება. უკრაინის ქალაქი კრიპეტი, სადაც ატომური ელექტროსადგურის თანამშრომლები ცხოვრობდნენ, დღესაც მკვდარი ქალაქია. იქ შესვლას ექსპერტები მხოლოდ 60-80 წლის შემდეგ ვარაუდობენ.

საქართველოს სამოქალაქო თავდაცვამ სხვადასხვა დროს ჩერნობილში, თითქმის, მთელი თავისი შემადგენლობა მიავლინა. რაც შეეხება სამხედრო რეზერვისტებს, კომისარიატებმა 2000-ზე მეტი რეზერვისტი გაიწვია. ოფიციალურად, გაწვევა არ ეხებოდათ 30 წლამდე ახალგაზრდებს, რომლებსაც შვილი ჯერ არ ჰყავდათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩერნობილის მონაწილეთა სოციალური დაცვა და უზრუნველყოფა ყველა ქვეყანაში სახელმწიფო დონეზე დგას, საქართველოში სოციალურად დაცული არც ერთი მათგანი არ არის. 1986 წლიდან საბჭოთა მთავრობის მიერ 20-ზე მეტი სახელმწიფო დადგენილება და კანონია მიღებული. საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად, ჩერნობილელთა ოჯახები, განურჩევლად იმისა, არიან თუ არა უკრაინის მოქალაქეები, სპეციალურად დაწესებული შეღავათებით სარგებლობენ. ამ ხელშეკრულებას მხოლოდ ქართულმა მხარემ არ მოაწერა ხელი. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ერთადერთი კანონი, რომელიც ჩერნობილის მონაწილეებს გარკვეულ შეღავათებს უწესებს, 12 მუხლისაგან შედგება. ეს კანონი 2001 წლის იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა დღემდე მისი არც ერთი პუნქტი არ სრულდება.

პოლკოვნიკი ამირან მეგრელიშვილი პროფესიით სამხედრო ქიმიკოსია. იგი კატასტროფიდან რამდენიმე დღეში ჩერნობილში ჩავიდა და ოპერაციებს თავად ხელმძღვანელობდა. **"როდესაც ჩერნობილში ჩავედით, ქალაქი უკვე დაცლილი იყო. თვეების განმავლობაში დასხივებულ ტერიტორიაზე ვცხოვრობდით და ვიწამლებოდით მიწით, ჰაერით, საკვებით... არც ერთ ჩვენთაგანს უფლება არ ქონდა, უარი ეთქვა გაწვევაზე. ასეთი რამ იმ დროს წარმოუდგენელი იყო. ახლა, როდესაც ჩემმა მეგობარმა სამხედრო კომისარიატს მიაკითხა საჭირო ცნობის ასაღებად, ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა ისიც კი უთხრა, - რა გინდოდა ჩერნობილში, ვინ გეპატიჟებოდა, რომ მიდიოდიო?** – გულისტკივილით ჰყვება ამირან მეგრელიშვილი, - **სამწუხაროდ, ჩვენ ხალხისგანაც და მთავრობისგანაც უარყოფილები გამოვედით. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ჩერნობილის მონაწილეთათვის არავითარი ქმედითი ღონისძიება 18 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით 2000 წელს მიღებულ კანონს, რომელიც ჩერნობილელთათვის უღიმღამოა და არაფრის მთქმელი. ცოტა ხნის წინათ უკრაინამ საქართველოს ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობის სპეციალური ბარათები გამოუგზავნა, თუმცა ამის შესახებ ვეტერანებმა არაფერი იციან. ბარათები ჯიხურებში გაიყიდა."**

ამირან მეგრელიშვილის აზრით, გამუდმებით ქვეყნის სისუსტესა და მწირ ბიუჯეტზე საუბარი ჩინოვნიკებისაგან იოლი თავის გამართლებაა. **"თუ სისუსტეში სახელმწიფო მოხელეების სისუსტეს ვიგულისხმებთ, მაშინ მართალია. დღეისათვის ისეთი მარტივი და სავალდებულო ღონისძიებებიც კი არ არის ჩატარებული, რომლებიც ბიუჯეტთან, დაფინანსებასთან არაფერ კავშირშია,"** – ამბობს ბატონი ამირანი. ბატონმა ამირანმა, როგორც ვეტერანთა საბჭოს წევრმა, ჩერნობილის მონაწილეთა აღრიცხვა აწარმოა და აღმოაჩინა, რომ მათი დიდი ნაწილი საერთოდ არ არის აღრიცხული. ამჟამად ჩერნობილში ნამყოფთა 30 პროცენტი გარდაცვლილია, 70 პროცენტი კი - ინვალიდი. ორი წლის წინათ მთავრობამ ვეტერანებისთვის პირადობის მოწმობების გაცემა დაიწყო. ჩერნობილელებზე არავითარი მოწმობები არ გაცემულა. კანონით, "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ", სიაში ისეთი კატეგორიის ხალხი მოიაზრება, რომლებიც სამხედრო დაკვეთებს ასრულებდნენ. ჩერნობილში გაწვეული რეზერვისტები სახელმწიფომ ამ კატეგორიას, რატომღაც, არ მიაკუთვნა.

ამირან მეგრელიშვილი, ჩერნობილელების სახელით, ამბობს: **"ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა კატასტროფულია, სახელმწიფო კი დახმარებას ხვალისთვის გვპირდება... მინდა, ვუთხრა ჩვენს ხელისუფლებას, - მოგვხედეთ დღეს, თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება".**

# ინტელექტუალური თამაშების გაკვეთილი

*წარმოიდგინეთ ლამაზი ზონრით გაბანტული პრიალა ყუთი, რომელშიც კიდევ ერთი ასეთივე ყუთი დევს, მასში კი - პატარა რკინის კოლოფი. კოლოფში ჯილდოა ოთხი ადამიანისათვის. ამ ჯილდოს მოსაპოვებლად ამ ოთხმა ადამიანმა კოლოფი ერთად უნდა გახსნას, ოღონდ ყოველ მათგანს ამ საქმისათვის მხოლოდ ერთი თითის გამოყენების უფლება აქვს. გუშინ "გაერო-ს სკოლაში" ამ თამაშში მონაწილეობა მეც მივიღე. სულ ოთხი ჯგუფი თამაშობდა; ორი - მშობლებისა და მასწავლებლებისაგან შემდგარი, ორიც - მესამეკლასელებისგან. პატარებმა მოგვიგეს. თუმცა, ცოტა ხნით ადრე მათ სხვა თამაშშიც გვაჯობეს.*

ნინო ცინცაძე

**"ნებისმიერ საქმეში წარმატება, ერთი მხრივ, საქმის ცოდნაზეა დამოკიდებული, მეორე მხრივ კი იმაზე, თუ როგორ შეგიძლია სხვა ადამიანებთან ურთიერთობა,"** - ამ სიტყვებით დაიწყო თავისი ღია გაკვეთილი ფსიქოლოგმა თეა ბერძენიშვილმა. შემდეგ ბავშვები და დამსწრეები ორ-ორ ჯგუფად დაგვყო და ერთმანეთს შეგვაჯიბრა. ლოგიკური გამორიცხვის მეთოდით, უნდა მივმხვდარიყავით, რომელი სამნიშნა რიცხვი იყო ჩაფიქრებული თითოეული ჯგუფისათვის. ჯგუფის წევრები ერთმანეთში მოლაპარაკების შემდეგ გადიან და თავიანთ გრაფაში სავარაუდო რიცხვს წერენ. ასე გრძელდება მანამდე, სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევენ. პატარებმა დავალება ხუთ სვლაში შეასრულეს, უფროსების ერთმა ჯგუფმა - ცხრა სვლაში, მეორემ კი - რვაში. ეს თამაში ლოგიკური აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარს ავითარებს. ჯილდოდ მიღებული კოლოფების გახსნა კი (ჯილდოს, შედეგის მიუხედავად, ყველა იღებს) მოტორიკის განვითარებასა და ისევ და ისევ ექსტრემალურ სიტუაციებში ერთიერთდახმარების ჩვევის გამომუშავებას ისახავს მიზნად. სხვა დროს ეს ბავშვები სხვაგვარი თამაშებითაც თამაშობენ, ზოგი მათგანი თვალის მოძრაობის გავარჯიშებაზეა ორიენტირებული, ზოგი კი ფორმის აღქმასა და გამოდიფერენცირებაზე. სამწუხაროდ, ჩვენ მათი გათამაშება ვერ მოვასწარით.

თეა ბერძენიშვილისათვის ეს პროგრამა არავის უსწავლებია - არც ერთ პედაგოგიურ დაწესებულებაში მისთვის არ უქვამთ, - ასე და ასე უნდა ასწავლოო; ამ იდეამდე 12-წლიანმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ მიიყვანა. უკვე ოთხი წელია, 49-ე სკოლაში უფროსკლასელებთან თავის მიერვე შედგენილი სისტემით მუშაობს. ეს ორი წელია, გაერო-ს სკოლაში პატარების პროგრამის შედგენა დაიწყო.

**"მას შემდეგ, რაც რეფორმაზე, სხვა ტიპის სწავლებაზე დაიწყო ლაპარაკი, და რაც სიტყვა - "უნარ-ჩვევები" გააქტიურდა, მივხვდი, რომ ამის გაკეთება საჭიროა და რომ ადამიანები ამით დაინტერესდებიან,"** – ამბობს იგი. პროგრამა მოსწავლეების ინტერესებისა და მოთხოვნილებების მიხედვით დგებოდა. გნებავთ, ჰუმანიტარი ყოფილიყავით და, გნებავთ - ტექნიკური მიდრეკილების, აზროვნება და ლოგიკა მეტნაკლებად ყველას სჭირდება. ბავშვს ამოცანის ამოხსნა ყოველთვის აინტერესებს, მით უმეტეს, როცა ამას თამაშის ფორმა ეძლევა.

როდესაც ლაპარაკი კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებზეა, აზრი არა აქვს, ადამიანს პირდაპირ უთხრა, რომ ასე მოქცევა ცუდია. უარყოფითი მაგალითის საჩვენებლად უფროსკლასელებს თეა "მაფიოზობანას" ათამაშებს ხოლმე და ამას ვიდეოზე იღებს. შემდეგ მასალას ერთად უყურებენ და არჩევენ, როგორ იტყუება ადამიანი, რა არის მიმიკა; ნახულობენ, რომ მიკროჟესტების დონეზე ყოველთვის შეიძლება ტყუილის გამოვლენა. საბოლოო ჯამში მხოლოდ კეთილები იმარჯვებენ, რადგან ბავშვები ტყუილის წაკითხვას სწავლობენ. იმისათვის, რომ ერთობლივი მოღვაწეობის დაგეგმვა ისწავლონ, მოსწავლეებს დაჭრილი ლოგიკური ამოცანა ეძლევათ. მათი ამოცანაა, ფურცლები მოლაპარაკების გზით გაცვალონ. ამ დროს ჯგუფში მუშაობს ერთი დამკვირვებელი, რომელიც მოლაპარაკების პროცესს იწერს. შემდეგ დამკვირვებელი ჰყვება, როგორ მიმდინარეობდა ეს ყველაფერი; ჯერ აღწერს ქცევას და შემდეგ მას სახელს არქმევს - ანუ ამბობს, ვინ შეიტანა კონსტრუქციული წვლილი მოლაპარაკებებში, ვინ იყო საბოლოო მიზანზე ორიენტირებული და ვინ კონცენტრირდებოდა რაღაც ერთ ეტაპზე.

**"ამ უნარ-ჩვევებზე მუშაობა ძალიან დაეხმარება მოსწავლეებს იმაში, რომ თვითდამკვიდრება პოზიტიური ფორმებით ისწავლონ და არა აგრესიულად და დესტრუქციულად,** - მიიჩნევს თეა, - **იმისთვის, რომ ეს არ იყოს უბრალო გართობა, აუცილებელია, თითოეულ სავარჯიშოსთან მიმართებაში გაკეთდეს შეფასების სიტემა, ანუ მე მქონდეს საზომი იმისა, თუ რა ვასწავლე და ბავშვებს ჰქონდეთ კრიტერიუმი იმისა, რას უნდა მიაღწიონ."**

ინტელექტუალური თამაშების პროგრამა არსებობს პირველი ოთხი კლასისათვის და დამამთავრებელი კლასებისათვის. შუაში წყვეტაა. ახლა გაერო-ს სკოლაში თეას აქვს საშუალება, თავის ოთახში კომპიუტერთან იმუშაოს, დაბეჭდოს მასალა, შეუკვეთოს და შეიძინოს სათამაშოები, მაგრამ, სრული სასწავლო პროგრამის შედგენისა და სურვილის შემთხვევაში, მის სხვა სკოლებში დანერგვას ერთი ადამიანის რესურსი არ ჰყოფნის. თეას იმედი აქვს, რომ ამ პროექტით სხვებიც დაინტერესდებიან, რადგან ლოგიკური და, რაც მთავარია, პოზიტიური ფორმებით თვითდამკვიდრების უნარების განვითარება ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობისათვის, ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანია.

# მართლაც სამაგიდო

ნონა ყანჩაველი

მსოფლიო პრესის თავისუფლების კომიტეტის გრიფით გამოცემული "სამაგიდო წიგნი ჟურნალისტებისთვის", მართლაც რომ, სამაგიდოა ჟურნალისტებისთვის, განსაკუთრებით კი, იმ ახალბედა მეგაზეთეებისთვის, რომელთაც ესესაა, დაიწყეს უხეშ კალამსა და დაუურვებელ სიტყვებთან ჭიდილი. წიგნი ამერიკული ჟურნალისტიკის საფუძვლებს წარმოადგენს. ამერიკული ჟურნალისტიკა კი, არა მარტო ერთ-ერთი უძველესია დასავლეთის ტრადიციულ სკოლებს შორის, თავისუფალი და წარმატებულიცაა. წიგნში დიდი გამოცდილების მქონე ჟურნალისტების (რედაქტორების, რეპორტიორების, ფოტოჟურნალისტების, ტელეოპერატორებისა და სხვათა) ნაუბარი და რჩევებია. ამ ფართო და საინტერესო მასალებზე თვით დასათაურებებიც მიუთითებენ: "რეპორტაჟი"; "ინტერვიუ"; "მასალების მომზადების ტექნოლოგია"; "როგორ დავწეროთ ლიდი" (შესავალი); "როგორ გამოვიყენოთ ეპითეტები"; "რთული მასალის მიწოდების გზები"; "წყაროთა მითითების პრობლემა"; "გაზეთის შინაარსი"; "სტრუქტურა"; "დაგეგმვა"; "მნიშვნელოვანი (სენსაციური) მოვლენების გაშუქება"; "ინიციატივის გამოჩენა"; "კრიმინალური ქრონიკა"; "მუდმივი თემატური დავალება"; "დამაჯერებლობა"; "რედაქტორის სვეტი"; "დიზაინი"; "ილუსტრაციათა შერჩევა და განთავსება"; "მასალათა რედაქტირება"; "სათაურის პრობლემა"; "ტელერადიომაუწყებლობა"; "სატელევიზიო ახალი ამბების გაშუქება"; "გაზეთის ტექნოლოგია"; "სარეკლამო სამსახურის მუშაობა" და ა.შ. სტატიების კრებულის რედაქტორ-შემდგენელია მალკომ მალეთი. ინგლისურიდან წიგნი თარგმნა და გამოსცა რუსუდან წერეთელმა. ქართული თარგმანის რედაქტორია მურმან თავდიშვილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელს ცდა და მონდომება არ დაუკლია, რომ ქართული ტექსტი გამართული, მსუბუქად საკითხავი გამოსულიყო. თამამად ვიტყვი: ქართველმა ჟურნალისტებმა (და არა მარტო მათ) შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს.




# ორგანიზებული დამნაშავეობის და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლა "მარტივდება"

პირველი გვერდიდან

**"კანონპროექტის არსია, სამართალდამცავ ორგანოებს მიეცეთ მეტი სამართლებრივი ბერკეტი, რათა ეფექტიანი იყოს კორუფციასთან ბრძოლა არა მარტო თანამდებობის პირების, არამედ იმ საშიში დამნაშავეების, ე.წ. კანონიერი ქურდების, მაფიოზური დაჯგუფებების წევრების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ საშიშროებას საზოგადოებისთვის და, განსაკუთრებით, ბიზნესისთვის,"** - განაცხადა მინისტრმა.

პროექტის თანახმად, რეკეტულ საქმიანობად მიჩნეულია შემოსავლის, ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით წარმოებული ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც, თავის მხრივ, ამ კანონმდებლობის თანახმად უკავშირდება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად თითქმის ყველა მძიმე დანაშაულს.

კანონპროექტის თანახმად, რეკეტირად ითვლება პირი, რომელიც ქონების ან ფულის გამოძალვის მიზნით ჩადის მძიმე დანაშაულებს 10 წელიწადში ორჯერ მაინც (მკვლელობა, ნარკოდანაშაული, ადამიანის გატაცება და ა.შ.).

შესაძლოა იყოს, რომ ამ კანონპროექტის თანახმად, ორგანიზებულ დამნაშავეობაში ჩაბმული პირები და რეკეტირები, თავისი სამართლებრივი სტატუსით, დამნაშავე თანამდებობის პირების უფლებებიან და მათ მიმართ იგივე სამართლებრივი ბერკეტები ამოქმედდება, როგორსაც ახალი კანონმდებლობა დანაშაულში შემჩნეულ ჩინოვნიკთა მიმართ ითვალისწინებს.

**"ამ კანონპროექტის მიღების შემდეგ ისინი ვერ შეძლებენ, თავი აარიდონ გამოძიებას, ქვეყნის შიგნით თუ საზღვრებს გარეთ მიმალვის და გამოძიების წარმატებით წარმართვისთვის ხელის შეშლას,"** - განაცხადა პაპუაშვილმა.

როგორც მან განმარტა, რეკეტისა და მასთან დაკავშირებული პირების მიმართ სამართლებრივი დევნის კანონმდებლობა უფრო მარტივდება და მოქნილი ხდება. კერძოდ, კანონმდებლობის საფუძველზე რეკეტში ეჭვმიტანილი პირები ვეღარ შეძლებენ, თავი აარიდონ გამოძიებას, მიმალვის გზით ხელი შეუშალონ გამოძიების წარმართვას. თავად კანონპროექტი სამართლებრივი დევნის მექანიზმებს ამარტივებს, კერძოდ, მარტივდება კანონმდებლობა და პროცესუალური ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია ასეთი პირის პასუხისმგებლობაში მიცემასთან, მოწმის დაკითხვასთან, ეჭვმიტანილად ცნობასთან, დაკავებასთან და ა. შ. კერძოდ, სამართალდამცავებს შეუძლიათ, დააყადაღონ რეკეტირის და მისი ოჯახის წევრების, ასევე, მასთან კავშირში მყოფი პირების ქონება იმისათვის, რომ მათ ვერ შეძლონ ამ ქონების გადამალვა ქვეყნის გარეთ ან სხვა პირზე გადაფორმება.



ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონპროექტის შექმნის ინიციატორი იუსტიციის მინისტრია.

**"დამნაშავეების იზოლირება შესაძლებელია არა მხოლოდ იმით, რომ საზოგადოებისაგან იქნებიან იზოლირებულნი, არამედ აუცილებელია, მათ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებაც ჩამოერთვას. ეს მაფიოზურ კლანებს წელში გატეხს,"** - აცხადებს იუსტიციის მინისტრი.

პაპუაშვილის განცხადებით, კანონპროექტით სამართალდამცავ ორგანოებს ეძლევათ სრული საკანონმდებლო ბერკეტი იმისათვის, რომ დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლა უკვე სულ სხვა რეჟიმში აწარმოონ.

*24 საათი*

# ტრანსნაციონალური დანაშაულის დონორი საქართველოცაა

*ტრეფიკინგი საერთაშორისო დონის დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება და მას მთელი მსოფლიო ბრძოლას უცხადებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წლების განმავლობაში ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმწოდებელ, სატრანზიტო ქვეყნად არის აღიარებული, იგი ამ ბრძოლაში რამდენიმე წლის წინ ჩაერთო და დანაშაულთან ბრძოლის დაბალი მაჩვენებლით, რამდენჯერმე მოექცა მსოფლიო ყურადღების ცენტრში.*

თამარ კაციტაძე

საერთაშორისო ექსპერტთა მონაცემებით, იარაღისა და ნარკოტიკების შავი ბიზნესის შემდეგ, ადამიანით ვაჭრობას, თავისი მასშტაბებითა და შემოსავლებით, მესამე ადგილი უკავია. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში კი, მათ შორის საქართველოშიც, ტრეფიკინგმა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი. ექსპერტთა მონაცემებით, სწორედ პოსტსაბჭოთა ქვეყნები გახდნენ ადამიანით მოვაჭრეების ძირითადი მიმწოდებელი ბაზა. ტრეფიკინგის დონორთა სიაშია საქართველოც.

მიუხედავად მსოფლიოს მონდომებისა - საქართველო აქტიურად ჩაერთოს ამ ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებაში არსებული მდგომარეობის მიხედვით, ნამდვილად ვერ ვიტყვით იმას, რომ ჩვენი ხელისუფლება აღნიშნული დანაშაულის აღმოფხვრით რეალურად არის დაინტერესებული. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება, რომელშიც უფროსის - ფრიდონ კენკებაშვილის ჩათვლით, მხოლოდ ხუთი თანამშრომელი მუშაობს, ორ პატარა ოთახშია შეყუჟული, სადაც მუშაობის არანაირი პირობა არ არსებობს. თავად კენკებაშვილი ირწმუნება, რომ განყოფილება მაინც ახერხებს ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენას, დაწყებული გამოძიების ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანას და ტრეფიკინგის წინააღმდეგ რეალური ნაბიჯების გადადგმას. მაგრამ ფაქტია, რომ საკმაოდ გავრცელებული დანაშაულის მხოლოდ ერთეული ფაქტების გამოვლენა თუ ხერხდება.

ცოტა ხნის წინ, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებაში არსებული ოპერატიული მასალების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს სამინისტროსა და ლაგოდეხის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი ორგანიზებული დამნაშავეების ჯგუფი გამოავლინეს და დააკავეს კიდეც.

ადამიანებით, მათ შორის - არასრულწლოვანით ვაჭრობისთვის, სამართალდამცველებმა 12 მარტს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში მცხოვრები რევაზ ირემაძის საცხოვრებელ სახლში დააკავეს მეგი ლუარსაბიშვილი და მისი დედა ლენა კაპანაძე-ლუარსაბიშვილი.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, მეგი ლუარსაბიშვილი წლების განმავლობაში თურქეთში მეძავობით ირჩენდა თავს, რის შემდეგაც გათხოვდა და თურქეთის მოქალაქეობასთან ერთად ახალი გვარ-სახელი – მერიემ აჯარი მიიღო. დედა-შვილ ლუარსაბიშვილების ტრეფიკინგის ბიზნესიც სწორედ ამის შემდეგ იწყება.

გამოძიების მასალებით, თურქეთში მაღალანაზღაურებადი სამსახურის დაპირებით, მსხვერპლს საქართველოში დედა არჩევდა, ხოლო უცხო ქვეყანაში უპატრონოდ და უსახსროდ დარჩენილი ქალების იძულებით დასაქმებაზე შემდეგ მერიემ აჯარი ზრუნავდა.

როგორც დაკითხვისას შვიდმა დაზარალებულმა (მათი გვარების დასახელებისგან, გარკვეული მიზეზის გამო, თავს შევიკავებთ) აღნიშნა, ლენა ლუარსაბიშვილი მათ თურქეთის ქალაქ ახჩაგუჯაში რესტორნებსა და დისკო-ბარებში მიმტანად მუშაობას დაჰპირდა. ამისათვის, ლენა ლუარსაბაშვილი, გარკვეული ანაზღაურების საფასურად, ტრეფიკინგის მსხვერპლთ ყალბ დოკუმენტებსაც უმზადებდა. ყველა ქალი საზღვარზე შეცვლილი სახელით და გვარით გადადიოდა.

ანალოგიური გზით მოხვდა თურქეთში ლუარსაბიშვილების არასრულწლოვანი მსხვერპლი, 16 წლის გოგონა ი.ს-ც, რომელიც ტრეფიკინგის მახეში რევაზ ირემაძის "დახმარებით" გაება. გამოძიების მასალების თანახმად, ი.ს-მ რუსთავში გაიცნო ირემაძე, რომელმაც იგი სოფელ გონიოში ჩაიყვანა და იქ მერიემ აჯარი გააცნო. იგი გოგონას დაჰპირდა, რომ თურქეთში ჩაიყვანდა და ბარში მიმტანად ამუშავებდა.

თუმცა, იმისათვის, რომ დედაშვილს არასრულწლოვანი უცხო ქვეყანაში დაესაქმებინათ და სამართალდამცველებთან პრობლემებიც არ შექმნოდათ, მისი დოკუმენტები გააყალბეს, რაც შედარებით ძვირიც დაუჯდათ.

ი.ს-ს უცხოეთში გასამგზავრებლად მოსამზადებელი პროცედურების მოგვარება ლენა ლუარსაბიშვილმა ითავა. მან ყვარლის რაიონის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს თანამშრომლისგან (აღნიშნული პიროვნების ვინაობა დგინდება) გარდაცვლილი ბავშვის, თამუნა ხუციშვილის დაბადების მოწმობა იყიდა, რაშიც 1100 დოლარი გადაიხადა. ამ მოწმობის საფუძველზე, ლაგოდეხის შს რაიგანყოფილების საპასპორტო სამსახურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა (მისი ვინაობაც, ჯერჯერობით, უცნობია) 100 დოლარად პირადობის მოწმობა დაამზადა, ხოლო აღნიშნული პირადობის მოწმობის საფუძველზე, შსს საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს კახეთის რეგიონულმა სამსახურმა ეროვნული პასპორტი გასცა, რაშიც ლუარსაბიშვილმა 400 დოლარი გადაიხადა.

თამუნა ხუციშვილად ქცეული ი.ს სარფის საზღვარზე მერიემ აჯარიმ მიიყვანა, ვიზა აუღო და თავისი ნაცნობი თურქის ავტობუსით გაამგზავრა.

უკვე ქალაქ ახჩაგუჯაში არასრულწლოვანი, ცხადია, დისკო-ბარის ნაცვლად, სასტუმროს გზას გაუყენეს, სადაც ორი თვის მანძილზე დატყვევებული ჰყავდათ და სექსუალურ ინდუსტრიაში გამოიყენეს. აიძულებდნენ, ახჩაგუჯში მდებარე სასტუმროებში "ვალი ოტელში", "იპეკ-ოტელში", "დიაპოლისში" მომსახურებოდა მამაკაცებს დაწესებული ტარიფით - საათში 50 დოლარად.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ლუარსაბიშვილებმა 2003-2004 წლებში, საქართველოდან თურქეთში მოტყუებით, ყალბი საბუთებით რვა არასრულწლოვანი გადაიყვანეს. ყველა მათგანს მეგი ლუარსაბიშვილის მიერ ახჩაგუჯში 50 ათას დოლარად შეძენილ ბინაში ატყვევებდნენ, ართმევდნენ პასპორტებს და შანტაჟით აიძულებდნენ, მეძავად ემუშავათ ამავე ქალაქის სასტუმროებში და დღეში 15 მამაკაცისთვის გაეწიათ მომსახურება. სექსსერვისისთვის გადახდილ გასამრჯელოს – საათში 50 დოლარს – ლუარსაბიშვილები გოგონებს არ უყოფდნენ.

შსს-ს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ლუარსაბიშვილები და მისი პარტნიორები დააკავეს.

ადამიანით ვაჭრობაში ბრალდებულებმა დანაშაული აღიარეს და გამოძიებას დეტალური ჩვენებაც ჩააბარეს.

ადამიანით მოვაჭრე ქალები ამჟამად ორთაჭალის მეხუთე იზოლატორში იმყოფებიან და მათ, სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში - ტრეფიკინგში ედებათ ბრალი. 143 პრიმ მუხლი – ადამიანით ვაჭრობა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, შანტაჟის, მოტყუებისა და ძალადობის გზით, ადამიანს მოტყუებით საზღვარგარეთ გაყვანა; 143-2-მუხლი - არასრულწლოვანით ვაჭრობა; 344-მუხლი – სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა და 362-მუხლით – ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენება – ეს ის მუხლებია, რომლითაც გამოძიებამ ლუარსაბიშვილები დაადანაშაულა და რომელთა მიხედვითაც, მათ 12-დან 17-წლამდე პატიმრობა ელით.

შსს-ს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება იმ პირთა ვინაობის დადგენაზე მუშაობს, რომელთა დახმარებითაც, ლუარსაბიშვილები ყალბ საბუთებს ამზადებდნენ. **"ამჟამად ყალბი პასპორტების დამამზადებელთა გამოვლენაზე ვმუშაობთ და პასუხისგება მათაც მოუწევთ. ამ ორგანიზებული დანაშაულის ყველა მონაწილე დაისჯება, ჩვენ არავის დავინდობთ,"** – აცხადებს განყოფილების უფროსი ფრიდონ კენკებაშვილი.

# იმერეთის რეგიონში „კანონიერი ქურდები" აღარ არიან, დანაშაული კი მატულობს

*მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით დამნაშავეებთან ბრძოლა სულ უფრო მკაცრდება, როგორც ჩანს, კრიმინალური სამყარო ფარხმალის დაყრას სულაც არ აპირებს. ამის მაგალითად იმერეთიც გამოდგება, სადაც ბოლო ათი დღის განმავლობაში თითქმის ყველა სახის დანაშაულის ჩადენაა დაფიქსირებული.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

მაგალითად, ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირისა და ნინოშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, გამდინარე არხში, ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ახალგაზრდა მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. დათვალიერებისას იგი 34 წლის ქუთაისელი კობა მესხი აღმოჩნდა. მას ყელი ჰქონდა გამოჭრილი. საქმეს პროკურატურა იძიებს.

წყალტუბოს პოლიციის თანამშრომლებმა კი სოფელ მაღლაკში 1970 წელს დაბადებული, ადრე ნასამართლევი პაატა ბასიშვილი დააკავეს. პირადი ჩხრეკისას მას 8.1 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა აღმოუჩინეს. მოგვიანებით, ამავე რაიონის სამართალდამცველებმა ბინის ქურდობაში ეჭვმიტანილი ერეკლე მგალობლიშვილი დააკავეს. დაკავების მომენტში იგი ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. პირადი ჩხრეკისას მას 9.4 გრამი მარიხუანა აღმოაჩნდა. იმავე დღეს მისი ძმაც დაიჭირეს, რომელიც ასევე ქურდობაში ყოფილა ეჭვმიტანილი. სამართალდამცველებმა მას ფ-1 სისტემის ხელყუმბარა უპოვეს. ამავე რაიონში, ახლახან, აფხაზეთიდან დევნილმა 33 წლის კაპიტონ ჯგერენაიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ჯგერენაია სანატორიუმ "ივერიას" მაღლივი კორპუსის აივნიდან გადმოხტა, რის შედეგადაც იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

ხონის რაიონის მაღალმთიანი სოფლები კი, ძირითადად, პირუტყვის ქურდობით არის სახელგანთქმული. გასულ კვირას, ხონისა და მარტვილის პოლიციის ერთობლივი ოპერაციის შედეგად, სოფელ გორდში, აპოლონ ჩიხლაძის საცხოვრებელ სახლში ცხენების სასაკლაო აღმოაჩინეს. ადგილზე რამდენიმე ცხენის ტყავი იპოვეს, თავლაში კი 9 ცხენი იყო დაბმული. ჩხრეკისას აპოლონ ჩიხლაძე ქუთაისში ხორცის ჩასაბარებლად იყო წასული. სამართალდამცველებმა იგი გზაში დააკავეს. დაკითხვისას, ჩიხლაძემ ორი ხარის და მის ეზოში ნაპოვნი ცხენების ქურდობა აღიარა, თუმცა თანამზრახველთა ვინაობას არ ასახელებს. ამჟამად იგი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება, სამართალდამცველები დაპატიმრებულისგან დამატებით კიდევ რამდენიმე ქურდობის ფაქტის აღიარებასაც ელიან. აღსანიშნავია, რომ ჩიხლაძე მოპარული საქონელზე საკუთრების ცნობას სოფელ გორდის საკრებულოში აკეთებდა.

ამავე რაიონში ყაჩაღობის ფაქტიც დაფიქსირდა. კერძოდ, სოფელ საწულუკიძეოში სამი უნიღბო, დანებით შეიარაღებული პიროვნება დავით ჯანელიძის ოჯახს თავს დაესხა. ყაჩაღებს ოჯახში ჯანელიძეების ახლობელი, ნონა შუბითიძე დახვდათ. დამნაშავეებმა მას მობილური ტელეფონი და ასი ლარი წაართვეს.

ბოლო პერიოდში კრიმინალური ვითარება სამტრედიაშიც გართულდა. კერძოდ, ამავე რაიონის სოფელ ეწერში მძიმე დანაშაული მოხდა. ნიღბებითა და მძიმე სამხედრო აღჭურვილობით შეიარაღებული, ყაჩაღთა ბანდა კაკაბაძეების ოჯახს დაესხა თავს. სასურველი თანხის ვერმიღებით განაწყენებულმა ყაჩაღებმა სასტიკად აწამეს ოჯახის უფროსი ანზორ კაკაბაძე (მას სხეულზე 16 ჭრილობა მიაყენეს), წასვლისას კი დანით გულ-მკერდის არეში დაჭრეს. დაზარალებული სიკვდილს გადაურჩა. ამჟამად მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე აღარ ემუქრება. კაკაბაძის ახლობლები სამართალდამცველებისგან დამნაშავეების გამოვლენას ოპერატიულად მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რკინიგზის გადაკეტვით იმუქრებიან. შექმნილ სიტუაციაში გასარკვევად, რაიონში იმერეთის სამხარეო სამმართველოს სპეცჯგუფი ჩავიდა. მათ ორ დღეში 6 კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს. დაკავებულთა შორის რკინიგზის ყოფილი ხელმძღვანელის, რემი ვაშაკიძის დისშვილი, ვარლამ ნიკურაძეც აღმოჩნდა. იმერეთის სამხარეო პოლიციაში გაწეულ მუშაობას არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ. სამართალდამცველებს საამაყოდ ისღა დარჩენიათ, რომ რეგიონში "კანონიერი ქურდები", პრაქტიკულად, აღარ არიან. სტატისტიკის მიხედვით კი, მხარეში ბოლო სამი თვის განმავლობაში 773 დანაშაულია დაფიქსირებული, რომელთაგან 526 გახსნილია. იმერეთში დაფიქსირებული ყაჩაღობის 60 ფაქტიდან მხოლოდ 20-ია გახსნილი. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დანაშაულის გახსნის პროცენტული მაჩვენებელი 30 პროცენტითაა შემცირებული.

რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას. გასულ კვირას ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ 28 წლის სამტრედიელი ივანე რუსიას საქმე განიხილა, რომელსაც პროკურატურა მეზობლის მკვლელობაში ადანაშაულებს. მსჯავრდებულმა დანაშაული სოფელ ზედა გომში ჩაიდინა, რა დროსაც მან დანით მეზობელი, ნოდარ ნიკოლეიშვილი სიცოცხლეს გამოასალმა. საქმე აბაშის სასამართლომ განიხილა და რუსიას, ჩადენილი მკვლელობისათვის, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ რუსია ნიკოლეიშვილისაგან თავს იცავდა და დანით ჭრილობა ამიტომაც მიაყენა. დაზარალებული და სახელმწიფო ბრალმდებელი განაჩენით უკმაყოფილონი დარჩნენ და განაჩენი ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს. მტკიცებულებების შესწავლის შემდეგ, მოსამართლე ივანე აფრიდონიძემ რუსიას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა და დაზარალებულის სასარგებლოდ 5 ათას 400 ლარის ანაზღაურებაც დააკისრა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ ქსნის მეშვიდე, მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში სამართალდამცავებმა 12 მეტრი სიგრძის გვირაბი აღმოაჩინეს. დაწესებულებაში იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა ჩხრეკა ჩაატარა, რის შედეგადაც ამოღებულ იქნა აკრძალული ნივთები. როგორც ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა განუცხადა, სამინისტრო ფლობდა ოპერატიულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პატიმრები გაქცევას გეგმავდნენ. მისივე თქმით, არის ინფორმაცია, თითქოს კრიმინალური ჯგუფები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ექსცესების მოწყობას აპირებენ, რისი განხორციელების შემთხვევაშიც, იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი, არეულობის აღკვეთის მიზნით, ყველა ღონეს იხმარს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში, მდინარე ენგურთან, შემთხვევით გამვლელებმა ადამიანის სხეულის ნაწილი - თავი იპოვნეს. დაახლოებით, ერთი კვირის წინათ, შამგონადან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, იპოვეს ქვემო კიდურებიც. ქართველი სამართალდამცავები არ გამორიცხავენ, რომ სხეულის ორივე ნაწილი ერთი და იმავე ადამიანის იყოს. მათივე ინფორმაციით, დანაწევრებული გვამი ენგურზე, აფხაზების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან არის გამორიყული. სხეულის ნაპოვნ ნაწილებს სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის ლექტორის, 65 წლის ნელი იმედაშვილის მკვლელობის მოტივი ან ანგარება, ან შურისძიებაა," - აცხადებს ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორი თამაზ გეთია. იმედაშვილი ყაზბეგის გამზირის N17-ში მდებარე საკუთარ სახლში დანით მოკლეს. მკვლელობა, სავარაუდოდ, 21 აპრილს არის ჩადენილი. მოკლულის გვამი მისმა ნათესავმა 22 აპრილს აღმოაჩინა. იმედაშვილს ჭრილობები მიყენებული აქვს მუცლის, ზურგის, ფეხის, სახის არეში. გამოძიებამ ჯერჯერობით ვერ დაადგინა, არის თუ არა რაიმე სახლიდან წაღებული. ნელი იმედაშვილი სახლში მარტო ცხოვრობდა. გამოძიების ინფორმაციით, მას იმდენი ქონება არ გააჩნდა, რომ ყაჩაღების ყურადღება მიექცია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს სოფელ ფერიაში მცხოვრები, 34 წლის ჯამბულ კაკაბაძე, რომელიც განმეორებით იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელვაჩაურის ქვეგანყოფილება იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში მცხოვრები, 35 წლის ზურაბ მჭედლიშვილი და რუსთავის 21-ე მიკრორაიონში მცხოვრები, 33 წლის კამო სნხჩიანი, რომლებიც საგარეჯოს რაიონის სოფელ შიბლიანის ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის გამთიშველებს იპარავდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს დედოფლის წყაროს რაიონის სოფელ ოზაანში მცხოვრები, 28 წლის კახაბერ გოგიაშვილი, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში მცხოვრები, 25 წლის ლაშა გუგუჩია და სოფელ შამგონაში მცხოვრები, 30 წლის კობა თორია, რომლებმაც ჯართად ჩაბარების მიზნით, შპს „საქართველოს ელექტროქსელების" იმერეთის ფილიალის კუთვნილი მაღალი ძაბვის ანძა დაჭრეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** გუშინწინ, გვიან ღამით, კასპის პოლიციის თანამშრომლებმა თბილისიდან-ბათუმის მიმართულებით მოძრავი შავი ფერის "ფოლკსვაგენი" დააკავეს. სამართალდამცველების მტკიცებით, ავტომანქანა გატაცებულია. "ფოლკსვაგენის" მძღოლს ილია სვიანაშვილს უშიშროების სამინისტროს ოპერატიული მუშაკის მოწმობა აღმოაჩნდა. მანქანაში აღმოჩენილია თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის სანომრე ნიშნები. ის ნომრები კი, რომლებიც "ფოლკსვაგენზე" იყო მიმაგრებული, სხვა ავტომანქანას ეკუთვნის. აღნიშნული ავტომანქანის მფლობელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელი ნიკა წერეთელი კი აცხადებს, რომ ავტომანქანის მძღოლი ილია სვიანაშვილი, რომელსაც უშიშროების სამინისტროს ოპერატიული მუშაკის მოწმობა აღმოაჩნდა, სულ ცოტა ხნის წინ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და იგი ამჟამად უშიშროების სამსახურის კადრების განყოფილებაში ირიცხება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**წყალტუბო.** წყალტუბოს პოლიციამ გუშინ დილით ორი პიროვნება ნარკომანიაში ამხილა და დააკავა. ბორის დოლაბერიძე, რომელიც აღნიშნული დანაშაულის გამო სამჯერ არის ნასამართლევი, დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მისი სახლის ჩხრეკისას კი სამართალდამცველებმა 2 გრ "ოპიუმი" და 25 გრ ე.წ. "მაკი" ამოიღეს. მეორე დაკავებულს - ვეფხია კიკვაძეს პირადი ჩხრეკისას 7 გრ ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა" უპოვეს. ორივე პიროვნება წყალტუბოს წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს. **ინტერ-პრესი**

# 130 მოსწავლე ოთხი წელი სკოლის გარეშეა


ბეჩო.

ბეჩო - უძველესი სვანური სოფელი მაღალ მთებში, საქართველოს უკანასკნელი დასახლებული პუნქტი უკიდურეს ჩრდილოეთში, სვანეთისა და ბალყარეთის გამყოფი ქედების ზღურბლზე, უშბის ძირში.

სავსებით ბუნებრივია, თუ ქართველმა კაცმა ოდესღაც აქ, მთის არწივის ამ საბუდარში იპოვა არა მარტო მყუდრო სადგომი, არამედ ძველთაძველი სულიერი კულტურის ძეგლთა საიმედო სავანეც.

არც ერთი წიგნი, არც ერთი ნაამბობი არ გადმოგვცემს ამ კუთხის სილამაზეს და სიდიადეს, სილამაზესთან ერთად მას განსაკუთრებული თავისებურება გამოარჩევს საქართველოს სხვა, არანაკლებ ლამაზი კუთხეებისაგან.

სვანეთის თავისებურება კი კონტრასტულობაშია: მწვანე ბალახი და იქვე ქათქათა თოვლი. უყურებ მთებს, მწვერვალებს, გრძნობ მათ სიდიადეს. ზღაპრულად გეჩვენება ისინი, მაგრამ გადადგამ ორ ნაბიჯს და დიადი ჩვეულებრივი ხდება, ზღაპრული - ხელშესახები.

იშვიათია ხალხი, რომელიც თავისი გარეგნობითა და ხასიათით ასე შეესატყვისებოდეს გარემოს. ორივე - ფართო, გაშლილი, ზვიადი, ამაყი, მრავლისმთქმელი, მაგრამ ამავე დროს უაღრესად ლაკონიური. ხვდები სოფლის შესანიშნავ ადამიანებს და გხიბლავს მათი ბუნებრივი თავაზიანობა, სიდარბაისლე. დინჯი, სასიამოვნო ბაასი, სტუმართმოყვარეობა, საკუთარი სოფლის წარსული და ახალი კულტურის სიყვარული. აქ მოკრძალებით უფრთხილდებიან და ინახავენ მამაპაპათა სანაქებო ტრადიციებს.

ბეჩო, ისე როგორც ყველა სვანური თემი, რამდენიმე სოფლისგან შედგება. თუ წინათ ეს სოფლები - ლანხვარი, ქართვანი, დოლი, ჭკიდანარი, სვიფი, ცხეკვანი, უშხვანარი, ნაშთგოლი, ახალშენი, ჭოხულდი, ბაგვდანარი, ტვებიში, მაზერი - ცალ-ცალკე იდგნენ და მათ შორის საკმაო მანძილი იყო, ახლა ისინი მთელის განუყოფელი ნაწილებია, თუმცა სოფლებს ადვილად გაარჩევთ ერთმანეთისაგან.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მტკიცდება, რომ ბეჩოს თემი ბრინჯაოს ხანიდანაა დასახლებული. ამის ერთ-ერთი მტკიცება ბოლო დროს ქართვანიში გამოვლენილი სამაროვანია. გარდა ამისა, ქართვანის სამარხეულმა მასალებმა კიდევ უფრო ძლიერად გამოკვეთა კოლხეთის მთიანეთისა და ჩრდილო კავკასიის არქეოლოგიური ძეგლების სიახლოვე ბრინჯაოს ხანაში.

თხუთმეტი ძველი ეკლესია-სალოცავისა და ოცი ნაკოშკარნასახლარის ნაშთები მოწმობს, რომ ბეჩო ძველად მჭიდროდ დასახლებული ადგილი უნდა ყოფილიყო. გადმოცემით, მრავალი წლის წინათ სოფელ მაზერში უშბიდან წამოსულმა მეწყერმა დიდძალი ადამიანი, მრავალი ოჯახი დედაბუდიანად გაწყვიტა. უშბის მხრიდან წამოვიდა 1983 წელს, აგრეთვე, მეწყერი, მაგრამ, საბედნიეროდ, სოფლის დასაწყისში სხვა მიმართულება აიღო და სოფელი გადარჩა. სხვათა შორის, გვერდი აუარა შიხრის წმ. გიორგის ეკლესიას, რომლის მიმართულებითაც ის მიდიოდა. წმ. გიორგის ეკლესია ბეჩოში რამდენიმეა, მათ შორის ზემოთ აღნიშნული წმ. გიორგი ბეჩოს ახალგაზრდობამ თავისი სახსრებით აღადგინა ყველანაირი სპონსორისა და ფონდის გარეშე. ადგილობრივი ახალგაზრდების მიერ გასულ წლებში შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები: კეთილმოეწყო ბეჩოს შიდასასოფლო გზები, დაიდგა სატელევიზიო გადმოცემები (ამჟამად, არის სამი სატელევიზიო არხი: პირველი არხი, იმედი და რუსთავი-2), კეთილმოეწყო და მოწესრიგდა ფეხბურთის, ფრენბურთის, საჭიდაო და მძლეოსნობის მოედნები. შეკეთებულ და აღდგენილ იქნა შიხრის "მჟავე წყლის" ტერიტორია. მიმდინარე წელს შეკეთდება ქართვანის მთავარანგელოზის ეკლესიის სახურავი, უშხვანარის სპორტული დარბაზი (ყოფილი კოოპერაციის შენობა), შიხრის საცურაო აუზი და ა.შ.

ასევე აღდგა უშხვანარის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც წარმოშობით ბეჩოელმა, თბილისის მკვიდრმა, სვანეთის (საქართველოს) კეთილდღეობისათვის თავდაუზოგავმა კახა (კანდიტ) კვიციანმა ითავა, მანვე დაამზადებინა ამ ტაძრისთვის დედო ზარი და გაიყვანა საავტომობილო გზა მთავარანგელოზ გაბრიელის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიამდე.

ბეჩოში ბევრი ნიჭიერი და ენაწყლიანი მთქმელია. მათი მეხსიერება ინახავს ლაღი ფანტაზიის უძველეს მითებს, ლეგენდა-თქმულებებს, ასეულობით ისეთ სიტყვას, ტოპონიმიკურსა და ონომასტიკურ სახელებს, რომელთაც ვერც ერთ ლექსიკონში ვერ შეხვდებით.

ყოველ მცირე ნაკვეთს, ყოველ ადგილს, სადაც ადამიანს ფეხი დაუდგამს, მთას, ქედს, სათიბს, საძოვარს, საყანეს, მდინარეს, ღელეს, ნაკადულს, წყაროს, გზას თავისი საკუთარი სახელწოდება აქვს. ამ ადგილისათვის უხსოვარი დროიდან შერქმეული სახელები ახლაც შემონახულია სოფლის ხსოვნაში და ზეპირად გადაეცემა თაობებს. განსაკუთრებით მდიდარი და ნაირფეროვანია სოფლის ტოპონიმიკა, ონომასტიკონი.

ბეჩო მამაცი მთამსვლელების საბუდარია. არაერთ ბეჩოელ მთამსვლელს უსახელებია თავი და მათი ვაჟკაცობა აღბეჭდილიცაა ალპინიზმის ქრონიკებში (მურათბი კიბოლიანი, ალმაცგირ კვიციანი, ბაგაუ კვიციანი, გივი წერედიანი, ლადო გურჩიანი, შამილ კვიციანი, თენგიზ ვეზდენი, კახა და კობა გურჩიანები, სოსო წერედიანი, ივერი კვიციანი, მუსტანგერ ჩარკვიანი და სხვ.).

1968 წელს საქართველოს სსრ სპორტკავშირმა და საქართველოს ალკკ ცკ-მ მიხეილ ხერგიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოაწყო ასვლა მწვერვალ უშბაზე. "კლდის ვეფხვმა" შეადგინა და საგულდაგულოდ მოამზადა ექსპედიცია 45 ქართველი მთამსვლელის შემადგენლობით (მათ შორის ოცი სვანეთიდან იყო). ექსპედიციაში შედიოდა ღვაწლმოსილი მთამსვლელი და მონადირე, 75 წლის ბეჩოელი ალმაცგირ კვიციანი. მწვერვალთა მეუფე, კავკასიონის მშვენება, მრისხანე უშბა აღებულ იქნა, რითაც დიდების კიდევ ერთი ფურცელი შეემატა ქართული ალპინიზმის ისტორიას.

სვანეთი ტურიზმის მნიშვნელოვანი ცენტრია კავკასიაში. ბეჩოს თვალწარმტაცი ბუნება, განთქმული ისტორიული ძეგლები უფრო და უფრო მეტი მასშტაბით იზიდავს მრავალ უცხოელ ტურისტს.

ბეჩოდან გადის ჩრ. კავკასიაში ბეჩოს ანუ იუსენგის უღელტეხილი (3375 მ.ზღ.დ.), რომელიც მდინარეების, დოლრასა და თეგენეკლის ხეობებს აკავშირებს. ამ მარშრუტით მიმავალი გზა იწყება მაზერიდან, მიჰყვება მდ. დოლრას. გაივლის ქვიშის ხეობასა და მყინვარს, შემდეგ უღელტეხილიდან ჩრდილოეთით ეშვება სოფ. თეგენეკლიში (ბალყარეთი). ამ უღელტეხილზე გადიოდა ყოფილი საკავშირო მნიშვნელობის 46-ე ტურისტული მარშრუტი. მაზერში, ულამაზეს მწვერვალ უშბას ძირას, მინერალური წყლებით, ანკარა ნაკადულებით, განუმეორებელი სილამაზის ბუნებით ცნობილი შიხრის ველზე მდებარეობს 120-ადგილიანი სასტუმრო კომპლექსი (რომელიც დღეს, სამწუხაროდ, სავალალო მდგომარეობაშია). აქედან ხდება ასვლები უშბაზე შდუგვრის ჩანჩქერსა და სხვა მწვერვალებზე. ტურიზმის შემდგომი განვითარება სვანეთს, კერძოდ ბეჩოს, დიდ პერსპექტივებს უქმნის და შორს არაა ის დროც, როცა ეს კუთხე ქვეყნის უდიდეს ტურისტულ ცენტრად იქცევა.

ბეჩოს თემის ეკლესიების კედლებზე მოთავსებულია (ამოკვეთილია, შელესილობაზე საგანგებოდ ამოკაწრულია ან ფერწერული საღებავით მიწერილია) ძველი ქართული ნაწერები - ქართული წერილობითი კულტურის შესანიშნავი ძეგლები, რომლებშიც უამრავი ცნობა და ფაქტია შემონახული, როგორც სვანეთის, ისე მთელი საქართველოს, განსაკუთრებით ქართული კულტურის, მისი წარსულის, სულ სხვადასხვა საკითხის შესასწავლად. მათი უმეტესობა ძალიან ძველია და X-XI საუკუნეებით თარიღდება. ამდენად, ეს ეკლესიები ერთგვარი არქივების, ძველი საბუთების დაცვისა და შენახვის ფუნქციასაც ასრულებენ.

აღსანიშნავია ბეჩოს ეკლესიებში აღმოჩენილი წარწერები. გარდა ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიისა, ბეჩოს (სვანეთის) გრაფიტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის წარსულის კულტურულ-ისტორიული საკითხების შესასწავლად. კერძოდ, ამ ძეგლების მიხედვით თვალნათლივ ჩანს წერილობითი კულტურის მაღალი დონე შუა საუკუნეთა სვანეთში.

ბეჩოს წარწერა-გრაფიტებში გამოვლინდა ჩვენი წარსულის ასობით უცნობი პირის სახელი. ზოგჯერ შესაძლებელია მათი მოღვაწეობის სფეროს განსაზღვრა, მათი საქმიანობის, ინტერესებისა და მისწრაფებების გარკვევა. ცხადია, ეს მასალა ამ თვალსაზრისითაც ძვირფასი და მნიშვნელოვანია.

ამ მხრივ აღსანიშნავია გულისა და ჭოხულდის ფრესკული და ნაკაწრი წარწერები. დოლის XIII-XIV საუკუნეების წარწერები ჯვრებზე და სხვ.

ქართველი ხალხის მშვენება და სიამაყეა მესტიის მუზეუმში დაცული IX ს-ის ხელნაწერი, რომელიც მეცნიერებაში ადიშის ოთხთავის სახარებითაა ცნობილი. ეს ძეგლი საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა სოფ. ადიშში და შთამომავლობას გადმოეცა, როგორც ქართული ენისა და კულტურის მარად გაუხუნარი საუნჯე. ამ ძეგლის დაუფასებელი მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიაში საყოველთაოდ ცნობილია.

ადიშის ხელნაწერს ერთვის მოგვიანო დროის (XVI-XVII სს.) სვან მოღვაწეთა მინაწერებიც.. ერთ მათგანში მოხსენიებულია სვანი მწიგნობარი იოვანე მუბეჩვანი. ამ უცნობი მოღვაწის შესახებ სამწუხაროდ სხვა ცნობა არ შემონახულა. მუბეჩვანი, როგორც ჩანს, მართლაც ბეჩოელი იყო, რადგან, როგორც თავის დროზე სამართლიანად აღნიშნავდა აკად. ა. შანიძე, სვანური მუბეჩვანი ქართულად სწორედ ბეჩოელს ნიშნავს. ხსენებული მინაწერის ავტორი მოკრძალებითა და ქებით იხსენიებს ადიშს: "ღმერთმა შეუნდოს ად(ი)შისა სოფელსო".

ბეჩოს ეკლესიებში შემონახცულია კედლის მხატვრობის ურიცხვი ძეგლი, რომლებიც ქრონოლოგიურად X-XVII სს-ს განეკუთვნება. ამ და სვანეთის სხვა ხატებისა და ფრესკების შესწავლას მეცნიერები იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ სვანეთი იყო კულტურის დიდი კერა ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, საკუთარი სკოლების მქონე.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთი წარსულის მქონე განათლებისა და კულტურის ერთ-ერთ პატარა კუთხეს, ბეჩოს თემის სოფელ მაზერს უკვე ოთხი წელია სკოლა არა აქვს. 50-იან წლებში აშენებული მაზერის არასრული საშუალო სკოლის შენობა ოთხი წლის წინ დაიწვა. სოფლის მცხოვრებლებმა და ამ სოფლიდან წამოსულებმა შექმნეს მაზერის სკოლის ფონდი. შემოწირული თანხებით მოხდა სამშენებლო მასალების (ბლოკი, ხრეში და სხვა.) შემოზიდვა, მაგრამ, გარდა ადგილზე არსებული მასალებისა, სკოლის აშენებას სჭირდება ცემენტი, თუნუქი, არმატურა, საღებავი, მინა და სხვა, რომლებიც ადგილზე არ იშოვება.

სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ, მიუხედავად უამრავი წერილისა და ხვეწნა-მუდარისა, არად ჩააგდო 130-ზე მეტი მოსწავლის, მასწავლებლებისა და მშობლების თხოვნა და საერთოდაც არც კი დაინტერესებულან მათი პრობლემებით (ადგილობრივი ხელისუფლების ძალებით, სამწუხაროდ, ეს პრობლემა ვერ მოგვარდა).

ამჟამად 130-ზე მეტი ბავშვი ერთ-ერთი მოსახლის დაუმთავრებელ სახლში არის შეფარებული. შარშან სკოლამ 20 პირველკლასელი მიიღო. წლეულსაც ამდენივე პირველკლასელს ელიან. იქნებ, დროზე მიხედონ იმ უწყებებმა, რომლებსაც ეს საკითხი ეხება და მეტს ნუღარ გააცდენინებენ ამ ბავშვებს სკოლას. მით უმეტეს, რომ აქაური პედაგოგები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ბავშვებს არაფერი დააკლონ.

სოფლის მოსახლეობას, პედკოლექტივს, მოსწავლეებს სჯერათ ახალი პრეზიდენტისა და მოუთმენლად ელიან მათი სკოლის მშენებლობას, ღრმად სწამთ, რომ მომავალ სასწავლო წელს ისინი ახალ სკოლაში შეხვდებიან.

თუკი 2004 წელს სკოლის შენობა არ აშენდა, თითქმის მთელი სოფელი ფიქრობს, რომ აიყაროს და მიატოვოს იქაურობა: "თუ ჩემმა შვილმა XXI ს-ში არ ისწავლა სკოლაში, მაშინ რაღა აზრი აქვს ჩვენს აქ ყოფნას და ცხოვრებას" - ამბობს ცხრა შვილის დედა სვეტლანა გადრანი.

ვერ გაამტყუნებ სწავლა-განათლებას მოწყურებულ ადამიანებს.

*სოფ. მაზერის საშუალო სკოლის პედკოლექტივი*

საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



www.24hours.ge 24 B

# მამა ლეონიდე კიშკოვსკი:
# დღეს მოქმედების დროა

ნოდარ ლადარია

*16-დან 24 აპრილამდე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური, უნეტარესი მიტროპოლიტი ჰერმანე. დელეგაციის ერთ-ერთ წევრი იყო მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის თვალსაჩინო მოღვაწე, დეკანოზი ლეონიდე კიშკოვსკი. მამა ლეონიდე ამერიკისა და კანადის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელია. იგი ყაზანის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის წინამძღვარია პატარა ქალაქ სი-კლიფში ნიუ-იორკის მახლობლად. თავის დროზე იყო მსოფლიო კონფერენციის "რელიგიები მშვიდობისათვის" პრეზიდენტი და აშშ ქრისტეს ეკლესიათა ეროვნული საბჭოს პირველი მართლმადიდებელი პრეზიდენტი. 2002-2003 წლებშიც ეს თანამდებობა მართლმადიდებელი აღმსარებლობის ქალბატონს, ელენე ჰუზაკს ეჭირა. დღეს მამა ლეონიდე არის ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის ეკლესიათშორისი ურთიერთობებისა და ეკუმენური მოწმობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე და რედაქტორობს გაზეთს "The Orthodox Curch" (მართლმადიდებელი ეკლესია). ბოლო დროის განმავლობაში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა მასალები, რომელთა ავტორები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები არიან, ასევე გამოქვეყნდა მათთან რამდენიმე ინტერვიუ. "24 საათის" ამ პუბლიკაციებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. ეს რეზონანსი არ ყოფილა ცალსახა: ჩვენს სინამდვილეში ძლიერად თუ არა, მკაფიოდ ისმის გამოქვეყნებულ მასალათა ავტორების საწინააღმდეგოდ მიმართული ხმები. მიტროპოლიტ აბრაამს, ეპისკოპოს ზენონს, დეკანოზ ბასილ კობახიძეს, მღვდელ ზაზა თევზაძეს ხან მწვალებლობას აბრალებენ და ხან ვერცხლისმოყვარეობას. რაც არ უნდა აბსურდულად მიგვაჩნდეს ეს ბრალდებები, მათი უყურადღებოდ დატოვება არ ეგების. მიმაჩნია, რომ წინამდებარე ინტერვიუ ერთგვარი პასუხი იქნება ამ ბრალდებათა მიმართ და ეს დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გასული კვირის მიმოხილვა. ომბუდსმენის მოვალეობა მკითხველთა ინტერესების დაცვაა, მკითხველის უმთავრესი ინტერესი კი ჭეშმარიტების მისაწვდომობაა. განა კი რა ვიცით მსოფლიოში მცხოვრებ მართლმადიდებელ ძმათა ცხოვრების შესახებ? ღვთისმსახურს, რომელსაც 23 აპრილს შევხვდი, ვერავინ დააბრალებს ვერც მწვალებლობას და ვერც ანგარებას. დღეს ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გავიგოთ მსოფლიო მართლმადიდებლობის შესახებ უფრო მეტი, ვიდრე იერარქთა ურთიერთმისალმების ამსახველი ფოტოებიდან შეიძლება შევიტყოთ. ამიტომაც გავიხსენე გაზეთის მკითხველებთან რეგულარულ შეხვედრათა კარგა ხნის დავიწყებული ტრადიცია და თუმცა მამა ლეონიდე ჩვენი გაზეთის მკითხველი არაა, ჩემს დღევანდელ გადაწყვეტილებას ის ამართლებს, რომ საგაზეთო საქმე მისთვის ნადვილად არაა უცხო და მასთან საუბარი თავისუფლად შეიძლება გამოდგეს იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა გაშუქდეს საეკლესიო ცხოვრების საკითხები საერო პრესის ფურცლებზე.*



**- მამაო ლეონიდე, რას ნიშნავს იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში?**

- ოჰ, ეს ძალიან ფართო საკითხია... იმისათვის, რომ მკაფიოდ ვუპასუხოთ, კონტექსტიდან უნდა დავიწყოთ. მართლმადიდებლები ამერიკაში უმცირესობას წარმოადგენენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ცოტანი არიან. საერთო რიცხვი სამიდან ოთხ მილიონამდეა. ამერიკელ მართლმადიდებელთა ძირითადი თვისება მათი, ასე ვთქვათ, მოზაიკურობაა. ვგულისხმობ ეთნიკური წარმოშობისა და კულტურული მიკუთვნებულობის მრავალფეროვნებას.

ხშირად ფიქრობენ, რომ ამერიკელი მართლმადიდებლები მხოლოდ ემიგრანტები არიან. ეს მართალი არაა. უნდა აღვნიშნო, რომ მართლმადიდებლობა ჩვენში მისიონერობით დაიწყო. პირველი ქრისტიანები ჩრდილო-ამერიკის კონტინენტზე ალასკის ნახევარკუნძულზე დამკვიდრებული რუსი ბერები იყვნენ. მათგან ყველაზე გამორჩეული იყო წმ. **გერმანე ალასკელი**, ბალაამის მონასტრის ბერი. შემდეგ წმინდა ეპისკოპოსი **ინოკენტი ალეუტელი**, რომელმაც შექმნა ესკიმოსთა და ალეუტთათვის ანბანი, თარგმნა ლოცვები და საღვთო წერილის ვრცელი ფრაგმენტები. მისი მოღვაწეობის შედეგად 15 ათასამდე სხვადასხვა ტომის წარმომადგენელი ალეუტი მოინათლა მართლმადიდებელ ქრისტიანად. XIX საუკუნის პირველ ნახევარში იქვე მოღვაწეობდა მღვდელი იოანე ვენიამინოვი, რომელიც ალასკაში ჩამოვიდა, დაქვრივდა და მთელი ცხოვრება მისიონერულ მოღვაწეობას მიუძღვნა.

ემიგრანტთა პირველი ტალღა ამერიკაში XIX საუკუნის ბოლოს აღწევს. ეს იყვნენ ლტოლვილები აღმოსავლეთ ევროპიდან და ახლო აღმოსავლეთიდან, გარდა ამისა, უნიატები ავსტრო-უნგრეთის იმპერიიდან. უნიატები, მოგეხსენებათ, აღმოსავლური წესის ქრისტიანები არიან, რომლებიც რომის პაპის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან. ევროპაში ასეთი უნიატური ეკლესიები ხშირად პოლიტიკური ძალების ზეწოლით იქმნებოდა ან იკრძალებოდა. ამერიკაში ჩამოსვლის შემდეგ ბევრი უნიატი ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლის გარეშე დაუბრუნდა მართლმადიდებელ აღმსარებლობას.

შემდეგ ემიგრანტულ ნაკადს რევოლუციის შემდეგ რუსეთიდან გამოქცეულნი შეადგენდნენ, მათ გარდა კი ბერძნები და არაბებიც. გასაგებია, რომ ასეთივე დიდი შემომატება იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და გასული საუკუნის 90-იან წლებში. დღეს ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლში ბევრი ქართველიც არის.

**- საღვთისმსახურო ენა?**

- ძირითადად, ინგლისური. მაგრამ სლავურიც და ბერძნულიც. ეს ყოველი კონკრეტული მრევლის გადასაწყვეტია, რადგან ჩვენში არჩევნის სრული თავისუფლება სუფევს. ჩემს მრევლში ინგლისური და სლავური თანაბრადაა წარმოდგენილი, რათა ახალჩამოსულებმა თავი უცხოდ არ იგრძნონ და თან ინგლისურიც მალე ისწავლონ.

ინგლისური ენის რაოდენობრივი პრიორიტეტი კი იმითაცაა გამოწვეული, რომ ამერიკელ მართლმადიდებელთა დიდი ნაწილი მოქცეული ამერიკელები არიან. მაგალითად, როცა 1960-იან წლებში წმ. ვლადიმირის მართლმადიდებელი თეოლოგიის აკადემიაში ვსწავლობდი, იქ სტუდენტთა ნახევარს მართლმადიდებლობაზე მოქცეული პროტესტანტები შეადგენდნენ.

**- რატომ ხდება ეს?**

- ამერიკას ხშირად მატერიალისტურ და სეკულარულ ქვეყანად მიიჩნევენ. გარკვეული აზრით, ეს მართალიცაა. მაგრამ შეერთებული შტატების მოსახლეობა საკმაოდ რელიგიურია. 60 პროცენტამდე ამერიკელი პრაქტიკულად აღასრულებს რომელიმე რელიგიის კულტს, მაშინ როცა ევროპაში აქტიური მორწმუნეები მოსახლეობის საერთო რიცხვის მხოლოდ 3 თუ 4 პროცენტია. ყველაზე მრავალრიცხოვანი კონფესია შეერთებულ შტატებში კათოლიკეებია, თუმცა სხვადასხვა მიმართულების პროტესტანტთა საერთო რიცხვი მათზე მეტია. ამერიკაში ხშირად შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც მუდმივ სულიერ ძიებაში არიან. მათ აინტერესებთ უფრო ღრმა ისტორიული ფესვების მქონე რელიგია, აინტერესებთ სამოციქულო გადამოცემის უფრო ადეკვატური და ტრადიციული შესრულება. ზოგჯერ კათოლიკეებსაც სწადიათ ისეთი ღვთისმსახურება, რომელიც უფრო მჭიდროდ იქნება დაკავშირებული თავის პირველად საფუძვლებთან, ვიდრე თანამედროვე კათოლიციზმი. ბევრი მათგანი ამ მიზეზების წყალობით მოდის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში.

**- სხვათა შორის, როცა გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენშიც დაიწყო სულიერი ძიების ხანა, როცა ჩვენშიც შემოაღწია რელიგიური ლიტერატურის პირველმა ნაკადმა, ჩვენს მორწმუნეებზე დიდი გავლენა მოახდინა ამერიკელი მართლმადიდებლის, სერაფიმე როუზის თხზულებებმა...**

- ჰო, ეს რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის მღვდელია... მე მას პირადად ვიცნობდი, როცა ჯერ კიდევ ერისკაცი იყო. ჭეშმარიტად სულიერი ადამიანი და მლოცველი გახლდათ. რაც შეეხება მის ნაწარმოებებს, მათ არც რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესია იღებს უპირობოდ. ძალიან ბევრია საკამათო და მიუღებელიც. რუსეთში ყოფნისას მკითხეს, თუ ვაპირებდით სერაფიმე როუზის კანონიზაციას. მე ვუპასუხე, რომ ეს საკითხი ჩვენს ეკლესიაში არ დგას, რადგან მამა სერაფიმე ჩვენს ეკლესიაში არ შედიოდა. თან გავაფრთხილე, რომ მისი ნაწარმოებების აღიარება დოგმატურად გაუმართლებელია. თუმცა, როგორც აღვნიშნე, მართლაც სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდა.

**- დავუბრუნდეთ მართლმადიდებლობას ამერიკაში. როგორ მიმდინარეობს თანამშრომლობა სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან?**

- თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ მართლმადიდებელთა არსებობა ამერიკაში თავისუფალია. ჩვენ საკუთარი სახსრებით ვცხოვრობთ და არავისგან არ ვღებულობთ სუბსიდიებს. ამიტომ თანამშრომლობა ჩვენს შემთხვევაში არ ნიშნავს ეკონომიკურ დამოკიდებულებაში ყოფნას. აშშ დიდი ქვეყანაა და იქ კონკრეტული სიტუაციებიც მრავალფეროვანია. ძირითადად, მართლმადიდებლები, პროტესტანტები და კათოლიკეები ღარიბთა და უსახლკაროთა დახმარების ერთობლივ პროექტებს ადგენენ და ასრულებენ.

ამის გარდა არის საზოგადოების წინაშე ქრისტეს ერთობლივი მოწმობის წარმოჩენაც. მაგალითად, აშშ-ში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა აბორტის იურიდიული აღიარება. როცა რამდენიმე წლის წინათ ვაშინგტონის მთავრობამ აბორტის ლეგალიზაციას დაუჭირა მხარი, მართლმადიდებლებმა, კათოლიკეებმა და პროტესტანტებმა ერთობლივი სამგლოვიარო მსვლელობა მოაწყვეს. ასევე საჯაროდ ამბობდნენ ლოცვებს. არა, თანამსახურება არ ყოფილა, მაგრამ საერთო ლოცვა კი იყო, რათა საზოგადოებისა და აშშ კონგრესის წინაშე გამოეთქვათ თავიანთი პოზიცია.

**- ეს, შეიძლება ითქვას, ეკუმენური მოძრაობის ეროვნული მასშტაბია. უფრო მაღალ დონეზე კი რას მოგვახსენებთ?**

- ჩვენი ეკლესია, როგორც მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიათა უმრავლესობა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრია. რა თქმა უნდა, ჩვენშიც არიან ამის მოწინააღმდეგენი და ეს კამათი ყველა დონეზე მიმდინარეობს: ერისკაცთა, მღვდელთა და ეპისკოპოსთა შორის. განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან საბჭოში წევრობას მართლმადიდებლობაზე ახლადმოქცეული ქრისტიანები.

**- ასეთი რადიკალიზმი ახასიათებს იმათ ფსიქოლოგიას, ვინც აღმსარებლობა შეიცვალა...**

- შეიძლება ასეც ითქვას. მაგრამ მე იმის თქმა მინდა, რომ მხოლოდ განსაკუთრებით ტრადიციულ ქვეყნებში არ კამათობენ ამ საკითხის გარშემო. ამ მხრივ, ნიშანდობლივია ცნობილი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველის, პროტოპრესვიტერ **ალექსანდრე შმემანის** თვალსაზრისი. მამა ალექსანდრე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შექმნის წინაპირობებს განიხილავდა და შენიშნავდა, რომ ეს წინაპირობები დასავლურ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე იყო აგებული. თავის დროზე, საბჭოს არსებობის პირველ ეტაპზე მართლმადიდებლებმა ვერ შეძლეს სათანადო საღვთისმეტყველო კორექტივის შეტანა, ვერ მოახდინეს აუცილებელი დაბალანსება. მაგრამ მამა ალექსანდრე არ მოუწოდებდა საბჭოდან გამოსვლას. ის სვამდა კითხვას: როგორ მოვიქცეთ? ბოლო დროს, განსაკუთრებით კი 1998 წლიდან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მოღვაწეობაში დიდი გარდატეხა შეინიშნება. 1998 წელს საბერძნეთის ქალაქ თესალონიკში მოხდა მართლმადიდებელთა შეხვედრა, სადაც ეს საკითხები საკმაო სიმძაფრით დაისვა. ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ ჯერ მტკივნეულად აღიქვა ეს ფაქტი, შემდეგ კი დაფიქრებით. მაგრამ საკითხი არა მარტო დაისვა, არამედ შესმენილ იქნა, და არა მარტო შესმენილ იქნა, არამედ საფუძვლიანი გააზრების საგნადაც იქცა.

ადრე ჩვენ მხოლოდ იმის საშუალება გვქონდა, რომ თავისუფლად გვეკრიტიკებინა საბჭოს ყოველი გადაწყვეტილება. პროტესტანტებიც მშვიდად ისმენდნენ ამ კრიტიკას. დღეს უკვე ჩვენ დამოუკიდებლად ვსვამთ საკითხებს, რადგან მართლმადიდებელთა გარეშე არავითარი ეკუმენური მოძრაობა არ არსებობს.

**- შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო კაცობრიობის წინაშე მართლმადიდებელი სარწმუნოების ქადაგების საშუალებაა?**

- მე მტკიცედ მჯერა ამისა. მით უმეტეს, რომ არაა სამართლიანი ბრალდებები, თითქოს მართლმადიდებლები მდუმარედ ისმენდნენ ყოველივეს, ან მწვალებლობაში ვარდებოდნენ.

**- მაგრამ ამისათვის სასულიერო განათლების საკმაოდ მაღალი დონეა საჭირო...**

- უეჭველია. აშშ-ში ორი მართლმადიდებლური აკადემია და რამდენიმე სემინარიაა. ქვეყნის კანონების თანახმად სასულიერო განათლების დიპლომი უქმია, თუ თან არ ახლავს საუნივერსიტეტო დიპლომიც. სასულიერო პირს აუცილებლად უნდა ჰქონდეს უმაღლესი საერო განათლება – ის ხომ ვაკუუმში არ მოღვაწეობს, არამედ საზოგადოებაში.

**- თანაც საზოგადოებაში, რომელიც აგებულია ლიბერალურ ღირებულებებზე. ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ, რომ მართლმადიდებლობა და ღია საზოგადოება შეუთავსებელია...**

- ამ საკითხის გამარტივება არ შეიძლება. ჩვენ ვგრძნობთ ლიბერალური საზოგადოების კრიტიკის საჭიროებას. მე ჩემს თავს ლიბერალური საზოგადოებისაგან არ გამოვყოფ, მაგრამ ძალიან ხშირად შემხვედრია დოგმატიკოსი ლიბერალები. ეკლესიურ ცხოვრებაში ბევრია გაუნათლებელი ადამიანი. მათ არავინ გამორიცხავს ღვთის სასუფევლიდან და მათგანაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება. მაგრამ როცა საკითხი დგას ეკლესიური ჭეშმარიტების დამოწმებაზე, აქ აუცილებელია ღრმა ცოდნა და კაცთმოყვარეობა. ლიბერალური საზოგადოება ადამიანებისაგან შედგება, ეს ადამიანებიც ატარებენ ღვთის ხატს თავიანთ თავში და მათი ღირებულებების კრიტიკა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს კეთილსინდისიერებას. ქრისტიანი საზოგადოებას უნდა აკრიტიკებდეს არა ნიშნისმოგებით, არამედ სიყვარულით.

**- რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე დღევანდელმა საქართველომ?**

- უნდა ითქვას, რომ ჩემს მრევლში ქართველებიც არიან. მე აქ შევხვდი მათ ოჯახებს, ნათესავებს და ამჯერად უკვე ჩვეულებრივ, ადამიანურ დონეზე დავრწმუნდი თქვენი ერისათვის დამახასიათებელ გულგახსნილობასა და სტუმართმოყვარეობაში. ადრე ჩემი ნაცნობობა უფრო ოფიციალური დონეებით შემოიფარგლებოდა. პირველად თქვენს ქვეყანას 1989 წლის ივლისში ვესტუმრე. მეორედ – 1997 წელს. დღეს კი ვხედავ, რომ საყოველთაო ოპტიმიზმის პერიოდი დაგიდგათ. ეს სასიხარულოა. საზოგადოებრივ დონეზე შეიმჩნევა ახალი ენერგიის მოზღვავება. ძალიან ნიშანდობლივია, რომ ეკლესიებშიც ახალგაზრდები ჭარბობენ.

ამერიკაშიც და საქართველოშიც ნებისმიერი იმედის აღსრულება დიდ დროს მოითხოვს. საჭიროა განუწყვეტელი შრომა...

**- და მოთმინებაც...**

- მართალია, მაგრამ როცა მოთმინებას უსვამენ ხაზს, ხშირად ისე გამოდის, თითქოს შრომა საჭირო არაა. ხომ გამიგეთ? დღეს მოთმინების კი არა, მოქმედების დროა.



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
კიევის ვლადიმერ ჰოროვიცის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატთა კონცერტი
ალექსანდრე პიროჟენკო (რუსეთი), მარია პუხლიანკო (უკრაინა)
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**"თავისუფალი თეატრი"**
ალექსანდრე ვერტინსკის
იუბილესადმი მიძღვნილი სპექტაკლი
"ყვითელი ანგელოზი"
დას: 19.00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
ქრისტეს ვნებანი
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
მონსტრი
დას: 15:00; 17:30 სთ.

მომხიბლავი პოლი
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ

## გამოფენა

**"ძველი გალერეა"**
დათო ხიდაშელისა და ლაშა კინწურაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
XIX-XX საუკუნეების ქართველ და უცხოელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

**"ქარვასლა"**
ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ევოლუცია"

**"ჰობი"**
ახალგაზრდული შემოქმედებითი სტუდიის გამოფენა

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ბავშვთა ნამუშევრების სააღდგომო გამოფენა

**ლექციები და ვორქშოპები**
**თბილისის გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანელი ფოტოხელოვან ახიმ რიხერსის ლექცია და ვორქშოპი თემაზე: ცხოვრების აღქმა - ფოტოგრაფია, როგორც ხელოვნების მედიუმი
დას: 11:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**სამშაბათს,** 27 აპრილს 16 საათზე წიგნის 15 საუკეთესო მოთხრობა პრეზენტაცია
წამყვანი - ლაშა ბუღაძე
**ხუთშაბათს,** 29 აპრილს, 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლი ახალი განზომილება, აკაკი ბაქრაძის 8 ტომეულის პირველი ტომის (ბიოგრაფიული რომანები: ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე) პრეზენტაცია.
*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

## ახმეტაში კულტურის კერას ითხოვენ

ახმეტა ბოლო ათი წელიწადია კულტურის სახლის გარეშეა დარჩენილი. შენობა 1993 წელს ხანძარს შეეწირა. მას შემდეგ კულტურული ღონისძიებების გამართავა ახმეტელებს სოფელ ზემო ალვანში უწევთ.

ახმეტის კულტურის განყოფილების თანამშრომლები რამდენიმე წელიწადია, სახელმწიფოსაგან კულტურის სახლის აღდგენას ითხოვენ, თუმცა მათ დღემდე არავინ გამოხმაურებია. კულტურის სახლის ბაზაზე ახმეტაში რამდენიმე ქორეოგრაფიული ანსამბლიც კი შეიქმნა. ინტერნაციონალური ანსამბლში პანკისი ჩეჩენი, ქართველი, ოსი და სხვა ეროვნების ახალგაზრდები კავკასიურ ცეკვებს ეუფლებიან. დარბაზის უქონლობის გამო რეპეტიციების გამართვა სხვადასხვა ადგილას უწევთ. ახმეტის კულტურის განყოფილებას ამჯერად, საქართველოს ახალი კულტურის მინისტრის დახმარების იმედი აქვთ.

## ფოლკლორული ფესტივალი

აჭარაში ფოლკლორული ფესტივალი - სახელწოდებით სოფელი ღონიერია, დაიწყო. ფესტივალში აჭარის ყველა მაღალმთიანი რაიონის თვითშემოქმედებითი კოლექტივები მონაწილეობენ. პირველ შესარჩევ ტურში 42-მა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა. ქორეოგრაფიული ანსამბლების გარდა, ფესტივალში ხალხური რეწვის ოსტატებიც მონაწილეობენ.

ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ხეზე კვეთის, ქარგვის, ქსოვის, რკინის დამუშავებისა და ხალხური ოსტატობის სხვა ნიმუშები. ფესტივალის მიზანია აჭარის მაღალმთიან რაიონებში ხელოვნების ტრადიციების შენარჩუნება და მათი პოპულარიზაცია.

15 მაისს ფესტივალში გამარჯვებულთა გალაკონცერტს ბათუმი უმასპინძლებს, ხოლო საუკეთესო თვითშემოქმედებითი კოლექტივები საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში მიიღებენ მონაწილეობას.

## მაისური გამარჯვებულს

საქართველოში ალექსანდრე პუშკინის დაბადების 205 წლის საიუბილეო ღონისძიებები უკვე დაიწყო. საიუბილეო პროგრამას საქართველოში რუსეთის კულტურის ცენტრი კურირებს. ცენტრის ხელმძღვანელის ნიკოლაი სვინტიცკის ინფორმაციით, საიუბილეო პროექტი საქართველოში რუსეთის საელჩოს, საქართველოს პრეზიდენტის აპარატის, საქართველოს კულტურისა და სპორტის, ასევე განათლების სამინისტროს ინიციატივით მომზადდა.

24 აპრილს პუშკინის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები გრიბოედოვის თეატრში მუსიკალური სპექტაკლის პრემიერის ჩვენებით გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო. სპექტაკლზე მიწვეულნი იყვნენ თბილისის სკოლაინტერნატის აღსაზრდელებიც.

პროგრამის ფარგლებში თბილისის სკოლებში გაიმართება კონკურსი საუკეთესო თხზულების - ჩემი პუშკინი გამოსავლენად. კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ, ასევე, საქართველოს რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებიც. მათ შორის, აჭარისა და ცხინვალის რეგიონებიდან. კონკურსში, შესაძლოა, აფხაზეთის სკოლების დევნილი მოსწავლეებიც ჩაერთონ. საიუბილეო პროგრამას 6 ივნისს თბილისში დაგეგმილი მარათონი დაასრულებს. მარათონის ფინიში თავისუფლების მოედანთან პუშკინის სკვერში მდებარე პოეტის ძეგლთან იქნება. გამარჯვებული, პუშკინის პორტრეტიანი მაისურით დაჯილდოვდება.

# ოჯახური ჰანგები კინოს სახლში

### კინოს სახლში ახალი ფრანგული ფილმების ციკლი დაიწყო

სალომე კიკალეიშვილი

*უკვე რამდენიმე წელია, რაც საფრანგეთის საელჩო, ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი და ქართველ კინემატოგრაფისტთა კავშირი, კინომოყვარულებს ფრანგული ფილმების კვირეულს სთავაზობს. ამჯერად ორგანიზატორებმა ბოლო წლებში შექმნილი ფრანგული პროდუქცია წარმოადგინეს, რომელსაც ერთი ძირითადი ხაზი - ოჯახი აერთიანებს.*

რამდენიმე წელია, რაც დიუმას ცენტრი და საფრანგეთის საელჩო საქართველოში საკმაოდ აქტიურ კულტურულ საქმიანობას ეწევა: ცენტრსა თუ სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწყობილი არაერთი კონფერენცია, ფრანგი სპეციალისტების ლექციები, ქორეოგრაფიული, მუსიკალური, ლიტერატურული საღამოები თუ ფრანგული ფილმების კვირეული.

ამჯერად საფრანგეთის საელჩომ და ქართველ კინემატოგრაფისტთა კავშირმა ფრანგული ფილმების მოყვარულთ ციკლი ოჯახური ჰანგები შესთავაზა. იმ ხუთ ფილმს, რომელიც ორგანიზატორებმა შეარჩიეს ერთი საერთო ხაზი - ოჯახი აერთიანებს. ხუთივე ფილმში წინა პლანზე იქნება ოჯახი. ოღონდ ყველგან სხვადასხვა კუთხით დანახული. ფილმები, ფრანგული ოჯახის ინსტიტუტის ცვალებადობასა და განვითარებაზე. თუ თქვენ გიყვართ ფრანგული სული, ფრანგული იუმორი, მაშინ ეს ფილმები უნდა ნახოთ. ეს არის



*„ოჯახური ჰანგები"*

ნამდვილი ფრანგული კინო - განუცხადა საღამოს დასაწყისში, დიუმას ცენტრის დირექტორმა და საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშემ ფრანსუა ლორანმა დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას, რომელიც მაინცდამაინც ხალხმრავალი არ ყოფილა.

ოჯახური ჰანგები - სწორედ ასე ჰქვია ფილმების ციკლს, რომელიც 22 აპრილს სედრიქ კლაპიშის ამავე სახელწოდების ფილმით ოჯახური ჰანგები (1996) გაიხსნა. ეს არის ძალიან ფრანგული ფილმი, თავისი ნიუანსებით, ქვეტექსტებით. ასეთი ფრანგული ფილმი დიდი ხანია არ გადაღებულა - დაამატა ბატონმა ლორანმა.

რა ხდება ყოველ პარასკევს, საკუთარ რესტორანში შეკრებილ ოჯახის წევრებთან? რა შეიძლება ჰქონდეთ საერთო ერთმანეთთან გაუცხოებულ დედა-შვილს, ცოლ-ქმარს, და-ძმას - აი ის, კითხვები რომლებზე პასუხის გაცემასაც კლაპიშის გმირები ცდილობდნენ. მაგრამ, ოჯახი ყველგან სხვადასხვაა. სხვაა კლოდ მილერის ზამთრის სკოლაში (1998), რომელიც 23 აპრილს იყო წარმოდგენილი, ნიკოლ გარსიას ვანდომის მოედანში (1998), სადაც მსუბუქი დეტექტივის, ბრილიანტებისა და ძვირფასი თვლების ფონზე ცნობილი ფრანგი მსახიობები კატრინ დენევი და ჟან პიერ ბაკრი ცდილობდნენ ჩახლართული ამოცანის ამოხსნას, სხვაა რაულ რუიზის უმანკოების კომედიაში (2000) და ეტიენ შატიეზის ტანგიში (2001), რომელიც ორშაბათს დაამთავრებს კიდევ ერთ ფრანგული ფილმების ციკლს. ოჯახი ამ ფილმებში ხან ტრაგიკულია, ხან კომიკური, ხან შემზარავი... "ქართველი მაყურებლისთვის ეს ფილმები საინტერესო იმითაც იქნება, რომ მათ დიდი წარმატება ხვდა წილად საფრანგეთში, აქ ცნობილი ფრანგი მსახიობები მონაწილეობენ: კატრინ დენევი (ვანდომის მოედანი, ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის ვენეციის ოქროს პალმის რტო), იზაბელ იუპერი (უმანკოების კომედია), საბინ აზემა (ტანგი)... - განაცხადა კინოს სახლის დირექტორმა არჩილ შუბაშვილმა.

# კიდევ ერთი კინოპრემიერის შესახებ

თეონა ჯაფარიძე

საპატრიარქოს მიერ რეკომენდირებული, ზედაპირულად რელიგიური და პომპეზური ქრისტეს ვნებანის შემდეგ თავი კინოს სახლში ამოვყავი, ერთ მოკრძალებულ პრემიერაზე, რომელმაც სახარების პირდაპირი ეკრანიზაციის საპირისპიროდ, მაყურებელში გაცილებით მეტი ჯანსაღი რელიგიური ვნება და დადებითი მუხტი გამოიწვია. ეს რეჟისორ ქეთი გუჯაბიძის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი გახლდათ მხატვრული ელემენტებით.

მანამდე ქეთი გუჯაბიძის შესახებ ვიცოდი, რომ კინორეჟისურას ის მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში დაეუფლა, ხოლო მისი ხელწერის შესახებ გარკვეული წარმოდგენა თავის დროზე ფილმით - ექვსი მხატვრის მოკრძალებული ხიბლით შემექმნა. ეს ფილმი თბილისელ მხატვართა ერთი მეტად საინტერესო ჯგუფის ერთდროულად ცალკეულ პორტრეტებსა და მათ მთლიან პორტრეტს წარმოადგენდა.

მაგრამ, დავუბრუნდეთ მის ახალ ნამუშევარს, რომელსაც ასე ჰქვია: რამდენიმე განმარტოებული კადრი, რამდენიმე ეული არსებისა და საგნის შესახებ. სათაურიდანვე ჩანს, რომ ფილმი გლობალურ პრობლემას - მარტოობის თემას ეხება. მოწყალების იმედად დარჩენილ მარტოსულ ადამიანებზე უამრავი ფილმი არსებობს, თანაც დოკუმენტური. ამ ჟანრისა და ამ თემის



*ქეთი გუჯაბიძე გადაღების დროს*

ცუდი ინტერპრეტაციებით მდიდარია ბოლო წლების ქართული ვიდეოკინემატოგრაფიც. მაგრამ, ქეთი გუჯაბიძის ნამუშევარი ნამდვილად ამოვარდნილია ამ უკანასკნელის კონტექსტიდან.

როგორ შეიძლება კინორეჟისორმა ასეთი სათუთი თემა ყალბი სენტიმენტებისაგან დაიცვას: ამისათვის ქეთი გუჯაბიძე დოკუმენტური კინოსათვის დამახასიათებელ დოკუმენტალისტიკურ სიზუსტეებს კი არ მიმართავს, არამედ დოკუმენტურ მასალას ათამაშებს, მას ერთგვარ კინოეფექტებად იყენებს და ამით მიზანსაც აღწევს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ თბილისის ქუჩებში გაცნობილი, მოწყალების მომლოდინე ადამიანების ბედი, მეტროს მგზავრთა მონოტორული რიტმების, ურბანული მახინჯი დასახლებების, მსოფლიოს ლიდერთა, მაფიოზი პოლიტიკოსებისა თუ ტერორისტების საყოველთაო ფერხულის ფონზე გლობალური პრობლემის სახეს იძენს. სწორედ ამიტომ ფილმის პროდიუსერი მაცაცო გაბუნია ფილმის შესახებ რეზიუმეში ამბობს, რომ სურათი ნებისმიერ გეოგრაფიულ წერტილში ეგზისტენციური სივრცის იდენტურობას ეხებაო.

ეგზისტენციალიზმი ხომ არსებობის ფილოსოფიაა. ფილმის მთავარი გმირები, (რეალური პიროვნებები თბილისის ქუჩებიდან) არსებობისათვის იბრძვინ, ოღონდ ამ ბრძოლაში მარტოსულები არიან. ისინი არაფრით განსხვავდებიან ჩვენგან და პირიქით ერთ-ერთ ჩვენგანნიც კი არიან, ჩვენსავით უყვართ ვეფხისტყაოსანი თუ ლადო ასათიანი, მაგრამ გასაჭირში ჩავარდნილები ჩვენს გარეშე არიან დარჩენილები. სწორედ ჩვენს გარეშე დარჩენილი ადამიანების რეაქციებისა და სიმარტოვის დემონსტრაციისათვის რეჟისორი, კინოკლასიკოსს, ანდრეი ტარკოვსკის მიმართავს: ფილმის გმირები ქეთი გუჯაბიძეს ცარიელ კინოდარბაზში შეჰყავს და დიდ ეკრანზე ტარკოვსკის ნოსტალგიას აჩვენებს. ისინი ფილმის ყურების მომენტშიც მარტონი არიან.

ფილმის ჩვენების წინ რეჟისორმა აღნიშნა: ისტორიის მუზეუმის წინ მოწყალების იმედით იჯდა ადამიანი, რომელსაც სახელად ლევანი ერქვა. მსურდა, ის ჩემს ფილმში გადამეღო, მაგრამ როცა სურათზე მუშაობა დავიწყე, ის ველარ ვიპოვე. როგორც შემდეგ შევიტყვე, ის გარდაიცვალა. ამიტომ ფილმი ძია ლევანის ხსოვნას ეძღვნება. რაოდენ პათეტიკურადაც არ უნდა ჟღერდეს, ფილმი უფლებას მაძლევს ვთქვა, გვიყვარდეს ადამიანები, იმიტომ რომ, ისინი დაუცველები არიან.

**P.S.** დარწმუნებული ვარ ქეთი გუჯაბიძის ეს ფილმი არც ნეონაცისტის აღსარებას გამოიწვევს და არც კოლოსალურ ფინანსურ წარმატებებს მოიტანს, უბრალოდ, ჩვენი რეალური ცხოვრების რამდენიმე კადრი სახარებისეული ინტერპრეტაციით, ოღონდ სახარების პერსონაჟების გარეშე, დარწმუნებული ვარ უფრო გამოსადეგია ჯანსაღი პროპაგანდისთვის, ვიდრე ჰოლივუდური ყალბი ვნებები.

# ეროვნული ოპერა და ესთეტების პროტესტი

*ბრიტანული გაზეთი „გარდიანი" აქვეყნებს გამოკვლევების შედეგებს, რომლის მიხედვითაც, ირკვევა, რომ ინგლისში კლასიკური მუსიკის კონცერტებზე დამსწრეთა 10 პროცენტია მხოლოდ 34 წელზე ქვემოთ. აუდიტორია ბერდება. ეს კი, არც თუ სასიამოვნო ინფორმაციაა, როგორც კლასიკური მუსიკის ინდუსტრიის წარმომადგენელთა, ისე ინტელექტუალებისთვის. ამიტომაც, მაღალი ხელოვნების უხუცესებმა ახალგაზრდობისთვის ბრძოლა წამოიწყეს.*

ომი ახალგაზრდა მსმენელისთვის მოსაზიდად დაიწყო მაღალი ხელოვნების ციტადელში - კოვენტ-გარდენის სამეფო ოპერაში. ნაციონალური თეატრის მსგავსად, სამეფო ოპერამ გამოაცხადა, რომ დარბაზში საუკეთესო ადგილებისთვის ბილეთებს სასაცილო ფასად გაყიდის. თუ გავითვალისწინებთ, რომ კოვენტ-გარდენში საუკეთესო ადგილებზე ბილეთების ფასი 175 ფუნტია, ფასდაკლებაც სერიოზული გამოდის. თუმცა, ახალგაზრდობის მოსაზიდად მთავარი ბრძოლა მაშინ დაიწყო, როდესაც რამდენიმე დღის წინათ სასტუმრო სავოის დარბაზში მუშაობა დაიწყო ახალმა ოპერამ, რომელიც თავიდანვე სახალხო ოპერად მონათლეს. სწორედ იქ, ყველაზე ძვირადღირებული ბილეთების ფასი 50 ფუნტი იქნება.


*სასტუმრო „სავოი" ახალ ოპერას უმასპინძლებს*

ლონდონში ახალი ოპერა უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში არ გახსნილა. აქამდე მიიჩნეოდა, რომ ცნობილი კოვენტ-გარდენი, სადაც ოპერები ორიგინალის ენაზე ჟღერს და ინგლისის ეროვნული ოპერა, სადაც ოპერებს ინგლისურად მღერიან, პუბლიკის მოთხოვნილებებს სრულიად აკმაყოფილებდა.

მაგრამ, აი რა განაცხადა "სავოის" ოპერის დამაარსებელმა რეიმონდ ჰაბიმ: ძალიან მსიამოვნებს, როდესაც ადამიანები, რომლებიც მანამდე ცხოვრებაში ოპერაში არ ყოფილან, ამბობენ, რომ "სავოის" ოპერა მათი ოპერაა. მათთვის გასაგებია წარმოდგენის ენა, სიუჟეტი. იმედი მაქვს, რომ მათთვის ასეთივე იქნება ჩვენი იმიჯი - გასაგები ოპერა.

და მართლაც, პირველ წარმოდგენაზე შენიშნეს კიდეც ტყავის ქურთუკიანი მაყურებელი, იყვნენ ჯინსებში გამოწყობილნიც. თეატრის კლასიკური რეპერტუარი ასეთი იქნება: ფიგაროს ქორწინება, სევილიელი დალაქი, ტრავიატა, კარმენი, და ეს ყველაფერი სიურპრიზების გარეშე. ესაა ნამდვილი მეინსტრიმი. ოცი საუკეთესო ოპერის ჰიტ-პარადი, რომელთაც სიამოვნებით მოუსმენ მანქანაში სახლიდან სამსახურისკენ გზაში. "სავოის" ოპერა კომერციული უზრუნველყოფაა. ესაა საშუალო კლასისთვის, და საშუალო კლასის დაბალი ეშელონებისთვისაც კი, - ამბობს ერთ-ერთი ცნობილი ინგლისელი მიმომხილველი.

ბრიტანული გაზეთების გვერდებზე კვლავ აქტუალური ხდება კითხვები: უნდა იყოს თუ არა ხელოვნება ელიტარული? პასუხი სხვადასხვაგვარია და ორივე ვერსიას აქვს არგუმენტირებული პასუხები. პირველი კლასის ოპერები - ესაა ახალი დადგმები, მსოფლიო დონის შემსრულებლებით, თამამი დეკორაციებითა და კოსტიუმებით. მაგრამ, ამ ყველაფერს გიგანტური თანხები სჭირდება. ბრიტანეთის საოპერო სცენის ვარსკვლავი ქალბატონები სახელმწიფო დოტაციებს იღებენ 40 მილიონი ფუნტის ოდენობით წელიწადში. ეს 40 მილიონი კი, მათი გადასახადებიდანაც იკრიბება, ვინც საერთოდ არ დადის ოპერაში. ასეთ პირობებში, აშკარად მეტი გასაქანი მიეცემა სავოის ეროვნულ ოპერას, რისი ნიშნებიც უკვე სახეზეა.

# ამერიკული კინოს სიცილიელი ემიგრანტი

## 25 აპრილს ალ პაჩინო 64 წლის გახდა

სალომე კიკალეიშვილი

*როცა 50-ს გადააბიჯებ, გეჩვენება, რომ საშინელი სისწრაფით მიჰქრიხარ უზარმაზარ გვირაბში, ხელში კი ბილეთი გიჭირავს, ოღონდ ერთი მიმართულებით... სადღაც შორს გორას დაინახავ და იცი, რომ სწორედ ეს იქნება შენი უკანასკნელი გაჩერება.*

***ალ პაჩინო***



წარმოშობით სიცილიელი ალფრედ პაჩინო, 1940 წლის 25 აპრილს ნიუ იორკში, ბრონქსში, ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. მამა თითქმის არ ახსოვს, რადგან მშობლები მალევე დაშორდნენ ერთმანეთს, და ბავშვობა ბებია-ბაბუასთან გაატარა - ჩვენი რაიონი ძალიან საშიშ უბნად ითვლებოდა, ცუდ წრეში მოხვედრის შიშით, მთელი ბავშვობა სახლში ჩაკეტილმა გავატარე. პატარა ბინაში ცხრანი ვიყავით, მათ შორის ჩემი ორი ყრუ დეიდა. ერთადერთი გართობა, მათთვის ფილმების მოყოლა იყო, მუნჯურად, ხელებით, ნუ ხომ გესმით... აქედან დაიწყო ყველაფერი - იხსენებდა პაჩინო.

მეტსახელად არტისტი ხშირად კითხულობდა ნიუ იორკის ქუჩებში ლექსებს, რის შემდეგ ქუდით ჩამოუვლიდა შეკრებილ მსმენელს... მუშაობდა საპირფარეშოს დამლაგებლად, კაპელდინერად კინოში - საიდანაც მხოლოდ იმიტომ გამოაგდეს, რომ - სულ სარკეში ვიყურებოდიო.

კინოში, ისევე როგორც ჰოლივუდის ბევრი მსახიობი, ქუჩიდან არ მოსულა. თავის პირველ სამსახიობო ნაბიჯებს თეატრის სცენაზე აკეთებდა - მსახიობს თავისი შესაძლებლობების გამოვლენა მხოლოდ სცენაზე შეუძლია. სწორედ აქ დავიწყე საკუთარი თავის შეცნობა. სცენაზე თამაში ეს ხომ მიწიდან ასი ფუტით დაშორებულ თოკზე სიარულს ჰგავს. ალბათ, თქვენთვის მნიშვნელოვანი იქნება (განაცხადა მან, ერთ-ერთი რუსული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში), რომ მე და ბევრი ჩემი მეგობარი, მათ შორის დე ნიროც, ლი სტრასბერგის სამსახიობო სტუდიაში ვსწავლობდით. ლი კი უდიდეს პატივს სცემდა თქვენ დიდ რეჟისორს სტანისლავსკის, და მისი მეთოდებით გვზრდიდა - ამბობდა მსახიობი. იგი არაერთხელ გაიხსენებს და მიუბრუნდება სცენას, რომელსაც ყოველთვის, სამსახიობო კარიერისთვის უმნიშვნელოვანესად თვლიდა.

კინოში 1969 წელს გამოჩნდა ფილმში „მე, ნატალი“, ხოლო მისმა მეორე გამოჩენამ, გაცილებით ხმამაღლა გაიჟღერა ფილმში „პანიკა, ნემსის პარკში“ (1971). ფილმი, ახალგაზრდა ნარკომანების, ჰეროინის შესახებ. სახე, რომელიც აქ შექმნა არაერთხელ გათამაშდება მის შემოქმედებაში. ჯიბეგამოფხეკილი ქუჩის წამლის მოვაჭრიდან, მდიდარ, სისხლიან ნარკობარონამდე... ეს ფილმი, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პაჩინოსთვის იმით, რომ სწორედ ამ სურათით გაიცნო უცნობი ახალგაზრდა მსახიობი ფრენსის ფორდ კოპოლამ, რომელიც ნათლიას გადაღებებს იწყებდა. ნათლიას თავისი ისტორია აქვს, თავისი ადგილი კინოს ისტორიაში, რომელმაც შემქმნელებსა თუ მსახიობებს დიდი წარმატება და აღიარება მოუტანა. მარლონ ბრანდომ, რომელიც კინოსთვის ცნობილი და სკანდალური სახე იყო, ყველაფერი გააკეთა, რათა მთავარი როლი - ვიტორიო კორლეონე მას შეესრულებინა, რაშიც ოსკარი დაიმსახურა. ახალგაზრდა მაიკლის როლზე კი... ვინ აღარ გაისინჯა... - რობერტ რედფორდი, უორენ ბითი, ჯეკ ნიკოლსონი, რობერტ დე ნირო... თითოეული მათგანი ცდილობდა მაიკლ კორლეონეს ადგილის დაკავებას, კოპოლა კი... ვიღაც უცნობ, ახალბედა სიცილიელს - ალ პაჩინოს ამტკიცებს როლზე - ყველა წინააღმდეგი იყო, არავის ვუნდოდი. მთელი გადაღება ძალიან დაძაბული ვიყავი. სულ მეგონა ერთი არასწორი ნაბიჯი და... ნებისმიერ დროს შეეძლოთ ჩემი დათხოვნა - იხსენებდა მსახიობი, რომელსაც ამ როლმა ოსკარზე ნომინირება და აღიარება მოუტანა. ფილმი, რომლის შემდეგ ყველას ეცოდინება უცნობი, სიცილიელი ემიგრანტი. იმაზე არავინ დავობს, რომ დიდი ნიჭით შესრულებული მაიკლ კორლეონეს სახით, პაჩინომ დაუვიწყარი კინოგმირი შექმნა კინოს ისტორიაში. მაგრამ, საჭირო აღიარება პრესტიჟულ ფესტივალებზე, მის გმირს არც ერთ ნაწილში არ ღირსებია, მხოლოდ ტრილოგიის პირველ ნაწილში მიიღო კრიტიკოსთა პრიზი „ფიპრესი“ და ფილმის მეორე ნაწილში ბოსტონის კინოაკადემიის პრიზი. შვიდჯერ იყო ნომინირებული ოსკარზე, თერთმეტჯერ ოქროს გლობუსზე... -მადლობა ღმერთს, ეს ხომ ნამდვილი უსამართლობა იყო - იტქვა 1993 წელს, როცა მერვედ წარდგენილი, საუკეთესო შემსრულებელი მამაკაცი, როგორც იქნა, ალ პაჩინო გახდა - მე მგონი, რეკორდი დავამყარე ნომინირებაში. ზოგჯერ მგონია, რომ ყველაფერი სპეციალურად კეთდებოდა, რათა პრემია სხვას აეღო. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა... უბრალოდ, ღალატს - იტყვის გულნატკენი პაჩინო. ბევრს ოსკარი იმისთვის სჭირდება, რათა აღიარონ, იცნონ, დააკავონ... პაჩინოს კი ეს ისედაც ჰქონდა; ის ხომ ყოველთვის მწვერვალზე იდგა, მას ხომ სიცოცხლეშივე ამერიკული კინოს ლეგენდა, 70-იანელთა სახე უწოდეს. უბრალოდ, ეს ყველაფერი ძალიან უსამართლო იყო.



ალ პაჩინო და ენდი გარსია „ნათლიაში“



„ნაიარევი სახე“

ნათლიას შემდეგ, 70-80 წლებში წარმატებული როლები ჰქონდა: სერპიკო (1974 წლის ოქროს გლობუსი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის), ცხელი შუადღე (1975 წლის სან-სებასტიანის და ბოსტონის ფესტივალის პრიზები,), ნათლია 2 (1974 წ. ბოსტონის ფესტივალის პრიზი), სამართალი ყველასთვის (1980), ნაიარევი სახე (1983), ავტორი! ავტორი! (1986)... ისევ და ისევ ნომინაციები... პაჩინოს შეეძლო გაემდიდრებინა თავისი შემოქმედება, არანაკლებ წარმატებული როლებით, მაგრამ ის ძალიან ფრთხილი იყო - მე ზედმეტად მიყვარს სამსახიობო ხელოვნება, რათა ყველა ფილმში ვითამაშო - ამბობდა მსახიობი. თუმცა ეს სიფრთხილე, ალბათ, არ სჭირდებოდა ისეთ ფილმებს, როგორიც იყო: „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“ (როლმა, რომელმაც დასტინ ჰოფმანს ოსკარი მოუტანა), „ოთხ ივლისს დაბადებული“ (ფილმმა, რომელმაც პოპულარობა მოუტანა ტომ კრუზს), აპოკალიფსი დღეს (მე ყველაფერზე თანახმა ვარ, მაგრამ არა შენთან ომზეო - უპასუხა კოპოლას), „ვარსკვლავთა ომები“, „ლამაზმანი“ (როლი, რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა რიჩარდ გირს)... ზედმეტმა სიფრთხილემ კი, მაინც არ უშველა და 1986 წელს ნომინირებული იყო ოქროს ჟოლოზე (უარესი უარესთა შორის) ფილმისთვის „რევოლუცია“. ნაიარევი სახე - ეს კორლეონეს ცუდი გადამღერებაა, ხოლო რევოლუციაში მისი გმირი კარიკატურულ ნახატს უფრო ჰგავს, ვიდრე კინოგმირსო - წერდა პრესა. ჯანმრთელობის გაუარესება, რომელიც ფილმის ცუდ გადასაღებ პირობებს მოჰყვა, უარყოფითი რეცენზიები - ეს ყველაფერი აიძულებს ცოტა ხნით წავიდეს კინოდან და დრო მარტოობასა და სასმელში გაატაროს. მის წასვლაზე ბევრს ჭორაობდნენ, ამბობდნენ წარმატებამ თავბრუ დაახვია და პაჩინომ სმა და ნარკოტიკების გამოყენება დაიწყოო (რაც არაერთხელ მომხდარა ჰოლივუდში). ზოგი კი მის წარუმეტებელ როლს აბრალებდა მსახიობის ოთხწლიან გაუჩინარებას. თუმცა, სასმელი, ეს პაჩინოსთვის დიდი ხნის ისტორია იყო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა 1974-ში ოსკარზე მეორედ იყო ნომინირებული ფილმისათვის სერპიკო, იმდენად ნასვამი მივიდა დაჯილდოებაზე, რომ გამარჯვების შემთხვევაში ოთხით ასვლა, ან უკეთეს შემთხვევაში ვინმეს დახმარება დასჭირდებოდა. მაგრამ მაშინ ამის აუცილებლობა არ შეიქმნა. ჰოლივუდი ისეა მოწყობილი რომ, როგორც კი ცნობილი ხდები, მაშინვე უამრავ მაცდურ წინადადებას შემოგთავაზებენ, და ერთმა არასწორმა ნაბიჯმა შეიძლება ბოლო მოუღოს შენს კარიერას. ყოველთვის მოიძებნება ადამიანი, რომელიც ზურგში ჩაგცემს დანას. რატომ ფიქრობთ, რომ სმა აუცილებლად ცუდია? ის გამოსავალი იყო ჩემთვის, რომელიც რაღაცის დაძლევაში დამეხმარა. დიდება - ეს ხომ პირველი უბედურებაა, ადამიანური ინსტინქტის - თვითდამკვიდრების ყველაზე გახრწნილი გზა - პასუხობდა ინტერესით შემყურე ჟურნალისტებს. ოთხწლიან ჩრდილში ყოფნას კი 1990 წელს ფილმი „სიყვარულის ზღვა“ მოჰყვა. ფილმი, სადაც პაჩინო ასაკში შესულ პოლიციელს ანსახიერებს, რომელიც სევდასა და ალკოჰოლში აქარწყლებდა მარტოობას, მკვლელობაში ეჭვმიტანილ ქალთან აბამს რომანს. ეს შეიძლება სავალალოც აღმოჩნდეს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. მას ისე მოსწყურდა სიყვარული, ვნება... - ამ როლს, ალბათ, ვერასდროს განვასახიერებდი ასე. სხვა დროს, მე მას, უბრალოდ, ვერ გავიგებდი - ამბობდა ფილმზე, სადაც ყველაზე კარგად შეერწყა ერთმანეთს მსახიობის რეალური და ეკრანული ცხოვრება. სწორედ ეს წყურვილი აიძულებს ამავე წელიწადს კიდევ ორ მნიშვნელოვან ფილმში მიიღოს მონაწილეობა: დიქ ტრეისი და ნათლია 3. ამას მოჰყვება ქალის სურნელი (ოსკარი 1992 წელს), კარლიტოს გზა (1993), ეშმაკის ადვოკატი (1997)...

წარმატებულ კარიერას, არც ისე წარმატებული პირადი ცხოვრება ახლდა. პაჩინო არასდროს ჰგავდა სკანდალების და საყვარლების გრძელი სიის მქონე სხვა ვარსკვლავებს და საერთოდაც, ის არასდროს ჰგავნებია არც ერთ მათგანს. არასდროს ჰყოლია ცოლი - ჯერ კიდევ გვიანი არ არისო - ამბობდა ყოველთვის. ჰყავს სამი შვილი, რომლებიც სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობენ. არც მსახიობ დაიან კიტონთან (ნათლიაში მისი პარტნიორი) ხანგრძლივმა ურთიერთობამ აიძულა თითზე საქორწინო ბეჭდის ჩამოცმა - რას ამბობთ, ახლა მაგისთვის აღარ მცალია. მთელი ჩემი დრო კინოს, თეატრს და ბავშვებს მიაქვს. მე ხომ სამი მშვენიერი შვილი მყავს. ზოგჯერ სამსახიობო ხელოვნების კურსი მიმყავს, რადგან ძალიან მიყვარს ახალბედა მსახიობებთან მუშაობა. სულ ერთსა და იგივეს ვუმეორებ - შევძელი მე, ესე იგი, შეძლებთ თქვენც - ამბობს პაჩინო.

იგრძნო აბსოლუტური თავისუფლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ დამოუკიდებლად იმუშავებ - ამბობს მსახიობი და საკუთარი სახსრებით რამოდენიმე დამოუკიდებელ ფილმს ქმნის: ჩინური ყავა, რიჩარდის ძიებაში... ბოლო პერიოდში, პაჩინოს მიერ შექმნილი გმირები აღარ გამოირჩევიან მსახიობისათვის აქამდე დამახასიათებელი ინდივიდუალიზმით (მაგრამ ეს ნაკლებად ეხება 2002 წელს შექმნილ უძილობას). თუმცა, ამავე წელს გადაღებულმა ფილმმა სიმონამ საერთოდ ვერ გაიჟღერა. 2004 წელს კი ისევ დაასახელეს ოქროს ჟოლოს ნომინანტად ფილმით „გიგლი“ მაგრამ ამჯერად ამას აღარ შეუშინებია მსახიობი, რომელიც ახალ პროექტებში იღებს მონაწილეობას. „ვენეციელი ვაჭარი“, სადაც პაჩინო შაილოკს განასახიერებს 2005 წლისთვის გამოვა ეკრანებზე, ხოლო „ლონგვუდის მონსტრში“ პაჩინოსეულ ნაპოლეონ ბონაპარტს, მხოლოდ 2006 წლისთვის იხილავს მსოფლიო.

როგორ ისურვებდით, რომ დაამახსოვრდეთ ხალხს? - ჰკითხეს ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუზე - თქვენ რა, ნეკროლოგს გულისხმობთ? - ღიმილით პასუხობს ხანშიშესული პაჩინო - მინდა, დავამახსოვრდე ადამიანად, რომელსაც იმის კეთების შანსი ჰქონდა ცხოვრებაში, რაც უნდოდა, ადამიანად, რომელიც არ აპირებდა, მაგრამ მიაღწია...

---

*ნინია კაკაბაძის სვეტი*

## 19-დან 26-მდე



საქართველოში, წლის ამ პერიოდში განსაკუთრებით მრავალფეროვანი ხდება ქართული კულტურული სივრცე. მაგალითად, უკანასკნელი კვირა - ახალი ლიტერატურული თუ წიგნის კაფე ჭავჭავაძის პროსპექტზე, კერძოდ „პარნასი“ სადაც, მკითხველს, თუ ერთი ჭიქა ჩაის მსურველს მყუდრო ატმოსფეროში შეუძლია მოისვენოს. იქვე ჭავჭავაძის პროსპექტზე იოჯი იამამოტოს კოლექცია, საზეიმო გახსნა, გაპრანჭული ქართველი ქალები და სავარაუდოდ, პოტენციური მყიდველები, რომელთა რიცხვი არც თუ ისე შთამბეჭდავია და ვერც იამამოტოს გაახარებდა. ქართველი დიზაინერის, თათა ვარდანაშვილის 33 წლის იუბილე - თარიღი მრგვალი არ არის, მაგრამ ასაკის მნიშვნელოვნებას, ალბათ, შეხსენება არ სჭირდება, ვფიქრობთ, ახალი კოლექციაც ასაკის შესაფერისად მნიშვნელოვანი იყო. ქართველი ავტორების ახალი წიგნების პრეზენტაცია - ბასა ჯანიკაშვილის ოცნებით კაიროში და ბესო ხვედელიძის კინოპოემა ძაღლური ცხოვრება, საჯარო ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, წიგნების ღია ცის ქვეშ წარდგენა. ამ სიახლეების შესახებ დაინტერესებული მაყურებელი, მკითხველი თუ მსმენელი ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია და გარდა ახალი წიგნებისა, არც ერთი მათგანი განსჯა-განხილვის რეალურ საბაბს არ იძლევა.

### ახალი ჰიმნი.

შენიშვნები ახალ ჰიმნთან დაკავშირებით. ტექსტი - განათებული მთა-ბარი, წილნაყარია ღმერთთანა. ყველა ქართველმა უკვე გაიგო იმის შესახებ, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. გავიგეთ, შევიგნეთ და გვიხარია, თუკი ეს მართლა ასეა. ოდნავ რთული წარმოსადგენია, როდის და რა პრინციპით გადაინაწილეს ზეცაში ქვეყნები, მაგრამ მაინც სასიხარულოა. აი, რაც შეეხება მთა-ბართან წილნაყარობას, ეს ახალი ჰიმნის მეშვეობით გახდა ცნობილი, თუმცა ესეც ოდნავ ბუნდოვანია. წილნაყარი საფეხბურთო გუნდები ვიცოდი, რომელნიც კენჭისყრის შედეგად სხვადასხვა ჯგუფებში ნაწილდებოდნენ. კიდევ ერთი საინტერესო ფრაგმენტი ტექსტიდან - თავისუფლება დღეს ჩვენ მომავალს უმღერს დიდებას. თავისთავად ყოველი სიტყვა გასაგებია, მაგრამ სიტყვათა წყობა, რომელიც წინადადებას ქმნის, ოდნავ გაუგებარი. ფინალი - დიდება თავისუფლებას, თავისუფლებას დიდება. მესმის ქართველი ადამიანის სწრაფვა თავისუფლებისაკენ და ვინაიდან ჩვენი ქვეყანა დღეს მხოლოდ ფორმალური თავისუფლების პირობებში არსებობს, სწრაფვა დიადი თავისუფლებისაკენ გასაგები, მაგრამ, ამავდროულად, პათეტიკური და ყალბია, რომელსაც შესაძლებელია ჰიმნის ტექსტი შინაარსობრივად, თავისთავად ითხოვს.

საკუთარი ქვეყნის ჰიმნის ავტორობა ყველა კარგი თუ ცუდი პოეტის ოცნებაა, შესაძლებელია, ეს ყველაზე დიდი პატივიც არის პოეტისათვის, და ეს პატივი ნამდვილად დაიმსახურა დათო მაღრაძემ ნოემბრის დღეებში. უბრალოდ, მიჩნდება ეჭვი, რომ ჰიმნის ავტორის ვინაობა თავიდანვე იყო გადაწყვეტილი. ასევე საინტერესოა ჟიურის წარმომადგენლობა. პირველ რიგში, არსებობს კანონი, რომლის დაწერაც კი არავის ჩაუთვლია აუცილებლობად - ჟიურის რიცხვი აუცილებლად უნდა იყოს კენტი და არა ლუწი, როგორიც კულტურის სამინისტრომ ჰიმნის არჩევისას შექმნა. და ისიც საგულისხმოა, მგონი, რატომ არ შეიძლება უფრო მრავალფეროვანი ყოფილიყო ჟიური?! განსხვავებული მსოფლმხედველობის და ასაკის სპეციალისტები, მაგალითად. საინტერესოა, როდის მოიშლის ქართველი ადამიანი ამგვარ მანკიერ ზნე-ჩვეულებებს, როდის ვისწავლით კონკრეტული შემოქმედებითი ნაწარმოებების სუბიექტურ შეფასებას და კონკრეტული სუბიექტების ობიექტურ შეფასებას. ვიდრე ამ საკითხზე საუბარს დავასრულებდეთ, მინდა, მოგახსენოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩემი პრეტენზიები, როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთი მოქალაქის, რომელმაც შესაძლებელია ისე დალიოს ცხოვრება, რომ ერთხელაც არ მოუხდეს ჰიმნის წაღიღინებაც კი, ყველაზე ნაკლებად თავად ავტორისაკენ არის მიმართული და პირველ ყოვლისა, ყველა იმ ადამიანისაკენ, ვინც ეს **ჩემთვის** საეჭვო კონკურსი მოაწყო.

### ახალი ფილმი

23 აპრილს რუსთაველის კინოთეატრში ახალი ამერიკული ფილმის პრემიერა გაიმართა. მელ გიბსონის მხატვრული ფილმი „ქრისტეს ვნებანი“, რომლის შესახებ ყველა ზედმეტადაც კი იყო ინფორმირებული. ბრაზილიელი პასტორის და ერთი ქალბატონის სიკვდილი კინოდარბაზში, ასევე საყოველთაო-მასობრივი აღსარებები, თვითგვემა და ა.შ. ბუნებრივია, ისიც ყველამ იცოდა, რომ ფილმი საკმაოდ მძიმე სანახაობას წარმოადგენს. ფილმის პრემიერის წინ მართლმადიდებლური, ევანგელისტურ-ბაპტისტური და კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც განაცხადეს, რომ ფილმი საქართველოში ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაივლიდა და ქართული ეკლესიის წარმომადგენლები ვერაფერს ხედავენ მიუღებელს ამ უკანასკნელში.

ახლა რაც შეეხება თავად ფილმს, რომელიც არამეულ ენაზე მიდის. შესაძლებელია ეს რეჟისორული ხერხი ავტორმა ფილმის და ამბის დამაჯერებლობისათვის გამოიყენა, და, ალბათ, მაყურებელთა გარკვეული ნაწილისათვის რეალობის ეფექტიც შექმნა, მაგრამ არა პირადად ჩემთვის. უკვე გამქრალი, არარსებული ენა უფრო გაუცხოების შეგრძნებებს აღძრავს, ვიდრე ორგანულს. ამგვარი დაკონკრეტება სრულიად ზედმეტი იყო კინონაწარმოებში.

შიანაარსობრივად არც იმის შეხსენებაა საჭირო, რომ ფილმი იესო ქრისტეს უკანასკნელ საათებს აღწერს - იუდას გაცემიდან აღდგომამდე. ამასთანავე, ფილმში თავად რეჟისორის მიერ გამოგონილი სახეები თუ კინოილუზიები მრავლადაა, გამოყენებულია ამბები აპოკრიფული სახარებიდან და სხვა. მაგრამ, ყოველივე ეს მეორეხარისხოვანია ვინაიდან ფილმი ცალსახად არ ატარებს საგანმანათლებლო ხასიათს. აქ აქცენტი გაკეთებულია ქრისტეს წამებაზე თანამედროვე კინოტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენებით, და პარალელურად არავითარი დამაჯერებლობა. წამების სცენები, რომელიც მთელ ფილმს მოიცავს საოცრად ყალბი და ტიპური ამერიკული სანახაობაა, სადაც მაყურებლის ემოციათა მანიპულირება უკვე მრავალჯერ აპრობირებული სპეკულაციური კინოხერხებით ხდება. აქედან გამომდინარე, სრულიად არ არის გაუგებარი, რატომ გამოიწვია ფილმმა ამგვარი აჟიოტაჟი. აქ ერთმანეთს თანამედროვეობისთვის ორი აქტუალური და ყოვლისმომცველი სივრცე დაეტაკა - ბიბლიური თემატიკა და ჰოლივუდი, რომლის სინთეზი საბოლოო ჯამში აუცილებლად გამოიწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. ამ ტიპური ამერიკული და ამ შემთხვევაში უფრო ზუსტად ჰოლივუდური ფილმის მთავარი მიზანიც, ვფიქრობ, ეს იყო - სკანდალი ისევე ყალბად გამოიყურება, როგორც თავად ფილმი. ანტისემიტური კი ვერაფერი შევნიშნე. ფილმში არა მხოლოდ ებრაელი ხალხი, არამედ მთელი კაცობრიობაა გაკიცხული. ვფიქრობ, შეგნებულ ადამიანს მელ გიბსონის მითითება არ სჭირდება იმის შესახებ, რომ ყოველ ჩვენთაგანში არის როგორც კეთილი, ასევე ბოროტი საწყისი და მას ისეთი ბოროტების ჩადენაც შეუძლია, როგორც ქრისტეს წამებაა. შესაძლებელია ამის შეხსენება დღეს ნებისმიერ ჩვენთაგანს, ნებისმიერ მწიგნობარსა და ფარისეველს სჭირდება, მაგრამ გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ფილმი უფრო მაღალმხატვრული იქნებოდა და უფრო შთამბეჭდავ და დამაჯერებელ სურათს შექმნიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ფილმი კინემატოგრაფიული თვალსაზრისით ძალიან სუსტია და მიახლოებით ისევე, როგორც თათა ვარდანაშვილის ახალი ფეხსაცმელების კოლექცია განხილვა-გაანალიზების საბაბს ნაკელბად იძლევა.

რაგბი

# „ჯიქი„ მსოფლიო ელიტაშია

ბურგუნდიაში მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატს შესეულმა ქართველმა ჯიქებმა ჩემპიონატის მასპინძლები თუ ორგანიზატორები სასიამოვნოდ გააოცეს. უკვე წარმატება იყო ის, რომ ქართველმა ყმაწვილებმა გათამაშებაში მონაწილე 36 გუნდიდან საუკეთესო 12-მდე, ანუ იქამდე გაიკვლიეს გზა, რომელიც 13-14 წლის თანატოლებთან გასაჯიბრებლად ჩასულ ჯიქს მედლებისთვის ბრძოლის უფლებას აძლევდა. აქედან გამომდინარე, გაჩნდა იმედი, რომ სახელიან მეტოქეებთან გაჯიბრების მიუხედავად, ჯიქი პრიზიორთა შორისაც მოხვდებოდა. თუმცა, ეს უფრო ჩვენი სურვილი იყო, ვიდრე რეალობა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა. მომავალში კი, შესაძლოა, მართლაც, გაგვიჩნდეს პირველობის ამბიცია. დღეს კი იმას დავჯერდეთ, რომ ჯიქს მეხუთე-მეექვსე ადგილებისთვის ბრძოლის პატივი ხვდა წილად. საქმე ისაა, რომ ორ ექვსგუნდიან ქვეჯგუფად დაყოფილ მეორე ჯგუფის მესამე ადგილზე გასულ პრეტორიელებთან მატჩში ქართველმა ყმაწვილებმა 0:7 წააგეს და, შესაბამისად, მეექვსე ადგილით დაასრულეს მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ხრიოკ მინდორზე ნავარჯიშები ბიჭების მეექვსე ადგილი მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატზე დიდი წარმატებაა. ჯიქი დღეს დაბრუნდება შინ.

მოკლედ

# პორტუგალია ოსკარისთვის ემზადება

10 მაისს პორტუგალიის ქალაქ ესტორილში ჩატარდება ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული დაჯილდოება, რომლისთვისაც მზადება კარგა ხნის წინ დაიწყო. მას პირობითად სპორტულ ოსკარსაც უწოდებენ და, ამდენად, ერთობ პრესტიჟულია. ამიტომაცაა, რომ მონაწილეები მოუთმენლად ელიან ამ მოვლენას. მათზე არანაკლებ ნერვიულობს ახალზელანდიელი მოდელი და ცნობილი მომღერლის როდ სტიუარტის ყოფილი მეუღლე რეიჩელ ჰანტერი, რომელსაც მეტად საპატიო მისია დაეკისრა: იგი ყოფილ ჩოგბურთელთან, ჯონ მაკინროისთან ერთად გაუძღვება დაჯილდოების საღამოს. აქამდე ჰანტერი ხშირად პოზიორობდა ჟურნალ ფლეიბოისთვის, რაშიც სტაბილურად უხდიდნენ 3 მილიონ ევროს. ახლა კი ქერა ლამაზმანმა გადაწყვიტა, იმიჯი შეიცვალოს და დაჭკვიანდეს.

რაც შეეხება ნომინანტებს, მათ შორის გამოჩნდა რენოს ესპანელი პილოტი ფერნანდო ალონსო. ესპანელი მრბოლი წარდგენილია ნომინაციაზე წლის აღმოჩენა, სადაც მას მეტოქეობას გაუწევს ამერიკელი მიშელ ვიე, გოლფის დიდოსტატი პირველი ქალი, რომელმაც ვაჟთა ტურნირებზე საარაკო შედეგებს მიაღწია.

სანატრელი ჯილდოს მოლოდინში არიან აგრეთვე: ბენ კურტისი (გოლფი), რომელსაც მოგებული აქვს ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი; NBA-ს მოთამაშე ლებრონ ჯეიმსი, ბრაზილიელი ფეხბურთელი რობინიო და რუსი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა.

# 23-ნომრიანი პორნოვარსკვლავი

ბოლო დროს ბექჰემების ოჯახში მდგომარეობა დაიძაბა. ერთ სკანდალს მეორე მოჰყვა, მეორეს - მესამე... ჯერ იყო და წყვილის პირადმა ასისტენტმა რებეკა ლოუსმა დევიდთან თბილი ურთიერთობები დაიბრალა, რამაც ოჯახი თითქმის დანგრევამდე მიიყვანა. საბედნიეროდ, ვიქტორიამ ნებისყოფა გამოიჩინა და ქმარი შეინარჩუნა. როცა, თითქოს, ყველაფერი მოგვარდა და ცოლ-ქმარი ცხოვრების ჩვეულ სტილს დაუბრუნდა, სწორედ მაშინ გამოჩნდა რებეკა თავისი მორიგი სიურპრიზით. საქმე ისაა, რომ ამ უტიფარმა ქალბატონმა xplicitxxx არხისგან მიიღო შეთავაზება, ეკრანზე გადაეტანა ყველა ის ვნებიანი ღამე, რომელიც მადრიდის ფეხბურთელთან გაუტარებია, ანუ გადაეღო პორნოფილმი დევიდ ბექჰემის შესახებ. ამის სანაცვლოდ ის 380 000 ევროს მიიღებს. ბუნებრივია, დევიდის როლს რომელიმე პორნოვარსკვლავი მამაკაცი შეასრულებს და არა თავად რეალის 23 ნომერი.

# ავღანეთში ამერიკელი ფეხბურთელი დაიღუპა

ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპორტსმენი პეტ ტილმენი ავღანეთში სამხედრო შეტაკების დროს დაიღუპა. ამის შესახებ პენტაგონის ერთ-ერთი საინფორმაციო წყარო იუწყება, თუმცა, აშშ-ს სამხედრო ხელმძღვანელობის მხრიდან ოფიციალური განცხადება ჯერ არ ყოფილა.

ტილმენმა იმით გაითქვა სახელი, რომ უარი თქვა წარმატებულ კარიერაზე ამერიკულ ფეხბურთში და სამხედრო კარიერა არჩია. 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტების შემდეგ მან არიზონა კარდინალ-თან 3,6 მლნ დოლარად შეფასებული კონტრაქტი გაწყვიტა და სამშობლოს ღირსების დასაცავად ჯარში წავიდა.

2002 წლის მაისიდან იგი ამერიკული ჯარის ელიტურ ქვედანაყოფ რეინჯერებში მსახურობდა.

ერაყის შემდეგ, ბოლო დროს, იგი ავღანეთში იყო.

სამხედრო წყაროებზე დაყრდნობით, 27 წლის ყოფილი სპორტსმენი ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, პაკისტანის საზღვარზე, თალიბებისა და ალ-ქაიდას ქსელის ტერორისტების წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობისას დაიღუპა.

TV-სპორტი

## ორშაბათი. 26 აპრილი

**НТВ+ ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 გერმანიის ჩემპიონატი. ბავარია - მიუნხენი 1860
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი - ჩელსი
16:55 თავისუფალი დარტყმა
17:10 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი - ლაციო
18:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკი - ვალენსია
20:40 საფეხბურთო უიკენდი
21:25 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:25 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:20 იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე - მილანი
02:05 02:05-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. პლეი-ოფი. პირველი წრე. "MILWAUKEE BUCKS" - "DETROIT PISTONS". მე-4 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია
06:30 NBA TV. დღიური

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

11:00, 14:00, 16:30, 19:30 პრესცენტრი
11:20, 19:45 ოლიმპის შვილები
11:25, 14:15 ფორმულის ჰარმონია
11:45 ჩოგბურთი. Masters Series მონტე კარლოში. ფინალი
14:35 ჭადრაკი. საჭადრაკო მიმოხილვა
15:05 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში. ვაჟები. 85კგ
16:45 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. პირველი წრე. რუსეთი - ავსტრალია. გადამწყვეტი მატჩი. შესვენებისას (18:00) - NHL - პლუს
19:00 რკინის ფაქტორი. ტელეჟურნალი
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 დიდი რინგი. პროგრამა პროფესიულ კრივზე
22:00 ორშაბათამდე მივატანთ
22:30 NHL - პლუს
22:45 ბადმინტონი. ევროპის ჩემპიონატი შვეიცარიაში. პირადი ნახევარფინალები. შესვენებისას (01:15) - ახალი ამბები

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალ ზელანდიაში
11:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალ ზელანდიაში
12:45 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში
14:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
17:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში
18:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
21:00 ფეხბურთი. ევროგოლი
22:00 მულტისპორტი
22:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
23:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის საათი
03:00 ახალი ამბები
03:15 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
03:30 მულტისპორტი
04:00 მოტორბოლებები. საერთაშორისო შეჯიბრება

ფეხბურთი

# დინამო გაფუჭდა

მიხეილ აბაიშვილი

დღემდე საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ ორ გუნდს გაუმარჯვია. თბილისის დინამოს ეს პატივი 11-ჯერ ხვდა წილად, ქუთაისის ტორპედოს - 3-ჯერ. დიდია იმის ალბათობა, რომ წლეულს საჩემპიონო რიგებს კიდევ ერთი გუნდი შეემატოს.

დიახ, წლეულს საქართველოს შეიძლება ახალი ჩემპიონი ჰყავდეს. ძველი - თბილისის დინამო სატრანსფერო ქარაფშუტობამ (შუა სეზონში წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვამ) ისე ამოაგდო კალაპოტიდან, რომ გუნდი ვერა და ვერ ახერხებს გონზე მოსვლას. დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ნახევარი გუნდის გაყიდვით დინამომ გაცილებით მეტი იზარალა, ვიდრე მოიგო.

გუშინწინ შუშაკის გუნდმა ზედიზედ მეორედ ვერ შეძლო ლოკომოტივის დამარცხება. ასეთი რამ შარშან რომ მომხდარიყო, არავის გაუკვირდებოდა. გასულ სეზონში ლოკომოტივი შემადგენლობითაც, ფინანსური მდგომარეობითაც და თამაშის ხარისხითაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო და რეალურად იბრძოდა ჩემპიონობისთვის. ამის მიუხედავად, დინამოს ლოკომოტივის დამარცხება შარშან არ გასჭირვებია. ერთი თამაში, თანაც, სტუმრად - 4:0-იც კი მოუგო, მაგრამ მაშინ დინამო სხვა - მზარდი და პროგრესირებადი გუნდი იყო. 4 გოლიდან კი 3 იმ ალექსიძემ გაიტანა, რომელიც ჰაიჰარად გაყიდეს რუსეთის ჩემპიონატის აუტსაიდერ როსტოვში.

წლეულს ლოკომოტივს არანაირი ამბიცია არა აქვს, მხოლოდ იმის ფიქრშია, როგორ გადაურჩეს დაშლას, საიდან და როგორ მიიზიდოს ინვესტიციები. ჩემპიონობისთვის მებრძოლმა გუნდებმა - სიონმა, თბილისმა და ვიტ ჯორჯიამ რკინიგზული კლუბი მეორე ეტაპზე უპრობლემოდ დაამარცხეს. ლოკომოტივმა მხოლოდ დინამოსთან და თავის მსგავს მაჩანჩალასთან - გორის დილასთან შეძლო ქულების აღება.

ზაურ სვანაძის გუნდმა კიდევ ერთხელ შეძლო დინამოსთვის წინააღმდეგობის გაწევა. მიუხედავად იმისა, რომ დინამომ ორი დღის წინ ოპტიმალურ შემადგენლობასაც მოუყარა თავი და თვით ბურდულიც კი გამოვიდა მოედანზე, ჩემპიონმა მაინც ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება. მართალია, შუშაკის გუნდი გარკვეულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ეს უპირატესობა გოლებში არ გამოისახა. სტუმრებმა გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი გაუშვეს პირველი ტაიმის შუაწელში, როდესაც ანჩაბაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ახლო მანძილიდან დარტყმა არ გამოუვიდა - ბურთი გოლკიპერს გაარტყა. მატჩის მიწურულს გოლის გატანა შეეძლო შეცვლაზე შემოსულ მელქაძესაც, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა: კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი მისი დარტყმის შემდეგ კარს ზემოდან გადაცდა.

**ივო შუშაკი** *(დინამოს მთავარი მწვრთნელი):* ჩვენმა მეტოქემ ძალიან კარგად ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ მოპოვებული ქულა ლოკომოტივს სატურნირო თვალსაზრისით დიდ სარგებელს ვერ მოუტანს, გუნდმა თავდაუზოგავად იბრძოლა და შედეგს მიაღწია. ჩვენ კი ვერ შევძელით, მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობა მატერიალურად გვექცია - გოლი ვერ გავიტანეთ. რა გაეწყობა. გასვლით მატჩში ქულაც დადებითი შედეგია. დარჩენილ თამაშებში შევეცდებით, დავამტკიცოთ, რომ დინამო საქართველოში საუკეთესო გუნდია.

**ზაურ სვანაძე** *(ლოკომოტივის მთავარი მწვრთნელი):* ამ თამაშით კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ლოკომოტივი თამაშებს არავის ჩუქნის. მიხარია, რომ ჩემმა ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და ძლიერ მეტოქეს არაფერი დაუთმეს. მოპოვებული ქულა ჩვენთვის, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი.

ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ბოლნისში, სადაც თემურ მახარაძის გუნდმა კიდევ ერთი სასწაული მოახდინა. თუმცა, ალბათ, დროა, ბოლნისური კლუბის გამარჯვებები ორდინარულ მოვლენებად მივიჩნიოთ. ეს გუნდი ხომ სულ ახლოა ჩემპიონობასთან.

სიონმა მეორე ადგილზე მყოფ ვიტ ჯორჯიას უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით - 1:0 დაამარცხა. გოლი ყოფილი ლოკომოტიველი ონიანის ანგარიშზეა.

თემურ მახარაძე (სიონის მთავარი მწვრთნელი): ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთ და მთელი წლის ნაშრომი წყალში არ ჩავყარეთ. პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. წინ კიდევ ოთხი მატჩია და ჩემპიონატში გამარჯვებულის ვინაობა ამ შეხვედრებში გაირკვევა.

აღსანიშნავია, რომ მატჩს ბოლნისში დაესწრო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი, რომელიც მასპინძლეთა თამაშით კმაყოფილი დარჩა.

ჩემზე სიონმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს გუნდი სწრაფ, ლაღ და კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობს. იგრძნობა, რომ შეთამაშებული, მიზანდასახული კოლექტივია. ის, რომ სიონი სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზეა, სულაც არ არის გასაკვირი. გამოვყოფ ამ გუნდის თავდამსხმელს, გონჩაროვს, რომელსაც ნაკრების უახლოეს ამხანაგურ მატჩში გამოვცდი, - განაცხადა ჟირესმა.

მოსალოდნელი შედეგით დასრულდა მატჩი გორში, სადაც ადგილობრივმა დილამ თბილისის თბილისს უმასპინძლა. გორელებს აქცენტი გადატანილი აქვთ დავით ყიფიანის თასზე, სადაც წარმატებით ასპარეზობენ (ნახევარფინალში დინამოს ხვდებიან). თბილისი კი ჩემპიონობისთვის იბრძვის. ამიტომ, არავის გაჰკვირვებია, რომ მასპინძლებმა სათამაშოდ ლამის დუბლშემადგენლობა გაიყვანეს. არც თბილისი იყო მთლად ოპტიმალური შემადგენლობით ჩასული, მაგრამ ორი უპასუხო გოლის გატანა და გამარჯვება მაინც მოახერხა.

**გიორგი დევდარიანი** *(თბილისის მთავარი მწვრთნელი):* ჩვენს მეტოქეს მთელი ყურადღება თასის ტურნირზე აქვს გადატანილი და ჩემპიონატის თამაშებს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს. ამიტომ დღეს სრული შემართებით და ძალით არც გვეთამაშნენ. ჩვენ კი მოგება ძალიან გვჭირდებოდა და თავი არ დაგვიზოგავს. ამიტომ, შედეგი ლოგიკურად მიმაჩნია. ამ გამარჯვების წყალობით ლიდერებს წამოვეწიეთ და ჩემპიონობისთვის ბრძოლაც ახალი ძალით გაჩაღდება.

შემდეგი ტურის მატჩები 1 მაისს გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან:

დინამო - სიონი, ვიტ ჯორჯია - თბილისი, ლოკომოტივი - დილა

**მდგომარეობა 6 ტურის შემდეგ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-3 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 5-2 | 31 |
| დინამო | 6 | 1 | 3 | 2 | 9-6 | 31 |
| თბილისი | 6 | 3 | 3 | 0 | 11-4 | 30 |
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 3 | 3 | 1-7 | 20 |
| დილა | 6 | 0 | 2 | 4 | 0-14 | 19 |

კრივი

# ახალი მმართველი - ვიტალი კლიჩკო

ბიბა ბურასაშვილი

*როდესაც თბილისს ჯერ კიდევ მშვიდი ძილით ეძინა, ლოს ანჯელესის სტეპლზ სენტერში არაერთ გამოჩენილ ადამიანს დიდი სეირის საცქერლად მოეყარა თავი. ვის არ ნახავდით აქ: ცნობილ მოკრივეებსა თუ ჰოლივუდის ვარსკვლავებს - ევანდერ ჰოლიფილდს, ჯეიმს ტონის, ლეიმონ ბრიუსტერს, ჯამილ მაკლაინს, დასტინ ჰოფმანს, სილვესტერ სტალონეს... და, რა თქმა უნდა, დიად ჩემპიონს ლენოქს ლუისს. რა ხდებოდა, რას გამოეწვია აურზაური პირთამდე გადაჭედილ დარბაზში? კრივის სამყაროს ყველაზე პატივდებულ ორგანიზაციას კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) მემკვიდრე უნდა ეკურთხებინა.*

25 აპრილს, გარიჟრაჟზე, საკრივო სამყაროს კიდევ ერთი ფურცელი გადაიშალა. თბილისის დროით 06:07:56 საათზე დაწყებულმა ყბების ღრჭიალმა დაახლოებით ნახევარ საათსა და, შესაბამისად, 8 რაუნდს გასტანა. უკრაინელი გიგანტი მსოფლიოს ჩემპიონია!!!

ეს ისე, ზოგადად. მანამდე კი, ჯობს, იმაზე გავამახვილოთ ყურადღება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობისა გახლდათ გუშინდელი შეხლა და, საერთოდ, რატომ იწვევდა ცხოველ ინტერესს.

ლოსანჯელესური დაპირისპირება, შეიძლება ითქვას, ვიტალი კლიჩკოსთვის კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩი გახლდათ. სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსთან წარმატების შემთხვევაში, მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერებოდა კრივის ისტორიაში; წაგების შემთხვევაში კი დაკარგავდა ყველაფერს, რასაც რვა წლის განმავლობაში აკოწიწებდა.

როგორც ყოველთვის, თითოეული ორთაბრძოლის წინ გარეშე ფაქტორებსაც ითვალისწინებენ და ამის მიხედვით მატჩის ბედსაც განსაზღვრავენ. უფრო სწორად, მარჩიელობენ და მსჯელობენ იმაზე, თუ ვინ შეიძლება გაიმარჯვოს. ფაქტორი კი, იცოცხლე, უამრავია. მაგალითად, უმცროსი კლიჩკოს, ვლადიმირის, კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) უმთავრესი ტიტულისთვის დაპირისპირებაში ამერიკელ ლეიმონ ბრიუსტერთან მარცხი.

გუშინდელ შეხლამდე ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ამ გარემოების გამო ვიტალი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ აღმოჩნდებოდა და ორთაბრძოლისთვის განწყობა



ნანატრი ოცნება: ვიტალი კლიჩკო ჩემპიონია

გაუჭირდებოდა. მით უმეტეს, რომ სწორედ სამხრეთაფრიკელმა შეარყია ძმათა სპორტული რეპუტაცია - შარშან, ყველასთვის მოულოდნელად, გამოცდილმა, მაგრამ უსახელო სანდერსმა უმცროსი კლიჩკო ორ რაუნდში რინგზე დასცა. ამის გამო ვიტალისა და სანდერსის გუშინდელი ორთაბრძოლა ერთგვარ შურისძიებადაც მოინათლა. მაგრამ, ამასაც რომ თავი დავანებოთ, უმნიშვნელოვანესი მაინც სხვა რამ გახლდათ.

ლენოქს ლუისის კრივიდან წასვლას სუპერმძიმეწონოსანთა დაობლება მოჰყვა. ბუნებრივია, საჭირო გახდა ლუისის მემკვიდრის ძიება. ყველაზე რეალურ კანდიდატად მოიაზრებოდა ვიტალი კლიჩკო, რომელიც საბჭოს რეიტინგში იერარქიულ პირველ საფეხურზე არავის აჭაჭანებდა. აქედან გამომდინარე, თუ ვინმეს ჩემპიონობის პრეტენზია ჰქონდა, პირველ რიგში, სწორედ მას. ამასთან, იგი თეთრების იმედადაც შეირაცხა. გარდა ამისა, ერთი მარჯვედ მოქნეული მუშტი უკრაინელის საბაზრო ღირებულებას მკვეთრად გაზრდიდა. აი, წაგება კი...

რაც შეეხება კორი სანდერსს, უკრაინელთან ეფექტური გამარჯვების შემთხვევაშიც კი ნაკლებად სავარაუდო იქნებოდა, კრივის მექას იგი დიდ ჩემპიონად შეერაცხა. თანაც, არც ასაკი უწყობს ხელს (38 წელი). მეტიც, სამხრეთაფრიკელის ამგვარ დაწინაურებას შემთხვევითობას მიაწერენ.

და მაინც, კრივი ისეთი სახეობაა, რომლის შედეგის წინასწარ განჭვრეტა მეტისმეტად სახიფათო და საჩოთიროა. რინგზე, შესაძლოა, ჩრდილში - წაგების ზღვარზე იდგე, მაგრამ ერთმა სწორად მოქნეულმა მუშტმა მთელი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს. ამის კარგი მაგალითი ისევ და ისევ ვლადიმირისა და კორის შარშანდელი დაპირისპირებაა. კლიჩკოს ორივე რაუნდში, შეიძლება ითქვას, აღლუმი მიჰყავდა, მაგრამ წამიერი გაშიშვლებისას სანდერსის მარცხენა ჰუკმა მიზანს უწია, რამაც მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

პროგნოზებით, ვიტალისა და სანდერსის შერკინებაში სანდერსს გამარჯვების შანსი მხოლოდ საწყის რაუნდებში თუ ექნებოდა, რადგან ვიტალი უფრო ამტანია - შეუძლია, 12 რაუნდი იბრძოლოს. სამხრეთაფრიკელი, რომელსაც ბოლო წლებში სრულად არც უბრძოლია, უკრაინელის ქულებით დამარცხებას ვერ შეძლებდა - ძალა არ ეყოფოდა. თუმცა, ეს იმაზეც მიუთითებს, რომ სანდერსს ნოკაუტებით ეხერხება საქმის მოგვარება, მაგრამ ეს მაინც მარჩიელობაა. გუშინ კი ორთაბრძოლა იყო.

სანდერსის უპირატესობამ მხოლოდ მეორე რაუნდის დამთავრების მაუწყებელ გონგამდე გასტანა, მერე კი ინიციატივა ხელთ იგდო უკრაინელმა. თუ რა დიდი იყო მათ შორის სხვაობა, ეს დარტყმების სტატისტიკიდანაც ჩანს. თუ სანდერსმა უკრაინელს 51-ჯერ უთავაზა, ვიტალის მიერ კონვერტირებული ხურდა თითქმის ხუთჯერ მეტი აღმოჩნდა - 230.

სამხერთაფრიკელს მეორე რაუნდიდანვე ეტყობოდა, რომ უჭირდა. ამიტომ ჩხუბი კონტრშეტევებზე ააწყო იმ იმედით, რომ ვიტალი ერთხელ მაინც გაშიშვლდებოდა და გამარჯვების მუშტს მოარტყამდა, მაგრამ უკრაინელის დარტყმებმა მაინც თავისი ქნა.

მერვე რაუნდში მატჩის რეფერი იძულებულია, დასისხლიანებულ სანდერსს მივარდეს და დაიცვას განრისხებული კლიჩკოსგან, რომელმაც პირდაპირი დარტყმების სერიით სამხრეთაფრიკელი მწყობრიდან გამოიყვანა. ბრძოლა მერვე რაუნდის შუაწელში შეჩერდა - უკრაინელის აშკარა უპირატესობითა და, შესაბამისად, ტექნიკური ნოკაუტით.

საკვირველი კი ისაა, რომ ვიტალისა და კორის დაპირისპირება მოსალოდნელზე დიდხანს გაიწელა.

ბრძოლის შეწყვეტიდან ორიოდე წუთში რინგზე ადის საბჭოს პრეზიდენტი ხოსე სულეიმანი და ვიტალი კლიჩკოს მსოფლიო ჩემპიონის სარტყელს გადასცემს, თუმცა, უკრაინელი იმდენად არაქათგამოცლილია, რომ სიხარულსაც ვერ გამოხატავს.

ცოტა არ იყოს, მხრები მაქვს დამძიმებული. ოცნება კი რეალობად მექცა. ეს იყო არა მარტო ჩემი, არამედ ჩემი ძმის ოცნებაც. ვიცი, რომ ვლადიმირს ბევრად მეტი პოტენციალი აქვს, ვიდრე ვინმე სხვას. მალე ისიც ჩემპიონი გახდება.

სანდერსის სიმტკიცით გაოცებული ვარ. ერთხელაც არ დაცემულა. იმდენ დარტყმას გაუძლო, მიკვირს, ფეხზე როგორ იდგა. თანაც, დარტყმის უნარიც ჰქონდა, - განაცხადა ღონემიხდილმა, მაგრამ უკვე ჩემპიონმა ვიტალი კლიჩკომ, რომელიც არა და არ ეშვება იმაზე ფიქრს, რომ კრივიდან წასული ლენოქს ლუისი რინგზე დააბრუნოს და მატჩ-რევანშზე გამოიწვიოს. უკრაინელის გამარჯვების გამო მოღუშულმა ლუისმა სწრაფად დატოვა დარბაზი.

ერთი თვის წინათ ლუისს ველაპარაკე და შემპირდა, რომ ჩემს წინააღმდეგ ერთხელაც გამოვა რინგზე, - ბრძოლის შემდეგ აცხადებდა ვიტალი. - ლუისი ჯენტლმენია და, იმედი მაქვს, სიტყვას არ გატეხს.

ფორმულა 1

# მიხაელ IV

ბიბა ბურასაშვილი

ერთი, ორი, სამი, ოთხი - ავსტრალიის, მალაიზიის, ბაჰრეინის და ახლა სან მარინოს გრან-პრიც. ფერარის გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერი წლეულსაც მთავარი როლის შემსრულებელია ფორმულის სამყაროში. არადა, რას აღარ ამბობდნენ. 2004 წლის სამეფო რბოლები რადიკალურად განსხვავებული იქნება წინამორბედებისგანო. იმას გულისხმობდნენ, რომ მიხაელის ერთპიროვნულ ლიდერობას ბოლო მოეღებოდა და მისი ჰეგემონია საბოლოოდ დაემხობოდა. მაგრამ რა გამოვიდა აქედან? ის, რომ სკუდერიის გამწევმა ძალამ ზედიზედ მეოთხე ეტაპი მოიგო.

რბოლა კი ისე დაიწყო, რომ ერთხანს ეჭვიც გაჩნდა, სამეულში პირველობა BAR-ის ბრიტანელ პილოტს, ჯეისონ ბატონს დარჩებოდა, მით უმეტეს, რომ ცხრა წრე ერკემალივით მიუძღოდა იმოლას ტრასაზე შეფენილ ჭრელ ბოლიდებს. ასე რომ მომხდარიყო, პირველი სენსაციის მომსწრენი გავხდებოდით,



შუმახერი ზედიზედ მეოთხედ შამპანურით ხელში

მაგრამ ფერარის გაუვნებელყოფა ინგლისელისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. თუმცა, ბატონმა სენსაცია წინა დღით მაინც გამოაცხო, როდესაც კვალიფიკაცია მოიგო. ბუნებრივია, გუშინდელი ბრძოლისთვის ბრიტანელი ამგვარ უპირატესობას არაფრით არ დათმობდა, მაგრამ წითელ ბარონთან ჭიდილი...

თუმცა, მეორე პოზიციაზე გადაბარგებულ ბრიტანელს ფავორიტის მდევრის პოზიცია აღარ დაუთმია, მიუხედავად იმისა, რომ კვალში ჩასდგომოდა კოლუმბიელი ხუან-პაბლო მონტოია - კიდევ ერთი ფავორიტი, რომელიც ჯიქურ მიიწევდა მოწინავე პოზიციისკენ. ძირითადი ბრძოლები კი ამ სამეულის ზურგს უკან მიმდინარეობდა. დიდი ჯაფა დაადგა შუმახერის ბრაზილიელ თანაგუნდელს, რუბენს ბარიკელოსაც, რომელსაც რენოს ესპანელ პილოტს, ფერნანდო ალონსოსა და უილიამსელ რალფ შუმახერს შორის ჯაჯგური უწევდა. თუმცა, მათ შორის საუკეთესო აღმოჩნდა ესპანელი, რომელმაც მეოთხე პოზიციაზე დაასრულა რბოლა. ესპანელსა და ბარიკელოს შორის ადგილი კი ასევე რენოს იტალიელ პილოტს, იარნო ტრულის დარჩა. გამარჯვებულის ძმამ მეშვიდე ადგილზე დაასრულა რბოლა.

ერთი სიტყვით, მიხაელ შუმახერს კვარცხლბეკზე უხმეს. გერმანელს ფეხდაფეხ მიჰყვნენ ბატონი და მონტოია, რომლებიც შესაბამისი თანმიმდევრობით განლაგდნენ საპატიო საფეხურებზე.

# "საოჯახო ლოტო"-ს 24 აპრილის №56 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 000022 | 1,5 | 003394 | 130000 | 006828 | 3,0 | 009830 | 4,5 | 013239 | 6,0 | 016865 | 1,0 | 019296 | 1,5 | 023238 | 7,0 | 026085 | 1,5 | 029327 | 3,5 | 032611 | 2,0 | 034770 | 1,5 | 038064 | 5,0 | 040650 | 2,5 | 044152 | 2,0 | 047127 | 1,5 |
| 000150 | 1,5 | 003408 | 1,5 | 006837 | 1,5 | 009850 | 2,0 | 013279 | 1,5 | 016882 | 4,5 | 019301 | 1,5 | 023247 | 3,5 | 026122 | 1,0 | 029338 | 1,0 | 032673 | 2,5 | 034798 | 1,5 | 038116 | 6,0 | 040663 | 2,0 | 044174 | 2,0 | 047130 | 1,5 |
| 000164 | 1,5 | 003427 | 1,5 | 006904 | 1,5 | 009881 | 4,5 | 013280 | 3,0 | 016892 | 2,0 | 019319 | 1,0 | 023256 | 2,0 | 026146 | 1,0 | 029340 | 1,0 | 032683 | 1,5 | 034854 | 1,5 | 038127 | 15,0 | 040738 | 2,0 | 044179 | 1,0 | 047168 | 4,5 |
| 000168 | 1,0 | 003467 | 1,5 | 006917 | 1,5 | 009925 | 1,0 | 013336 | 6,0 | 016918 | 2,0 | 019340 | 2,0 | 023272 | 2,0 | 026148 | 1,5 | 029344 | 1,5 | 032718 | 7,0 | 034867 | 2,0 | 038128 | 1,0 | 040790 | 1,5 | 044252 | 5,0 | 047173 | 4,0 |
| 000172 | 2,0 | 003492 | 2,0 | 006952 | 2,0 | 009950 | 12,5 | 013359 | 1,0 | 016946 | 1,5 | 019344 | 2,0 | 023292 | 1,5 | 026152 | 1,0 | 029351 | 1,0 | 032732 | 1,0 | 034886 | 3,5 | 038180 | 10,0 | 040791 | 1,0 | 044261 | 2,0 | 047184 | 1,5 |
| 000175 | 1,0 | 003534 | 1,0 | 006963 | 4,0 | 009955 | 1,5 | 013367 | 4,0 | 016953 | 2,0 | 019373 | 3,0 | 023294 | 1,5 | 026154 | 3,0 | 029357 | 1,5 | 032739 | 6,0 | 034932 | 1,0 | 038207 | 1,5 | 040810 | 1,0 | 044314 | 4,5 | 047187 | 2,0 |
| 000178 | 2,0 | 003537 | 2,0 | 006976 | 12,5 | 009972 | 1,0 | 013393 | 4,5 | 016961 | 1,5 | 019436 | 7,0 | 023329 | 1,0 | 026163 | 1,0 | 029402 | 4,0 | 032755 | 3,5 | 034957 | 12,5 | 038244 | 2,0 | 040831 | 2,0 | 044320 | 12,5 | 047264 | 1,5 |
| 000240 | 3,0 | 003588 | 1,5 | 006979 | 1,5 | 009978 | 1,5 | 013432 | 3,0 | 016992 | 1,5 | 019448 | 2,0 | 023361 | 1,5 | 026189 | 1,0 | 029410 | 1,5 | 032756 | 2,0 | 034985 | 2,0 | 038262 | 4,0 | 040850 | 1,5 | 044346 | 3,0 | 047277 | 1,5 |
| 000258 | 4,5 | 003668 | 2,0 | 006985 | 1,5 | 010005 | 1,5 | 013465 | 50,0 | 017006 | 4,0 | 019468 | 2,0 | 023373 | 1,5 | 026196 | 1,5 | 029441 | 2,0 | 032767 | 2,0 | 035002 | 1,5 | 038281 | 2,0 | 040888 | 7,0 | 044353 | 1,0 | 047284 | 2,5 |
| 000260 | 2,5 | 003686 | 2,0 | 006996 | 2,0 | 010036 | 3,5 | 013471 | 1,5 | 017008 | 2,5 | 019481 | 3,5 | 023390 | 4,5 | 026197 | 1,5 | 029445 | 2,0 | 032785 | 2,0 | 035025 | 2,0 | 038284 | 3,0 | 040897 | 1,5 | 044383 | 2,0 | 047364 | 3,5 |
| 000269 | 5,0 | 003701 | 1,0 | 007052 | 2,0 | 010085 | 1,5 | 013489 | 12,5 | 017025 | 2,0 | 019507 | 2,0 | 023416 | 1,5 | 026204 | 15,0 | 029459 | 1,5 | 032792 | 4,5 | 035036 | 7,0 | 038290 | 1,0 | 040907 | 2,5 | 044395 | 3,0 | 047373 | 2,5 |
| 000274 | 4,0 | 003708 | 1,5 | 007120 | 2,0 | 010093 | 1,5 | 013492 | 3,5 | 017030 | 3,5 | 019514 | 3,0 | 023455 | 2,5 | 026246 | 1,5 | 029481 | 1,5 | 032796 | 2,5 | 035039 | 2,0 | 038297 | 3,5 | 040937 | 2,0 | 044407 | 5,0 | 047383 | 2,0 |
| 000317 | 4,0 | 003732 | 5,0 | 007132 | 1,5 | 010118 | 1,5 | 013505 | 1,0 | 017042 | 1,5 | 019516 | 3,5 | 023462 | 2,0 | 026254 | 2,0 | 029485 | 4,0 | 032813 | 2,0 | 035052 | 1,5 | 038329 | 1,5 | 040940 | 1,5 | 044415 | 3,5 | 047385 | 1,0 |
| 000347 | 1,5 | 003744 | 1,0 | 007148 | 1,5 | 010121 | 3,0 | 013520 | 2,5 | 017062 | 1,0 | 019520 | 1,5 | 023464 | 2,5 | 026317 | 4,5 | 029496 | 2,0 | 032816 | 1,0 | 035063 | 7,0 | 038345 | 2,5 | 040951 | 3,5 | 044426 | 1,5 | 047460 | 1,5 |
| 000352 | 5,0 | 003782 | 1,5 | 007213 | 1,5 | 010180 | 2,0 | 013523 | 3,0 | 017077 | 2,0 | 019541 | 1,0 | 023474 | 2,5 | 026326 | 1,0 | 029526 | 1,5 | 032847 | 35,0 | 035064 | 4,5 | 038346 | 3,5 | 040978 | 1,5 | 044483 | 7,0 | 047472 | 1,0 |
| 000360 | 1,0 | 003790 | 3,5 | 007219 | 1,5 | 010183 | 2,0 | 013540 | 1,5 | 017104 | 1,0 | 019554 | 1,5 | 023483 | 2,0 | 026376 | 1,5 | 029530 | 1,5 | 032848 | 2,5 | 035107 | 2,0 | 038377 | 1,0 | 040984 | 2,5 | 044493 | 3,5 | 047479 | 1,0 |
| 000364 | 1,0 | 003794 | 1,5 | 007254 | 2,0 | 010185 | 9,0 | 013594 | 2,5 | 017105 | 9,0 | 019565 | 1,0 | 023507 | 1,0 | 026379 | 1,0 | 029540 | 1,0 | 032861 | 3,5 | 035112 | 2,0 | 038396 | 1,0 | 041082 | 2,0 | 044502 | 3,5 | 047482 | 2,0 |
| 000380 | 4,0 | 003796 | 2,0 | 007280 | 2,5 | 010427 | 2,5 | 013599 | 1,5 | 017125 | 1,0 | 019600 | 8,0 | 023519 | 1,0 | 026394 | 1,5 | 029542 | 1,5 | 032872 | 4,0 | 035119 | 5,0 | 038397 | 1,5 | 041086 | 1,0 | 044549 | 2,0 | 047491 | 1,5 |
| 000395 | 2,0 | 003797 | 2,0 | 007363 | 7,0 | 010432 | 8,0 | 013608 | 20,0 | 017134 | 1,5 | 019628 | 150,0 | 023523 | 2,5 | 026417 | 1,0 | 029543 | 9,0 | 032881 | 3,5 | 035121 | 5,0 | 038448 | 2,5 | 041099 | 1,5 | 044606 | 1,0 | 047507 | 2,0 |
| 000401 | 2,0 | 003819 | 2,5 | 007400 | 2,0 | 010485 | 1,5 | 013615 | 1,5 | 017141 | 2,0 | 019637 | 3,5 | 023525 | 2,0 | 026418 | 1,5 | 029566 | 5,0 | 032915 | 3,0 | 035127 | 2,0 | 038453 | 2,0 | 041129 | 2,0 | 044610 | 1,5 | 047560 | 1,5 |
| 000423 | 2,0 | 003824 | 1,0 | 007433 | 1,5 | 010495 | 7,0 | 013644 | 2,0 | 017145 | 1,5 | 019640 | 1,5 | 023586 | 2,0 | 026421 | 3,5 | 029578 | 6,0 | 032951 | 2,0 | 035147 | 9,0 | 038463 | 1,5 | 041164 | 1,5 | 044628 | 1,0 | 047564 | 6,0 |
| 000435 | 4,0 | 003892 | 3,0 | 007462 | 1,5 | 010524 | 1,5 | 013656 | 2,0 | 017163 | 4,5 | 019649 | 1,5 | 023611 | 1,5 | 026441 | 9,0 | 029581 | 4,0 | 032970 | 1,5 | 035196 | 2,0 | 038510 | 1,0 | 041172 | 2,0 | 044647 | 1,5 | 047590 | 2,0 |
| 000461 | 1,0 | 003908 | 1,0 | 007476 | 3,0 | 010554 | 2,0 | 013673 | 4,0 | 017173 | 3,5 | 019690 | 1,0 | 023639 | 2,0 | 026450 | 2,5 | 029600 | 3,5 | 032999 | 3,0 | 035208 | 1,0 | 038511 | 2,5 | 041198 | 6,0 | 044649 | 4,0 | 047623 | 1,5 |
| 000487 | 5,0 | 003912 | 2,0 | 007513 | 3,5 | 010566 | 1,5 | 013675 | 1,5 | 017200 | 1,5 | 019691 | 1,5 | 023655 | 3,0 | 026462 | 5,0 | 029632 | 1,0 | 033025 | 1,5 | 035235 | 2,0 | 038525 | 1,5 | 041215 | 3,0 | 044656 | 2,0 | 047649 | 5,0 |
| 000496 | 1,5 | 003914 | 25,0 | 007516 | 1,0 | 010567 | 1,0 | 013720 | 3,0 | 017217 | 2,0 | 019710 | 1,0 | 023663 | 2,0 | 026463 | 4,0 | 029670 | 3,0 | 033035 | 1,0 | 035290 | 4,0 | 038557 | 1,5 | 041248 | 7,0 | 044708 | 3,0 | 047654 | 1,5 |
| 000498 | 1,5 | 003929 | 1,5 | 007518 | 5,0 | 010581 | 2,5 | 013735 | 2,0 | 017221 | 2,0 | 019716 | 9,0 | 023689 | 2,5 | 026470 | 1,5 | 029685 | 2,0 | 033075 | 1,5 | 035296 | 30,0 | 038558 | 2,0 | 041254 | 3,5 | 044727 | 2,0 | 047682 | 2,0 |
| 000514 | 3,5 | 003949 | 2,5 | 007533 | 1,5 | 010598 | 2,5 | 013746 | 1,5 | 017226 | 1,5 | 019730 | 1,0 | 023712 | 4,0 | 027005 | 1,5 | 029705 | 6,0 | 033079 | 2,0 | 035298 | 2,0 | 038585 | 4,5 | 041276 | 2,0 | 044754 | 1,5 | 047687 | 1,5 |
| 000515 | 1,5 | 004009 | 1,5 | 007565 | 1,5 | 010691 | 1,5 | 013749 | 4,5 | 017248 | 2,0 | 019735 | 2,0 | 023724 | 4,0 | 027033 | 1,0 | 029717 | 3,0 | 033113 | 2,0 | 035306 | 2,0 | 038591 | 1,0 | 041292 | 1,0 | 044800 | 7,0 | 047755 | 1,5 |
| 000582 | 1,5 | 004012 | 2,5 | 007630 | 1,5 | 010701 | 1,5 | 013753 | 1,5 | 017278 | 2,0 | 019737 | 3,5 | 023730 | 1,5 | 027042 | 1,5 | 029727 | 4,0 | 033117 | 1,0 | 035351 | 1,0 | 038602 | 1,0 | 041303 | 2,0 | 044801 | 1,0 | 048304 | 2,0 |
| 000605 | 1,5 | 004044 | 4,0 | 007642 | 1,0 | 010708 | 1,5 | 013798 | 3,0 | 017323 | 15,0 | 019776 | 7,0 | 023733 | 1,0 | 027052 | 1,0 | 029749 | 1,5 | 033171 | 1,5 | 035363 | 1,5 | 038616 | 1,5 | 041350 | 1,5 | 044811 | 2,5 | 048308 | 2,5 |
| 000642 | 4,5 | 004053 | 15,0 | 007660 | 1,5 | 010744 | 2,0 | 013816 | 4,0 | 017345 | 1,5 | 019786 | 3,0 | 023741 | 1,5 | 027063 | 4,0 | 029777 | 2,5 | 033175 | 1,5 | 035384 | 2,0 | 038625 | 3,0 | 041359 | 1,5 | 044819 | 3,0 | 048312 | 1,0 |
| 000649 | 1,5 | 004067 | 1,5 | 007718 | 3,5 | 010751 | 10,0 | 013873 | 1,5 | 017347 | 2,0 | 019834 | 1,0 | 023748 | 1,5 | 027089 | 2,0 | 029785 | 1,5 | 033185 | 4,5 | 035415 | 2,0 | 038646 | 1,5 | 041367 | 1,0 | 044820 | 2,0 | 048320 | 4,5 |
| 000678 | 2,0 | 004122 | 2,5 | 007732 | 1,5 | 010762 | 1,5 | 013910 | 1,0 | 017360 | 5,0 | 019841 | 1,0 | 023759 | 3,0 | 027109 | 1,5 | 029805 | 1,0 | 033233 | 4,0 | 035418 | 4,5 | 038707 | 1,0 | 041395 | 5,0 | 044826 | 1,5 | 048354 | 12,5 |
| 000684 | 2,0 | 004149 | 100,0 | 007773 | 10,0 | 010763 | 3,5 | 013935 | 3,5 | 017392 | 1,0 | 019876 | 2,0 | 023814 | 2,0 | 027170 | 1,0 | 029810 | 2,0 | 033234 | 1,5 | 035423 | 9,0 | 038716 | 2,0 | 041605 | 1,0 | 044848 | 1,5 | 048394 | 1,5 |
| 000735 | 2,0 | 004156 | 4,0 | 007787 | 1,0 | 010787 | 1,5 | 013971 | 1,5 | 017398 | 1,5 | 019964 | 25,0 | 023816 | 4,0 | 027182 | 4,5 | 029821 | 1,5 | 033248 | 20,0 | 035429 | 1,0 | 038807 | 2,0 | 041619 | 2,0 | 044855 | 6,0 | 048402 | 6,0 |
| 000751 | 1,5 | 004175 | 3,5 | 007833 | 1,0 | 010804 | 2,0 | 014042 | 6,0 | 017446 | 1,5 | 019980 | 1,5 | 023855 | 2,0 | 027190 | 4,5 | 029822 | 6,0 | 033252 | 7,0 | 035439 | 1,0 | 038808 | 2,0 | 041648 | 1,0 | 044873 | 2,0 | 048450 | 1,0 |
| 000802 | 2,0 | 004180 | 2,0 | 007845 | 3,0 | 010818 | 4,5 | 014044 | 1,5 | 017453 | 4,0 | 020053 | 1,0 | 023868 | 1,5 | 027204 | 4,5 | 029833 | 2,0 | 033290 | 4,0 | 035446 | 4,0 | 038809 | 12,5 | 041654 | 1,0 | 044874 | 2,0 | 048466 | 1,5 |
| 000839 | 4,0 | 004213 | 2,5 | 007856 | 2,0 | 010821 | 1,5 | 014066 | 1,0 | 017478 | 2,0 | 020060 | 4,5 | 023911 | 1,5 | 027207 | 1,5 | 029855 | 2,5 | 033307 | 6,0 | 035467 | 2,0 | 038817 | 2,5 | 041668 | 3,0 | 044881 | 1,0 | 048476 | 7,0 |
| 000848 | 1,5 | 004219 | 1,5 | 007951 | 6,0 | 010848 | 1,5 | 014079 | 1,5 | 017508 | 1,5 | 020074 | 1,5 | 023913 | 1,5 | 027356 | 1,5 | 029871 | 20,0 | 033315 | 1,0 | 035509 | 10,0 | 038833 | 1,0 | 041680 | 2,0 | 044882 | 2,0 | 048532 | 1,5 |
| 000857 | 1,0 | 004227 | 1,5 | 007958 | 2,0 | 010849 | 2,0 | 014116 | 4,5 | 017520 | 1,5 | 020158 | 1,5 | 023917 | 1,0 | 027369 | 6,0 | 029889 | 5,0 | 033333 | 4,0 | 035512 | 2,0 | 038859 | 1,0 | 041726 | 2,5 | 044888 | 4,5 | 048572 | 1,0 |
| 000895 | 2,5 | 004237 | 4,0 | 007989 | 2,0 | 010853 | 2,0 | 014134 | 1,5 | 017521 | 10,0 | 020164 | 1,0 | 023919 | 1,5 | 027412 | 1,0 | 029895 | 9,0 | 033365 | 1,5 | 035536 | 2,0 | 038903 | 8,0 | 041753 | 4,5 | 044918 | 1,0 | 048604 | 1,0 |
| 000900 | 8,0 | 004296 | 1,5 | 008003 | 1,0 | 010867 | 3,5 | 014162 | 1,5 | 017535 | 8,0 | 020174 | 1,0 | 023929 | 1,0 | 027415 | 4,0 | 029926 | 2,0 | 033379 | 2,0 | 035541 | 5,0 | 038908 | 2,0 | 041795 | 2,0 | 044920 | 1,0 | 048616 | 2,0 |
| 000910 | 2,0 | 004308 | 2,0 | 008008 | 7,0 | 010876 | 2,0 | 014183 | 7,0 | 017541 | 1,0 | 020175 | 3,0 | 023931 | 2,0 | 027421 | 7,0 | 029957 | 1,0 | 033401 | 2,0 | 035542 | 12,5 | 038928 | 1,5 | 041821 | 4,5 | 044974 | 6,0 | 048653 | 2,0 |
| 000916 | 2,5 | 004331 | 2,0 | 008012 | 1,5 | 011421 | 1,5 | 014184 | 1,5 | 017556 | 6,0 | 020184 | 1,5 | 023944 | 1,5 | 027429 | 2,5 | 029971 | 2,0 | 033403 | 1,5 | 035558 | 40,0 | 038962 | 1,0 | 041859 | 2,5 | 045002 | 1,0 | 048663 | 1,5 |
| 000969 | 3,0 | 004350 | 6,0 | 008020 | 3,0 | 011426 | 1,0 | 014213 | 1,0 | 017559 | 1,5 | 020185 | 2,5 | 023985 | 1,5 | 027436 | 2,0 | 029997 | 2,5 | 033424 | 2,0 | 035621 | 1,5 | 038990 | 9,0 | 041890 | 4,0 | 045055 | 3,5 | 048688 | 4,0 |
| 000973 | 2,5 | 004414 | 1,0 | 008021 | 3,0 | 011429 | 10,0 | 014261 | 1,0 | 017570 | 3,5 | 020203 | 2,0 | 024002 | 3,5 | 027465 | 4,0 | 030023 | 1,5 | 033454 | 1,5 | 035646 | 1,5 | 038993 | 9,0 | 041896 | 2,0 | 045071 | 5,0 | 048701 | 3,5 |
| 000974 | 1,5 | 004443 | 8,0 | 008036 | 3,5 | 011477 | 4,0 | 014282 | 3,5 | 017571 | 1,5 | 020214 | 2,0 | 024023 | 2,5 | 027471 | 1,0 | 030043 | 1,0 | 033458 | 1,0 | 035701 | 1,5 | 039014 | 1,0 | 041915 | 1,0 | 045112 | 2,5 | 048715 | 4,0 |
| 000987 | 3,5 | 004447 | 4,5 | 008046 | 1,0 | 011502 | 1,5 | 014295 | 1,5 | 017606 | 4,0 | 020219 | 3,0 | 024031 | 2,0 | 027472 | 4,5 | 030066 | 2,0 | 033466 | 1,0 | 035723 | 2,0 | 039030 | 2,0 | 041957 | 4,5 | 045147 | 3,0 | 048742 | 1,0 |
| 000991 | 2,5 | 004477 | 2,0 | 008095 | 1,0 | 011504 | 7,0 | 014297 | 15,0 | 017631 | 1,0 | 020220 | 4,0 | 024066 | 4,0 | 027494 | 5,0 | 030094 | 1,0 | 033476 | 1,0 | 035727 | 2,5 | 039035 | 2,0 | 041961 | 1,5 | 045165 | 1,5 | 048777 | 2,5 |
| 001537 | 1,5 | 004481 | 1,0 | 008098 | 2,0 | 011517 | 1,5 | 014317 | 4,5 | 017639 | 1,0 | 020229 | 1,5 | 024083 | 12,5 | 027495 | 2,0 | 030100 | 4,5 | 033482 | 1,0 | 035730 | 2,0 | 039093 | 2,0 | 041970 | 1,5 | 045211 | 2,0 | 048779 | 1,5 |
| 001553 | 1,0 | 004488 | 6,0 | 008135 | 9,0 | 011539 | 1,5 | 014329 | 1,0 | 017643 | 4,5 | 020254 | 1,5 | 024122 | 2,0 | 027524 | 1,5 | 030142 | 1,5 | 033487 | 3,5 | 035746 | 1,0 | 039094 | 2,0 | 042038 | 2,0 | 045238 | 3,0 | 048786 | 2,0 |
| 001606 | 8,0 | 004494 | 2,0 | 008156 | 1,5 | 011546 | 2,0 | 014361 | 3,0 | 017648 | 1,5 | 020257 | 1,5 | 024193 | 1,5 | 027525 | 1,0 | 030150 | 2,0 | 033488 | 1,5 | 035762 | 4,0 | 039116 | 10,0 | 042099 | 1,5 | 045241 | 2,0 | 048802 | 1,5 |
| 001645 | 1,0 | 004496 | 4,5 | 008167 | 1,5 | 011551 | 1,5 | 014364 | 1,0 | 017649 | 1,5 | 020272 | 2,5 | 024200 | 1,0 | 027530 | 1,0 | 030226 | 2,0 | 033516 | 3,0 | 035764 | 1,5 | 039159 | 3,0 | 042100 | 4,0 | 045259 | 2,0 | 048840 | 1,5 |
| 001717 | 3,5 | 004499 | 2,0 | 008190 | 1,0 | 011583 | 2,0 | 014414 | 2,0 | 017654 | 1,5 | 020279 | 1,0 | 024213 | 1,0 | 027547 | 25,0 | 030249 | 2,5 | 033527 | 2,0 | 035777 | 1,0 | 039166 | 6,0 | 042124 | 1,0 | 045264 | 3,0 | 048843 | 1,5 |
| 001719 | 1,5 | 004509 | 7,0 | 008235 | 5,0 | 011596 | 4,0 | 014421 | 50,0 | 017690 | 3,0 | 020295 | 2,5 | 024225 | 6,0 | 027597 | 3,0 | 030255 | 1,5 | 033536 | 2,0 | 035789 | 3,0 | 039180 | 1,5 | 042130 | 2,0 | 045267 | 2,0 | 048869 | 30,0 |
| 001720 | 2,5 | 004571 | 3,5 | 008238 | 2,0 | 011623 | 1,0 | 014425 | 1,5 | 017695 | 1,0 | 020314 | 15,0 | 024291 | 4,5 | 027643 | 4,5 | 030318 | 1,5 | 033602 | 3,0 | 035815 | 8,0 | 039186 | 1,5 | 042138 | 8,0 | 045288 | 1,5 | 048871 | 1,5 |
| 001741 | 1,0 | 004636 | 4,0 | 008255 | 2,0 | 011646 | 2,0 | 014474 | 1,0 | 017701 | 10,0 | 020346 | 1,5 | 024296 | 1,5 | 027645 | 2,0 | 030319 | 12,5 | 033610 | 1,5 | 035850 | 5,0 | 039199 | 1,5 | 042154 | 3,5 | 045302 | 1,5 | 048880 | 1,5 |
| 001758 | 4,5 | 004647 | 3,0 | 008306 | 1,0 | 011669 | 3,5 | 014477 | 2,0 | 017703 | 2,5 | 020373 | 1,5 | 024334 | 1,5 | 027662 | 2,0 | 030342 | 1,5 | 033618 | 1,5 | 035851 | 2,0 | 039200 | 2,0 | 042165 | 4,0 | 045311 | 1,5 | 048899 | 4,5 |
